FS 1757
2

# ქალმასობა.

თხზ. იოანე ბატონიშვილისა.

ნაწილი მეორე.

---

ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1867.

11

K 14-564 / 3

печатать позволяется.

г. тифлисъ 1 сентября, 1867.

FS 1757/2

# გალმასრობა.

ხოლო, ხვალისა დღე იოანე იახლა არქიელს, გამოესალმა, და კმაყოფილი წარვიდა ყუარელისაკენ. რა ყუარელსა შინა მივიდა, ელევთერმან სცნო მისი მუნ მისვლა, მყის კაცი გაგზავნა, და თვსთან მიაყუანინა, რა იოანემ იხილა ელევთერ, არიყო რომ არ შეშინდა და სთქვა გულსა შინა თვსსა: ვაჲ თუ ამანაც გამლახოს, და მჴსწრაფლ მივიდა, უყო მეტანია და სთხოვა კელი, ელევთერმან მჴსწრაფლ ალადგინა, და უთხრა: ნუ გეშინიან, მე არას გერჩი, გარნა გკითხავ მიზეზთა ყვედრებისათვს; უბძანა იოანეს დაჯდომა. დაჯდა იოანე, მოიკითხა ელევთერმან, და მიმოსვლის მიზეზიც ჰკითხა, იოანემ ჰყოველივე აცნობა; და მერე უთხრა ელევთერმან. შენ და ეშყაბაში რათ დამდურდითო?

იოანე. ჭეშმარიტებისათვს!

ელევთერმან. ვითარ?

იოანე. აი, ეს საბრალო ზურაბ, ერთის წისქვილის მქონებელი უსამართლოდ ისჯება და ერთმევა, რომელმაც თავისი ცოლშვილი უნდა გამოზარდოს; მდივანს სულხანს აქუ!

მეფეთაგან ჯამაგირი, სამდივნო ათასის თავი, სოფელი, და ამ საბრალოს ასე ეუსამართლოება. და ამისთვის ვაწყენინე ალექსანდრეს, რომ მდივნის მხარე ეჭირა, და რაც მკითხა ის განუმარტე და ამისთვის გამიწყრა.

ელევთერმან. ასე იქნება, მოხელეების საქმე ზოგი ერთის კერძოდ იქნება და ზოგი მეორეს კერძოდ. და ჯერ ხომ არ გარდაწყვეტილა საქმე.

ელევთერმან. მართალია ეგე, მაგრამ თუ მოხელე თავის სულს გარდუდგება, შემძლებელი ყოველთვის განმართლდება თუ გინდ ტყუოდეს, და ამაში თავის მებატონესაც დაუმძიმებს და უსამართლობაში შეიყვანს, თორემ მე კი პატივის მცემელივარ ჩემ კერძო, ეშყაბაშისა. ელევთერმან.-ჩემო ისე იმ სახით შემოსვლა ეკკლესიაში, რად იუცხოვე, და ან რად აპირებდი ქადაგებაში ჩემს შეურაცხებას. და ან კნეინას რად ამხილე თავ დაუბურველობა?

იოანე. რადგან ნონოზონების სახე გმოსიათ, მეუცხოვა თქუენი იმ სახით შემოსვლა ეკკლესიასა შინა, რომელ მეფეთათვისცა მაღალი საქმე იყო, კნეინასიც თავშიშველობა და მარაოს ქნევა ეკკლესიაში. პირველი ნახვა იყო, რომ ქართველთ დედანი დია კრძალულნი არიან ლოცვა წირვაზედ, რომ ჩადრით იბურვენ სახეთა და არავის აჩუენებენ პირთა და სულ მეტანიით და გულში ცემით დაასრულებენ თვისს ლოცვასა, და ამისთვის ვიკადნიერე, რომე სხვანიც არ შეუდგნენ იმ კუალსა და არ განუგრილდეთ გული ლოცვა წირვისათვის: თქუენ მერწმუნეთ, რომ მე მინდოდა,

ჩვენ ჯვარზედა სიტყვის თქმა, და მედრება ხალხისა, და თქვენ დაგვაბრკოლეთ და თვისად მიიღეთ აზრი მხილებისა რისამე. და ეგეც კარგი სვინიდისია თუ გამხილებდით რასმე.

ელევთერმან. ახლა მჯერა, და მე გეტყვი ჩემს აქ ქცევის მიზეზსა, თუ ასე არ მოიქეც, რადგან მეფესთან მიჩვეული ვარ და ხალხში წილი მიძევს სახელოსი, ზედ არავინ მემ-ომიედაკს ამისთვის, რომ საზოგადოდ აზელთზედ არს თქმუ-ლი რომელი, თულმი აქეთ ქცეი და არა თავმიაო.

იოანე. და მართალია. მაგრამ მეორე რამ განყოფილება მაინც უნდა ჰქონდეს ბერსა და ერსა ყოფაქცევაში.

ელევთერმან. მე ჯერ არც ჩოხა მაქვს ნაკურთხი:

მაშინ ზურაბამ. ბატონო, კუნკული ხომ გხურამთ, სხვა რაგინდარა. და გაეცინათ ყოველთა და ამა უბნობაში შეიქმნა მიწის ძვრა ისეთი, რომ სრულებით შეიძრა სახლი, კედლებით და ჭერითურთ. და მწრაფლ გამოვიდნენ გარე, და იწყეს ვედრებად ღვთისა. რა დამყუდროვდა, მოიღეს სადილი და დასხდნენ. მაშინ ელევთერმან უთხრა იოანეს: უნდა გკითხო რამე რადგან მეცნიერი ხარ.

იოანემ. მიბძანეთ.

ელევთერმან. რაჲსაგამო და ანუ რისაგან იშვებების მიწის ძვრაჲ?

იოანე. მიწის ძვრა იქმნების, მწრაფლისა აღზნებისაგამო გოგირდისა და სხვათა აღმგზნებელთა ნივთებისგან, მყოფთა ხვრელთა შინა ქვეშე მიწისათა, რომელიცა უფრო ხშირადრე აწარმოებს ძვრასა სამხრეთის კერძოდ, ვინაჲდგან მუნებურ-

თა ადგილთა შინა უფროჲსღა მრავალ არიან ესე გვარნი უც-
ხუჱ ნივთებნი.

ხოლო რომელნიმე ბუნებას გამომძიებელნი ჰსდებენ უცხუჱ ჰაერისა და წყლისა მიზეზად მიწისა ძვრისად, და ესე-ცა შესაძლებელ არს. ხოლო უკეთუ გსურისთ უმეტეს შე-მეცნება ამისა, სათანადო არს, რათა წარმოიდგინოთ თჳს შორის ზემო პირი ქუეყანისა, რაგუარადაც ქერქი ხისა იმ-სახედ თხელად, რომლისა ქუეშე არიან ურიცხვად დახრა-მულნი და განქქულნი ადგილნი რუჲსა სახედ, და ესენი სა-ვსენი წყლითა ანუ ჰაერითა მდგომარენი, და ოდეს ესე ორნი უცხუჱ ნივთნი აღზნებისაგამო ნივთისა განტფებიან, მაშინ მიისწრაფვიან იგინი ცარიელთა მათ ადგილთაებრ დი-დითარე ძალითა მძიებელნი განსავალთა ადგილთა და შესძრვენ უხომოდ ზემო პირსა მას თხელსა მიწისა ანუ ქუეყანისასა.

ელევთერმან. რომელსა ქვეყანასა უფრორე არიან ცეცხლ მფ-შუეველნი მთანი და ადგილნი სქელითა კომლითა აღმომ-სვლელნი:

იოანე. თუმცა მრავალ ადგილსა არიან ეს გვარნი ადგილნი ცეცხლ მფშუეველნი, გარნა ესენი უფრორე ირიცხებიან უჩინებულესად. ვითარცა მთა ეტნაი სიცილიასა შინა, ვეზუვისა მთა ნეაპოლის საკოროლოსა შინა, მახლობელ იტალიისა, და ჰეკლაჲ ისლანდიასა შინა. ესე ცეცხლ მფშუეველნი უც-ხუჱ მთანი, კვალად იწოდებიან სახელით: ვულკანებად:

აგრეთვე, ჩუენის ქვეყანის ნაწილსა შინა ბაქოს არს ცეცხ-

ლიერი მინდორი, სადაცა ცხოვრებენ მილიონნი, ოდეს მოსთხრიან მიწათა, აღმოვალს მუნით ცეცხლის ალი, და მოხარშვენ მასზედა საჭმელთა, რომელიც თქუენც კარგათ უწყით.

რა სადილისგან აღდგნენ, იოანე გამოეთხოვა ელევთერს, ელევთერმან კმაყოფილ ჰყო იოანე და მშვიდობით გაიყარნენ.

იოანე წარვიდა ციხისაკენ, და თან გაჰყვა ალავერდის სალთ ხუცესი. რა ციხესთან მივიდა იოანე, იხილა მეორე სხვა გალავანი შემორტყმული, და გალავანს გარე არხი. იოანეს დია მოეწონა ეს სიმაგრე და ჰკითხა სალთხუცესს: ეს სიმაგრე ვინ გაგიკეთათო. მან უთხრა. იოანე ბატონის შვილმან, რომ მეფე ირაკლის აქ უბძანა ყოფნაო, ოდეს თამარხან მოვიდოდა ოცდა ხუთი ათასის კაცით ამ ყუარელზედ, მაშინ ეს სიმაგრე გაგვიკეთა ბატონისშვილმან, მიგნით გალავანში. დედაკაცნი და ყმაწვილნი, დაეყენა, და ბურჯებში თოფიანი, და მეთოფენი, და თვითონ ჩვენ აქ ვიდექით, და ესრე მაგრად ვიყავით, რომ მოვიდნენ მტრის ჯარნი გორას ვერა გასცილდნენ, და ორჯელ აქედან გვესწროთ ჩვენს გაქრების დღეს, და ღმერთის გარდა იმან დაგვიხსა იმ მტერთ ტყვეობისაგან. და ახლა ქიზიყს ბძანდება კიდევ ომარხანის ჰირდაპირ.

იოანემ. ღმერთმან აკურთხოს, დია კარგად ცდილა. და კარგი სამკვიდრო თქვენთჳს სიმაგრე გაუკეთებია; ესე თქვა, გაშინჯა ციხე და განემართა ფშაანისაკენ დავით ჯიმშერის

[illegible]: რა მცირე იარა, საღამოს დრო იყო, თითქმის ბინდმან მოაწივა. იოანემ უთხრა ზურაბს: დავით ჯიმშე-რის მეილთან რომ მივიდეთ. აქ უთხრათ: ღჳთის სტუ-მარი შეგვიწყნარეთ და სახლი გვიბოძეთ, თორემ უღჳ-თო კაცს ანწობენ და უწყალოს, ვაი თუ არ დაგვაყენოს. ზურაბმაც მოუწონა:

რა მივიდნენ დავითის სახლის ახლო, გარდახდენ ცხენი-დამ, დიალ ციოდა, მივიდნენ და ფანჯრიდამ შესძახეს: მდი-ვანბეგო, დღეგრძელდი, ერთი სტუმარი შეგვიწყნარეთ; სახლი გვიბოძეთ.. სიცივემ დია ძალა გვიყო; დავითმან ფა-ნჯრიდამ გამოჰძახა: მე თქვენი დალოცვა არ მინდა, მე დიალ დღეგრძელი ვარ, სამოცდა ხუთის წლისა ვარ, და აჰა იანგარიშეთ რამდენის დღისა ვიქნები; და სახლსკი მოგ-ცემთ. მაშინ თავის მსახურს უბძანა ჩუმად: წაიყვანე, და ამ სოფლის ბოლოს დაქცეული საყდარი რომ არის, იქ მიიყვა-ნე და ასე უთხარი,--რადგან ღჳთის სტუმარი ხართ, აჰა ღჳ-თის სახლი, და შენ კი წამოდიო. მან მსახურმან ესენი წა-რიყვანა, და ეგონა იოანეს კარგათ თბილს სადგომს მიმიყ-ვანსო, და უკანასკნელ იმ ხარაბა საყდარში მიიყვანა და უთხრა იოანეს: მდივანბეგმან გიბძანათ, რადგან ღჳთის სტუმარი ხართ, აჰა ღჳთის სახლიო. რა იოანემ ესე ხარაბა საყდარი იხილა დია შეწუხდა, და ეს თქვა: უი! იმ უწყალომ რაგვიყო ესე. რომ მსახური გამობრუნდა, დაუძახა იოანემ, დივანბეგს ასე მოახსენე, ოხერს საყდარს ეშმაკი უნდა ეპატრონებოდეს, და თქუენ უფრო გფერობდათ აქ დგომაო;

და ყულუხი და ყოველივე მოახსენა დავითს. მდივანბე-გმან ბევრი იცინა, და გაგზავნა მაშინვე კაცი, სახლი მიაცე-მინა და ვახშმად თვისთან დაიბარა იოანე, ვახშმის დროს წარვიდა იოანე და შევიდა მდივანბეგთან, მოახსენა იოანემ: მშვიდობა თქუენდა ბრწყინვალეო თავადო. მდივანბეგმან. დასხლომისაცა შენისათანა უფალო ტირალუო: იოანე. ჰო, ჩემს თავს. სომეხი ხომ არა ვარ.

მდივანბეგმან. მაგ ზურაბის ამხანაგი რომ ხარ, მაშ სომე-ხი არ იქნები.

იოანე. ესეცა ახლა ჩუენი სარწმუნოებისა არის.

მდივანბეგმან. თქუენი მასპინძელი როგორ დაგხვდათ.

იოანე. რომელს ბძანებთ.

დავითმა. რადგან ღუთის სტუმარი იყავით.

იოანე. ყოველივე იმის მოწყალება არის, ასე რომ იმან მოაქცია ჩუენზედა თქუენი გული, და თქუენგან მივიღებთ კმაყოფილებას. დავითმან. შემინდეთ, გამოქცადე, რადგან ბე-რობა მიგვიღია როგორი მოთმინება გექნებოდათ, და ახლა ეხვდავ კარგი მონოზონი იქმნები; და ბძანა ვახშმის მოღე-ბა, მოიღეს ვახშამი, ამჟამად ერთი ღვდელი შემოვიდა, უთ-ხრა მდივანბეგმან დაჯდომა, გაუცნო იოანეს, და უთხრა: ესე ჩემი მოძღვარი ყოფილი არის, იოანე მიეამბორა, მოიკითხეს ერთმანერთი, და მერე იოანემ ჰკითხა მდივანბეგს: თუ თქ-უენი მოძღუარი იყო უწინ, ახლა რად გამოგიცვლიათ დავითმან. მე აღსარებაში უთხარ, ერთი ცოდვა იმან მითხრა შუა ჯოჯოხეთშია გამ ცოდვის პატრონისა. მე კათოლიკე საჯულონი,

აძლევთ, ეგების განვთავისუფლდეთ, და შორს დამიჭირა. მერეთ უთხარ, მოდი ერთს კიდევ ვიქმ იმ ცოდვასა, ეგება ნაპირზედ გამომაგდოს. და ამზედ გამიწყრა და არღა მათქმევინა აღსარება.

იოანე. დიაღ რიგიან უქნია, რადგან თქუენ გარე ხართ ჯოჯოხეთითგან. და ამასაც ავადუქნია, რომ სასოწარკვეთილებაში მიუციხართ. ახლა ვინა გყავთ მოძღუარი?

დავითმა. ეფთვიმე წინამძღუარი.

იოანე. ის უფრო შორს დაგიჭერს მაგ გუარს ცოდვებს და ეგონებ მალე გაუშოთ ერთმანერთი.

დავითმა. არა, როდის ვეტყვი. მე ჩემს თავს დია მართალ კაცად ვაჩუენებ რომ ბატონისა კარგი ყმა არის და ჩემსას კარგს მოხსენებას დაუჯერებენ, რადგან ჩემი მოძღუარია.

იოანე. უი, ჩემ თავს! და ეგ რა აღსარება არის, ეს არა ჰსჯობს, რომ სულ ყოველთვს კარგად იქცეოდეთ, და არ ვერაგობდეთ, და არც იმ საბრალო ბერს ატყუებდეთ.

დავითმა. ხანდისხან სადიანზეგოს წილსაც დაუდებ ხოლმე. და ამითაც ავიღებ შენდობას.

იოანე. სწორე სამართლისას, თუ მრუდისას?

დავითმა. ქართლში სად არის ჰსწორე სამართალი, როგორც იყოს უნდა გავაჩანჩალოთ საქმე.

იოანე. და რადგან ამ გვარი მოსამართლოებაც დაგიწყვიათ, და იმ ცოდვაშიაც მძანდებით, რაღა იმედით ახვალთ სასუფეველში

დავითმა. ბერო, მე ცხონება და წაწყმენდა არა მწამს.

იოანე. მაშ პირუტყვი ყოფილხართ.

დავითმა. პირუტყვთანაც მაქვს ზიარება.

იოანე. სხჳასთან ვილასთან, ისიც ბძანეთ.

დავითმან. ანგელოზთან და ორგილთანაც.

იოანე. კარგი. ანგელოზნი ხომ სულნი არიან უკუდავ-ნი და სიტყვიერნი.

დავითმან. დიალ, და აჰა მითხარ, ვითარის სახით ვართ მასთან ზიარნი?

იოანე. ანგელოზთან სულის უკვდავებით და სიტყვიერე-ბით და გონებით ვართ ზიარნი. პირუტყვთან, მშვინვიერო-ბით, ხორცით, სმით, ჭამით, ძილით, და სხვებ. ორგილთა მოზარდობით ზიარნი, რომელი ხეც იზრდება, და ბალახიცა და თუ გინდა საღმრთო წერილთაგანაც დაგიმტკიცებ.

დავითმან. მე შენი ქადაგებით არ მოვიქცევი, მე მეტო-ლოლია მისწავლია, და მე გამოგცდი თუ კარგად განმიმარ-ტავ, მერე სხვა მოძღვრებასაც შემოგიდგები.

იოანე. მიბძანეთ. რა დავითს ენება კითხვა მეტოლოლია-ზედ, ამ ჟამად, ერთი იასაულიი შემოვიდა, დივანბეგს სალო-მი მიართვა, და ერთი წიგნიც. დავითმან მოიკითხა ის ია-საული, წიგნი გახსნა და წაიკითხა, რომ გარსევან ეშკა-ღაში ჰსწერდა ბატონის ბძანებას, რომ ქალაქს უნდა ორნი წასულიყვნენ საჩქაროდ და ესეც მოეწერა, ხვალე ეს-ლის ციხეს მოვალ სადილად და თქვენც იქ დამხვდითო დავითმან უთხრა იოანეს,: თუ ხვალე ჩემთან წამოხვალ. გა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ ვიუბნოთო. ამისამ კი უნდა მოვემზადო საქალაქოდ. იოანეს დაა იამა, და აღუთქვა თავის ხლება, ვახშამი აღი-ლეს, და სახვალიოდ მზადება იწყეს, იოანეც მოვიდა თავის სადგურსა, მცირე განისვენა, და ესეც განემზადა წასა-სვლელად.

ხოლო ხვალისა დღეს იოანე მივიდა მდივანბეგთან, მოიკ-ითხეს ერთმანერთი, მდივანბეგმან აჩუქა იოანეს რაოდენიმე ოქრო, და ამხედრდნენ ცხენს და წარვიდნენ ველის ციხისაკ-ენ. ამ მიმავლობასა შინა უთხრა დავითმან: აწ ვიუბნოთ მე-ტოლოლოგიისათვის და კვალ უბნობით შევამოკლოთ. იოანემ. მიბძანეთ. მაშინ

დავითმან. რაჲ არს მეტოლოლია?

იოანე. მეტოლოლია (მითოლოლია) არს ხელოვნება, ანუ აღმოჩინება ზღაპარ სიტყვაობათ, ღმერთთათვის და სარწმუ-ნოებათა ძუელთა ბერძენთ და რომაელთასა.

დავითმან. რაოდენად ანუ ვითარ განიყოფებიან ძუელნი უკუ ღმერთნი?

იოანე. ღმერთებად, ნახევარ ღმერთებად, ანუ გმირებად, და ეგრეთვე ალლეგორიის მღუთიებად.

დავით. ვინ უფრო უძველეს არს ამა ღმერთებთა შორის?

იოანე. დრო, რომელიცა ბერძენნი რაცხდეს სახელით ხრონოსისათა. ხოლო რომაელნი სახელით სატურნისათ.

დავით. ვითარ სახესა მიაწერდენ მას, ანუ ვითარ გამო-ხატვიდენ? იოანე. მსგავსად მოხუცისად მოქმუხვილსა, რო-მელსაც უპყრიეს ერთის ხელით ცელი, მეორეთი საჟამო,

(საათი) და აგრეთვე გარემოს მისა რომლითა არს მოცულ, იხილვების დარღუეულნი და ხრწნილნი. ხოლო ოდესმე წარმოადგენენცა მას ფრინველად ფრთებით და მქნეველად საშინელის ცელისა.

დავით. რაჲ განიზრახეს მისთჳს მოლექსენი?

იოანე. ესე, რომელ ვითარმცა იგი სჭამდა შვილთა თჳსთა.

დავით. რასა ნიშნავს ზღაპარი ესე?

იოანე. ნიშნავს, რომელ, დროჲ ყოველსავე აღხოცს, და ყოველსავე დარღუეულ ჰყოფს.

დავით. რადგან სატურნი ესე შვილთა-თჳსთა იყო მჭამელ, არავინ დაშთა მას მეუჭმელ შვილთაგან თჳსთა?

იოანე. დამთენე, იუპიტერ, ნეპტუნ, პლუტონ, იუნონა და ცერერა.

დავით. ვინ განარინა იგინი ხელთაგან მისთა?

იოანე. რეიამ, ცოლმა სატურნისამან.

დავით. ვითარის სახით?

იოანე. სახითა მით, რომელ ჟამსა ყრმისა შობისასა განახვია ქუაჲ მსგავსივე ყრმისა ტილოსა შინა და მისცა ქმარსა თჳსსა შთასანთქმევად ნაცვლად ახლად შობილის ყრმისა, იუპიტერ, დამალა კუნძულსა შინა კრიტიისასა.

დავით. რაჲ შემთხუევა იწარმოა მერეთ?

იოანე. იუპიტერ, რა აღიზარდა და მოვიდა ჰსაკსა შინა, შთამოაგდო ზეცით მამაჲ თჳსი, და მერეთ განუყო ძმათა თჳსთა მსოფლიო სამეფო.

დავით. საიდან განიცდეთ სატურნსა?

იოანე. იტალიასა შინა, მიერ ლათინთა იანისადგე, რომელმანცა შეიწყნარა ფრიად, და დიდად სარგებლობდა ზრახვითა სატურნისათა, და მეცადინეობდა მეფე ესე და-წესებასა თვისთა ქუეშევრდომთასა ბედნიერებისთვს მათისა, და ესრეთ მოამზრახველობდა: მეფობასა შინა მისსა იყო, ოქროვანი საუკუნე, ესე იგი, საუკუნე ნეტარი და უ-ბიწო.

დავითმან. რაჲ ჯერ არს შენიშნული იანისათვს?

იოანე. იგიცა ირიცხებოდა მხოლოდ ღმერთად, ხოლო სახელისა გამო მისისა წოდებულ არს პირველი თთუჱ წლისა იანვრად.

დავითმან. მეფესა მას ვითარითა სახითა წარმოადგენ-დნენ.

იოანე. მას წარმოადგენდენ ორისა თთუჱ სახის მქონე-ნედ; ორ სახედ ხატავდენ მიზეზითა მით, რომელ სატურ-ნამ ინება თეთრზედ სიქას დაკვრა, ანუ ბეჭედი. ერთის კა-ცის თავი ორ სახედ, ამისთვს, რომელ, ჰსთა გამზრახთა-ღმა ექვნდა მართებლობა სახელმწიფოჲსა, მეორედ მარტვენ რომელ ვითომცა რაცხდენ სატურნას მზედ და მისთვს ორ-თავად იხატებოდა, რომელ მოასწავებდა, აღმოსვლასა და დასვლასა მზისასა.

დავითმან. იუპიტერ ვითარ იყო ძველადვე მერაცხილ ღმერთებთა შორის?

იოანე. უწოდდენ მამად ღმერთთა და კაცთა ნათესავსა

გამგესა და მმართებელსა სოფლისასა, და სხუათა ყოველთა ღმერთთა ზედან უზენაესსა.

დავითმან. ვისი ძე იყო იგი?

იოანე. სატურნასი და რეისა.

დავითმან. რასა ნიშნავს ლათინურებრ სახელი ესე იუპიტ-ერ? იოანე. სიტყვისა გამო — იუვანს და პატერ, რომელიცა ნიშნავს, მამა-შემწესა, ხოლო ბერძენნი უწოდებენ მას ზევსად.

დავითმან. ვითარ იყო იგი აღზრდილი?

იოანე. იგი იყო უფროის დამყვირებელ საყვირისა, რომ ხშირადრე მის მგერისა გამო, არა სმენოდა მამასა მისსა ღაღადებაჲ მისი, და ესრეთ აღიზარდა იგი თხისა ამალფეიას-გან წოვებითა რძისათა.

დავითმან. სადა შობა იგი დედამან მისმან?

იოანე. რომელნიმე უბნობენ შობისა მისსა, არკადიასა შინა, სხვანი კრიტიას.

დავითმან. ოდეს აღიზარდა იგი, რაჲ ჰყო მან საქმენი?

იოანე. მან განაძო ტახტიდამ მამაჲ თჳსი სატურნა, რომელი ეძიებდა წარწყმენდასა მისსა, და მერე სრულიად სოფელი განყო სამ კერძოდ, უფროსსა ხვდა ცაჲ, ანუ ოლიმპია, ნეპტონსა ხუდა ზღუაჲ, ხოლო პლუტონსა ხუდა სოფელი ქუეშე ქუეყანისა, და სხუათა მაცა ქუეყანა საზოგადოდ.

დავითმან. ვითართა მიაწერენ მას კუალად ჩინებულთ საქმეთა?

ყ ოაc უკუც სძლო ხატთა, ანუ ლოლონტთა, ესე იგი, შვილთა ქუცყანისათა, და ცგრუთეკ სამინცულთა და საწვირველთა. დრაკონთა ანუ რჩაბულის კუდის მქონებელთა და მერეთ დასაჯნა წარლენითა ნათესავნი მათნი. მეცვევნულნი უსჯულოებათა შინა, ხოლო გამოიხსნა ორნი უკუც სულნი ცოლ ქმარნი წარლვნისგან, ესე იგი, დევკალიონი და პირრი.

დავითმან. ვითარითა სახითა გამოხატულ ჰყოფენ მას?

იოანე. მჯდომარედ ტახტსა ზედა, რომელსაც უპყრიეს მარცხენით ხელით სკიპტრაჲ, მარჯვენით ელვაჲ, ანუ მეხი, და ფეხთა ქუცმე მისთა სამეფო არწივი ამეფოჲსა ნიშნებითა, ფრჩხილთა შორის მპყრობელი.

დავითმან. ვითარი სახით შეჰსწირვიდენ მას უკუც მხხუცრპლს?

იოანე. ასთა უბრყვილო ხართა, და ესე მაგარი უკუც მჰსხუცრპლი იწოდებოდა ლეკატომბად.

დავითმან. სადა იყუნენ ტაძარნი მისნი?

იოანე. უპირველესი ტაძარი მისი იყო დიდონისა ტყესა შინა, ეპირესა შინა, გარნა უჩინებულესი ტაძარი მისი მახლობელ იყო ოლიმპიასა, გლაღიასა ქარქისათა; დჱ დჱ ეგრეთვე სხუათა ადგილთა შინა.

დავითმა. ვინ იყო მეუღლე მისი?

იონე. იუნონი, რომელიც იყო დაჲ მისივე.

დავითმან: რასა მოუთხრობენ მისთჳს?

იოანე. ძუელადგან რაცხდენ მას სხუათა ღმერთებთა ზედა დედოფლად, და ღმერთად სამეფოთა და სიმდიდრეთა ზედა, ასულად სატურნაჲსა და რეისად, მეუღლედ და დად იუპიტერისად; გარნა იჭვნეულობისა გამო თვისისა იგი ხშირადრე განრისხებულ ჰყოფდა მაღალსა მეუღლესა თჳსსა.

დავითმან: სადა იმჴა იგი?

იოანე: რომელნიმე მოუთხრობენ, ვითამც იმჴა იგი არგოსსა შინა. სხვანი უბნობენ სამოსს შინა, რომელისაცა დიდ შვენიერნი ტაძარნი მისნი იყვნენ მათ ადგილთაშინა შენებულნი. დავითმან. ვითარ გამოხატვიდენ მას?

იოანე: გამოხატვიდენ მას დიდ დიდებულ სახედ და ეგრეთვე დიადიმითა, ანუ გვირგვინითა თავსა ზედან დახურვით, და ხელითაცა მპყრობელად სკიპტრისა, ოდესმე ეტლსა ზედან მჯდომელადცა, რომელსა შინა ება ფარშევანგი.

დავითმან: ვითარითა სახითა შეიცვალებოდა იუპიტერ და ეჩუენებოდა საყუარელთა თჳსთა?

იოანე: იგი შეიცვლებოდა მსგავსად აკაურისა (ყუისა) ზედიასთჳს, ცოლისა ტინდარიისა; ხარად ევროპიასთჳს, და კადმოს, დისა აღენორიასთჳს, ასულისა მეფისა ფინიკიისათა; ოქროს წვიმად დანაესათჳს, ასულისა აკრიზიასა, მეფისა არღოიელთასა, ხოლო მწყემსად მნემოზინისათჳს, ანუ სახსოვრად ფოლინათათჳს, ანუ ღმერთებთა.

დავითმან: რაოდენნი შვილნი ესხნენ მას?

იოანე: იუნონასაგან ესხნეს ორნი ძენი: მარს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]ლუნ და ასული ღება, რომლისაცა თანამდებობა იყო-მე[illegible]ეობა, ანუ მეწდეობა ოლიმპიასა შინა; გარნა იუპიტერ ჰყვა სხჳათა მრავალთა უკუე შვილთა მეყოლ, სხჳათა ცო-ლებთაგან თჳსთა, ესე იგი; ლედიასაგან ესხნეს კასტორი და პოლლუქსი, ყოვლად-მშვენიერნი მამაცნი; ევროპიასგან-მი-ნოსი და რადამანტი, რომელნიცა დიდის სიმართლისამებრ თჳსთა შერაცხილ იყვნენ ხიტლოებად მოსამართლედ სო-ფელსა შინა ქუეშე ქუეყანისა; დანაესაგან ესხა, პერსეი, უჩინებულესი გმირი, რომელმანცა განგმირა მედუზუა, ხო-ლო უკანასკნელ მნემოსინისაგან ესხნეს ცხრანი უკუე მუ-ზნი, ანუ ასულნი.

დავითიან. რაჲ ჯერ არს შენიშუნად მათ ყოველთათჳს, რომელნიცა ირიცხებოდიან იუპიტერის შვილებად?

იოანე. არა ჯერ არს გულის-ხმობად ჰაზრისა მებრ ასოებ-თისა; არამედ ესე, რომელ ძენი იუპიტერისანი თქმითა ამით ძუელთა მწერლებთა შორის მნიშვნელობდენ დიდ გმირე-ბად, და ამაღლებულად სხჳათა ყოველთა კაცთა ზედა; და ეს სახედვე ქალნიცა მისნი ირიცხებოდენ სხჳათა დედათა ზე-და დიდებად, გარნა ჟამსა გარდახდომილებისა თჳსისასა და-სდებდნენ ბრალსა იუპიტერსა ზედა, და ამით დაჰფარვიდენ მეცთომილებათა თჳსთა.

---

დავითიან. ვითარ რაცხდენ ნეპტუნს?

იოანე. ზღვის ღმერთად და მბრძანებელად წყალთა,

ალმფურთვნელად ზღვისა, და დამაწყნარებელად ღელვათა.

დავითმან: ვისი ძე იყო იგი?

იოანე: სატურნისა და რეისა, მამა დიდისა იუპიტერისა; მეუღლე მისი იწოდებოდა ამფიტრიტად, ასულად ოკიანისად.

დავითმან: ვითარისა სახითა გამოხატვიდენ ამას?

იოანე: სადაფისა ეტლსა ზედან მჯდომარედ, რომელსა შინა ებნენ ზღვისა ცხენები, რომელთაც ნახევარი ტანი უკან-კერძოდ აქვნდა თევზისა; მარჯუენითა ხელითა ეპყრა ფიწა-ლი სამთითიანი სკიპტრისა წილ, და სამეფო სკიპტრაცა, უბრ-ძანებდის იგი ზღუათა ღელვასა; სახესა ზედან მისა გამოწყ-რილ იყო სიმკვახე დიდებულებისა, ანუ შეჭმუხვნა დიდე-ბულებისა; წინაშე ეტლისა მისისა ჰსცურავს ტრიტონი ანუ ზღვის ადამიანი, ტანით თევზივით ქაცვიანი, რომელიც აყვი-რებს საყვირსა, მოხრილსა ზროხისა რქისასა, მსგავსად საყ-ვირისა. ესე ტრიტონი იყო ძე ნეპტუნისავე და ამფიტრიტი-ასი, მეორე კერძო ამისი იყო ადამიანისა და ქუემორე თე-ვზისა დაფარებული ქაცვით.

დავითმან: რაჲ აქუნდა ნეპტუნს თჳსად დამორჩილებულ და ანუ რაჲ ერჩდენ მას?

იოანე: ყოველნი უკუე მდინარენი და წყარონი, თჳთეუ-ლისა უკუე მდინარესა ესხნენ თჳსნი საკუთარნი ღმერთნი; და ესე ღმერთი მდინარეთა გამოიხატებოდა მოხუცის სახედ, მდგომარედ შორის ლერწმოვანთა და მიმყრდნობელად ხელ-თა სათავისადმი მდინარეთა, რომლისაგან გამოსდიან წყალნი.

დავითმან: ვითარნი ღმერთნი იყვნენ და ანუ ჰგიებდენ წყა-ლთა მათ შინა?

იოანე: ნაიადნი (ზღვის ურლანდნი), ნერეიდნი (ზღვის ნინ-ფნი, ანუ ზღვის ფერიანი), სირინოზნი, (ქალ-თევზნი)

დავითმან: ვითარისა სახითა წარმოიდგინებოდნენ ესე წყა-ლთა ღმერთნი? იოანე: ახალ გაზრდად მშვენიერთა ქალთა სახედ, თავიდამ სარტყლამდისინ, წელს ქვევით თევზთ სახ-ედ. ესენი იყვნენ მხლებელნი ანუ მოსამსახურენი დედოფ-ლისა თვისისა და ესენი აღწერდენ ტომართა ანუ დავთართა სხვათა მისთა მსახურთა. ხოლო ოდეს სეირნობდა იგი ზე-მო პირსა ზედ ზღვისა ეტლსა შინა მჯდომარე, მაშინ შებმ-ულ იყუნეს ეტლსა მას შინა ორნი უკუ დელფინნი, ანუ ზღვის ღმერთნი, რომელთაც დაჰყვანდათ იგი.

დავითმან: რაჲ სათანადო არს შენიშვნად სირინოზთათჳს?

იოანე: იგინი იყვნენ მშვენიერნი ქალნი, რომელნიც სას-იამოვნოსა ხმისა სიმღერითა თჳსითა მოაცთუნებდენ ზღვაში მცურვალთა ანუ მოსიარულეთა, და მით მიზდევდენ თვისად უფსკრულსა შინა ზღვისასა ანუ წყალთასა.

---

დავითმან: ვინ იყო ღმერთი ქუესკნელისა სოფლისა?

იოანე: პლუტონ, ძე სატურნისა და რეისა, ძმა იუპიტ-ერისა, რომლისაგანცა მიიღო თვისად სამფლობელოდ სამეფო

ქჳესკნელისა, ხოლო ღმერთი ესე იყო ესეოდენ მავი სახი-თა და სხეულითა, რომელ შესახედავისა და საშინელებისაგა-მო მისისა, არცა ერთი სხჳანი ბოროტნი ანუ ღმერთნი არა მოწადე იყვნენ, რათამცა აქუნდეთ მონაწილეობაჲ მასთანა ტახტისა და თანა შეინახეობისა. პლუტონ იძულებულ იქმნა ტრფიალებისა გამო პროზერპინისა მიტაცებად, რომელიც ასული იყო ცერერინისი, და კარგისა ღოთჲსა დამცჳელმან სრულ ჰყო საწადელი თჳსი და მიიტაცა, ოდესცა იგი რო-კვიდა ნინფებთა (ანუ შინამურთა) თჳსთა და ჰკრებდა ყუავილთა სხჳა და სხჳა სახეთა. პლუტონ ჩუეულებისა-მებრ წარმოიდგინების ეტლისა ზედან მჯდომარე, რომელსა შინა აბიან ოთხნი ცხენნი; მარცხენისა ხელითა უპყრიეს ორ-თითი, მსგავსი სკიპტრისა, და თავსა ზედან ადგას გჳრგჳნი რვალისა.

დავითმან: რაჲ არს სამყოფო ქჳესკნელისა?

იოანნე: ესე გჳარი უკუე ადგილი, სადაცა სულნი მომ-კვდართ კაცთანი მიწლებლობენ, ანუ ჯილდოსა კეთილსა კეთილისა საქმისათჳს, ანუ ჯილდოსა დასჯისასა ბოროტისა საქმისათჳს. ხოლო კეთილის მოქმედთათჳს იყო ველი ელი-სეისა სავანედ; და ბოროტთათჳს სამყოფლად ტარტაროზი, და მუნ იტანჯებოდნენ.

დავითმან: ვინ უკუე ხმილავდა ქჳესკნელისა სო-ფელსა?

იოანნე: ცერბერი, დიდი სამთავიანი ძაღლი, რომელიცა შვილი იყო ტიფონლილანტისა და ექედნესი. ესე დაბ-

მული იყო ბჭესა ტარტაროზისასა ჯაჭვითა. ესე საშინელი ურჩხ ძველი მიელოქუცებოდა შემავალთა ყოველთა, ვინცავინ შესწოდნოდიან მესლოად და სანახავად ქრის-სჯულის ქრისტიანისა, და ესეცა უტევებდა მათ. ოდეს ცნებათ უკუნქცევაჲ, მაშინ არავის უტევებდა გარე მათ-განსა.

დავითმან: ვითარისა სახელით იწოდებიან ოთხნი უკუ-მდინარენი ჯოჯოხეთისანი?

იოანე: ოთხნი ესე მდინარენი იწოდებიან სახელითა ამით: 1) სტიქსად 2) აქერონად, რომელ ესე მდინარენი ფრიად მწუ-ხარე არიან გემოთი: 3) კოციტად და 4) ლეტად, ანუ მდინარედ დავიწყებისად, რომლითაცა შემსმელნი მიეცემიან მეხსიერების დაკარგულებასა ანუ აღმოცილებასა ყოველსა ნამყოსა საქმეთასა.

დავითმან: რაჲ სათანადო არს მნიშვნელად მდინარისა სტიქსისათჳს?

იოანე: მდინარესა ამას ფუცავდნენ ღმერთნი და, ოდეს და-ითფიციან, მაშინ ფიცი ესე იყო დაურღვეველი.

დავითმან: ვითარ იწოდებიან მსაჯულნი ქუესკნელის ქუე-ყანისანი?

იოანე: მინოსად, ეაკოსად და რადამანტად.

დავითმან: ვისდამი რწმუნებულ იყო ტანჯვად ბოროტ-თა კაცთა?

იოანე: ფურიათა, ანუ ევმენიდამთა; იგინი იყვნენ სამნი, ესე იგი: ტიზიფონა, მეგერა და ალექტო. ამათ რაცხვიდენ ასულებად ღამისად და საყდრისად; გამოხატვიდენ ამათ

ალგზნებულითა ალებითა, და თავსა ზედან ხუცულითა გუწ-ლებითა ნაცვლად თმათა მქონებელად.

---

დავითმან: ვინა იყო აპოლლონი?

იოანე: ღმერთი მოლექსეობისა და საზოგადოდ ყოველისა განათლებისა და მოშაირობისა, და მფლობელი ათთა მუზთა ანუ საკრავთა.

დავითმან: ვითარ გამოხატულ ჰყოფენ მას?

იოანე: ესრეთ, რომელ ხელთა შინა უპყრიეს მას ჩანგი, და დამღერის მას სიღმრთოთა გალობითა, განთიადისა ცისკრისა მარავანდედოვანსა მსგავსად თავსა ზედა ადგას გვირგვინი დაფნისა; ფერხთა ქუშმე მისთა სხუა და სხუა გუარნი უკუე იარაღნი მწყობარე, რომელნიც თავს ეყვიან სხუა და სხუა გუარითა სწავლათა. ოდესმე წარმოადგენენ მას მჯდომარედ ეტლსა ზედა მარავანდით მოსილსა, რომელსა შინა აბიან ოთხნი უნენი ცეცხლ მფშუშუეელნი, განმლეველად ზეციურთა ზოდიაქთა,. და მიმფენელად კეთილ მაწარმოებელისა ნათლისა თჳსისა ყოველსა სოფელსა ზედა; და აგრეთვე გამოხატულ ჰყოფენ მას მზის სახედ.

დავითმან: ვისი შვილი იყო აპოლლონ?

იოანე. იუპიტერისა და ლატონასი.

დავითმან: სადა იშვა იგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე: კუნძულსა შინა დელოსისა ეგეისა ზღვასა შინა, ერთბამად დისა თჳსისა დიანასა.

დავითმან: ვითარნი მთანი იყუნენ საკუთრად შეწირულნი აპოლონისადმი?

იოანე: პარნასისა და ჰელიკონისა მთანი. ხშირადღა ჯდებოდის იგი წუერსა ზედან პარნასისა გუნდთა შორის მუზთასა, მროკვეთა დამოთამაშეთასა; რომლისგამო მთაჲ პარნასისა შერაცხილ იქმნა მთად მოლექსეთა.

დავითმან: ვითარნი წყარონი გამომდინარეობდენ მთათა ამათგან.

იოანე: ამა მთათა ქუეშე გამომდინარეობდენ წყარონი ორნი. პარნასის ქუეშე წოდებული წყარო კასტალისად; ჰელიკონის ქუეშე წყარო იწოდებოდა იპპოკრენიად; წყაროთა ამათ მოლექსენი მიაწერდენ დიდსა ქებასა და სხუა და სხუათა ხასიათთა. ორნივე ესე მთანი არიან ქუეყანასა შინა ფესალიისასა.

დავითმან: სადა იყვნენ ჩინებულნი ტაძარნი აპოლონისნი?

იოანე: უჩინებულესი უკუე ტაძარი მისი იყო მახლობელსა დელფიისა, და ამა ტაძრიდამ მისცემდა იგი ქურუმთა და ორაკულთა წინასწარმეტყველებისა სულსა ყოველსა სოფელსა შინა; შორის ამისსა იყო ნაპრალი, რომლისაგანცა აღმოდიოდა ბნელი უკუე კუამლი, და ნაპრალსა ამასზედა იდგა სამფეხიანი სავარძელი, რომელსა ზედა მჯდომარე იყო მღვდელი აპოლონისა პიფია, რომლისა პირითა მეტყუელებდა აპოლონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმან. რაოდენნი იყვნენ მუზნი?

იოანე. ცხრანი, ესე იგი: 1) კალიოპა. 2) კლიო. 3) ერატო. 4) თალლია. 5) მელპომენ. 6) ტერპსიხორა 7) ევტერპა. 8) პოლილიმნია. 9) ურანია: ყოველნი ესე ღმერთნი მთავრობდიან სწავლა და ხელოვნებათა ზედა; ესენი იყვნენ ასულნი იუპიტერისა და მონემოსინიისა.

დავითმან. თჳთეულნი ამ მუზთაგანი საკუთრად თჳსად რაჲსა უფრო განერთოდენ?

იოანე. კალიოპა იყო მუზა გმირობის მოთხრობისა.

კლიო, მუზა ისტორიისა.

ერატო, მუზა მეჩანგეობის სიმღერისა.

ტალია, მუზა კომედიისა.

მელპომენა, მუზა ტრაღედიისა.

ტერპსიხორა, მუზა ტანცობისა, ანუ როკვისა.

ევტერპა, მუზა საკრავისა.

პოლილიმონია, მუზა იამბიკოთა.

ურანია, მუზა ასტრონომიისა.

დავითმან· უწყით თქუენ უკუე ფრანციცულნი შაირნი, უფლის პეროლტისანი, მუზთა პატივისთჳს შეთხზულნი?

იოანე. უწყი მე, რომელ დიდებული კალიოპა, ჩინებულითა მოლექსეობითა თჳსითა განთქმულ ჰყოფს საკჳრველთა უკუე ღუაწლთა მამაცთა გმირებთასა და ამას ზედა არს დამოკიდებულ გმირთა პოეზია.

მართალი კლიო, ჩინებული ისტორიკოსი, განასაუკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოეებს დიდებასა ჩინებულთა მოკვდავთა.

ყოვლად შუენიერი უკუე ერატა, მარტივთა გალობათა შინა, გალობს სიყვარულსა ჭაბუკობისასა და ჰყუარობს სიმღერათა აშიკობათასა: მხიარული და ცელქი ტალია, მხიარულ ჰყოფს მაყურებელთა თიატრსა შინა განმრთუნილითა თამაშობითა თჳსითა; ჩინებული მელპომენი, წარმოაყენებს წინაშე ერთა, ხელმწიფეთა გამომცდელთა შემძლებელობისა სიკუდილისათა და ტრაღედიისა, ანუ მგლოვიარობისა ლტოლვილი; ტერპსიხორა, ფრიად მოყუარული როკვისა, მისცემს განკარგულებასა როკვისასა, ზომიერებასა და ტანცობისასა.

განშორებული ევტერპა, აჩრდილთა ქუეშე ბუჩქოვანთასა მჯდომარე, ალავსებს ხეივანთა საამურითა დაკვრითა სალამურისა ბგერისათა, და აგრეთვე მასზედა არს დამოკიდებულ მუზიკა.

სულმთქმელი პოლიილიმნია, აღგზნებული საღმრთოთა აღტყინებითა, ბგერისავეთანა დიდ ხმოვანისა ჩანგისათა, ჰგალობს ღირსისა ხსოვნისა საქმეთა წარმოებულთა და საქებულთა ლექსთა; ხოლო ყოვლად ბრძენი ურანია, აღმაღლდების ცათა შინა კადნიერითა მიმოფრინვითა აზრთა თჳსთათა.

დავითმან. დიანა ვითარ იროცხებოდა ძუელად?

იოანე. იროცხებოდა ღმერთად ნადირობისა და მთოვარისად.

დავითმან. ვისი ასული იყო იგი?

იოანე. იუპიტერისა და ლატონისა, დაჲ იყო აპოლონისა.

დავითმან. ვითარ გამოხატვიდენ მას?

იოანე. ოდესმე ორის ირმით შებმულსა ზედა მჯდომარედ, რომელსა ეფარა გრძელი უკუწ პირბადე შემკული სრულიად ვარსკვლავებითა და ნახევარ მთოვარე ნაცვლად გვირგვინისა თავსა ზედა მდგომარე, და ამისთვს იწოდებოდა ღმერთად მთოვარისა და ღამისად; ხოლო ოდესმე გამოხატვიდენ მოკლის ტანსაცმელითა მოსილსა, და ხელთა შინა მშვილდისრისა, და ქარქაშხილოფით მორტყმულად წელთა ზედა და თანად მყოლებლად ასისა ძაღლისა ტყეთა შინა მდევნელად ნადირთა, და ესრეთ იწოდებოდა ღმერთად ნადირობისა

---

დავითმან. ძველადგან ვითარ რაცხნდენ მინერვას?

იოანე. ბოლინად სიბრძნისა და ბრძოლისად.

დავითმან. ვისი ასული იყო იგი?

იოანე. იუპიტერისა. მოლექსენი მიაწყრენ მას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ იგი იუპიტერის თავიდგან იყოს წარმოებული; და ესე ნიშნავს, რომელ ყოველი უკუნ სიბრძნე წარმომდინარეობს ზეგარდამო ღვთისამიერ ღმერთებთასა, ყოვლად ბრძენისა და ყოვლად სრულისაგან.

დავითმან. ვითარითა სახითა წარმოიდგინების მინერვა?

იოანე. სრულითა აღჭურვილებითა ესე გუარ, ვითარცა ღმერთი ბრძოლისა, რომელსა ხურავს თავსა ზედან ჩაფხუტი (ჩაჩქანი), უპყრიეს მარცხენითა ხელითა ფარი, რომელზედა გამოხატულ არს მედუზინისა თავი გველებითურთ მოსისინეთი; მკერდსა ზედან აკრავს ბექთარი და მას ზედაცა არს მედუზინისავე თავი გამოხატული, ხოლო ოდესმე ესე მედუზიის გამოხატულის თავით ფარი, ბექთითურთ, იწოდებოდა ჰელიდიის საჭურველად, რომლისა გამო სრულიად მხედრობანი მოვიდოდიან შიშსა და ძრწოლასა შინა შეხედვითა ამა საჭურველთათა.

---

დავითმან. მარსი რად იწოდებოდა საშინელ ღმერთად ბრძოლისა და ანუ ვისი ძე იყო?

იოანე. მარსი იყო ძე იუპიტერისა და იუნონასი, ამას წარმოადგენდენ სრულისა საჭურველითა ჭურვილსა, ესე იგი: შუბითა, ფარითა, ჩაჩქანითა, ბექთარითა საზაროდ აღჭურვილს. ხშირადრე სდგა იგი ფეხზედა, ეტლსა თვისსა ზედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიისწრაფვიდა ომისადმი, რომელსა ებნეს ორნი უნ[illegible] ანუ ცხენნი მალნი, წინაშე მისა მიურბოდა გაშმაგებული ბელლონა, კაცა თმა გაშლილი, აღჭურვილი იარაღითა და პირსისხლიანი, მარჯუენესა ხელსა მისსა ეპყრა შუბი და მარცხენესა ფარი, რომელიცა ირცხებოდა ბრძოლისა და მკვლელობისა ღმერთად.

დავითმან. ვინ იყო ვენერა?

იოანე. ყოვლად მშუენიერი ღმერთებთაგანი, ღმერთი სიყვარულისა და მშუენიერებისა, მომთხრობელობენ რომელ იგი შობილ იყოს ზღვისა ქაფისაგან, ოდესცა იშვა იგი, მყისვე მიიღეს მთათა და გრაციათა, რომელიცა დიდებულისა სახითა მიიყვანეს იგი მთასა ზედა ოლიმპიისასა. ყოველნი უკუე ღმერთნი აღტაცებულ იყვნენ მშუენიერებითა მისითა და ყოველნი თვითეულნი მადგანნი მოსურნე იყვნენ, რათამცა ესვათ მათ იგი ცოლად, გარნა იუპიტერმან მისცა იგი ცოლად ყოვლად დუხჭირსა სხუათა ღმერთებთაზედან ვულკანსა, ჯილდოდ მისა, რომელ იგი ვულკან უკეთებდა მარადის იუპიტერს მეხისა ისრებსა მტერთა ზედა მოსახმარებლად.

დავითმან. ვინ უკუე შეადგენდენ მსახურებასა მისსა?

იოანე. კუპიდონ, გრაციები და მთიები.

დავითმან. რომელნი იყვნენ გრაციები?

იოანე. გრაციებნი იყვნენ სამნი, ესე იგი. აღლაია, ტალია და ევფროსინა, იგინი გამოიხატებიან შიშვლად საამურისა სახითა ურთიერთისა მპყრობელად ხელთა, ოდესმე იჩვენებიან მრგუელად გარემოს შესაწირავისა; ხოლო

გრაციანი უკუე ირიცხებოდიან ნუგეშინისცემის ღმერ-თებად.

---

დავითმან. ვითარ რა ჰხდენ ძველად სახელით ვულ-კანსა?

იოანე. ვულკანს რაცხდენ ღმრთად ცეცხლისა და მჭედე-ლთა. იგი იყო ძე იუპიტერისა და იუნონასი. გარნა უშვე-რებისაგამო სახისა მისისა, ოდეს იშვა იგი, მაშინ მამამან მისმან ვითარცა იხილა ეს სახედ ძე თჳსი, გარდმოაგდო იგი ზეცით, რომელიცა გადმოგდებისაგამო მისისა მოსტყდა მას ფერხი, და ამისგამო დაშთა მკელობლად.

დავითმან. ვითარ გამოხატულ ჰყოფენ მას?

იოანე. მას წარმოადგენენ სამჭედლოსა შინა გამომხატ-ველნი ესრეთ, რომელი ერთისა ხელითა უპყრიეს კვერი და მეორითა მარწუხი; წინარე უდგას ზინდი და მას ზედ ან გამოჰკვერავს რკინათა, და ოდესმე დამწკარუნებელი ანუ და-მაკაკუნებელი. ზინდსა მასზედა ნიშანი იყო განსაღვიძებ-ლად ციკლოპთა მოსამსახურეთა თჳსთა.

---

დავითმან. ვინ იყო ეოლე? (ანუ ჰეოლო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე. იგი იყო ღმერთი ქართა, რომელიცა დახშეოდა ქართა მღვიმეთა და კლდისა ქუაბებთა შინა, და მუნიდგან ოდეს ენება გამოუშვებდის.

დავითმან. რაოდენნი არიან უპირველესნი ქარნი?

იოანე. ოთხნი, ესე იგი: აკვილონ, ბორეი, ზეფირი და ჰევრი.

დავითმან. ვითარ ქარ დ ჰსდებდენ აკვილონს?

იოანე. მძვინვარედ და ფრიად ცივად; მოლექსენი მიაწერდენ, რომელ იგი იყო ძე ჰეოლოსი და ავრორისა, რომელნიცა მიაწერდენ მას გუწლის კუდიანობასა და თმა თეთრობასა.

დავითმან. ვითარი იყო ბორეი?

იოანე. ესე იყო ჩრდილოეთისა ქარი, ხოლო ყოველთა საქმეთა თჳსთა ზედა ოდესცა ილიზარდა ესე, რათამცა მოეტაცნა ორფეია, შეუდგა ამას, ასული ერიკტევიისა.

დავითმან. ვინ იყო ზეფირი?

იოანე. დასავლეთის ქარი. ზეფიროდ ჰსდებენ წყნარსა დღესა, და გრილსა ნიავსა ზაფხულისასა, მეუღლე მისი არს ფლორა, ღმერთი ყუავილებთა.

დავითმან. ვინ იყო ჰევრი?

იოანე. ესე იყო აღმოსავლეთის ქარი. —

დავითმან. ვითარსა ღმერთად რაცხდენ ცერერას?

იოანე. ღმერთად პურისა და მიწის მუშაკობისად. მას გამოხატულ ჰყოფდენ ერთის ხელითა მპყრობელად ძნისა და მეორითა მანგლისა (ნამგალისა); თავსა ზედა ყანისა თავ-თავით მოკრულად. იგი იყო ასული სატურნასი და რეისა, დაჲ იუპიტერისა, რომლისაგანცა ჰყუანდა ასული პროზერპინისა, მიტაცებული პლუტონის მიერ.

დავითმან. რასა ხელოვნებასა მიაწერენ მას?

იოანე. მან ასწავა კაცთა ხვნა და თესვა, და მიწათა მუშაობა, და მოიყუანა მოქალაქობათა შინა კაცნი ლიტონნი და განუნათლებელნი. —

დავითმან. ვისი ძე იყო ბახუს?

იოანე. ბახუს იყო ძე იუპიტერისა და სემელიასი; გარნა იუნონაჲ დიდად შეშურნე იყო სემელიასი და მზაკვარობის სახით შეაცთუნა იგი და ასწავა, რათამცა ეთხოვნა მას მეუღლისა თვსისათვს იუპიტერისა, რათა აჩუენოს მან მეხის მპყრობელობის სახე, თუ ვითარ იგი იქნებოდა მეხის სახედ სახილველი; და მან უსმინა ვედრი მისი და ცხად-უყო მოქმედებაჲ თვსი, რომლის ალისა ძლით და გამოკრთომისა გამოელვისა ალსპობელ იქმნა მოკუდავი ესე სემელია; ჩჩჳლი ბახუს განარინა ასწრაფლად იუპიტერმან წარწყმედისაგან.

დავითმან. ვითარ ღმრთად რაცხდენ ბახუს?

იოანე. ღმრთად ბრძოლისა; ვინაჲდგან მან ასწავა დარგვაჲ ვენახისა და გაკეთება ღვინისა. მას წარმოადგენენ ეტლსა ზედან მჯდომარედ, რომელსა შინა უბიან ერთი ლომი და ორი ვეფხვი; თავსა ზედან აქვს ვაზის გვირგვინი და ჴელთა უპყრიეს კვერთხი ვაზისა, რქითა შეხვეული. მსახურსა მისს სილენს წარმოადგენენ მთვრალსა, მჯდომარეს და მიმავალსა კარაულითა, რომელსა წინა უძღვიან მროკველად ფავანნი, ვაკხანკნი გაწეწილითა თმებითა, რომელნიცა არიან ესენიცა მთვრალნი.

---

დავითმან. ვისი ძე იყო მერკური?

იოანე. ძე იუპიტერისა და მაიისა, ასულისა ატლასოვიისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმან. რაჲ იყო თანამდებობაჲ მისი?

იოანე. იგი იყო ეჯიბი ანუ მაუწყებელი იუპიტერისა და სხუათა ღმერთებთა, რომელთა ნებას და ბრძანებას აუწყებდა იგი მოკუდავთა; და ეგრეთვე წარიყუანდა სულთა სასუფეველსა შინა პლუტონისასა. ხოლო უკანასნელთა ხორცთაგან განსრულთა ირიცხებოდა მჭევრმეთქუჳობის და ჰსწავლათ ღმერთადაცა.

დავითმან. ვითა წარმოიდგენდენ მას?

იოანე. სახესა შინა ყმაწვილ კაცობისა, მკვირცხლობისა, ფერხთა ზედა ფრთების მქონებელად და ფრთისავე ქუდითა; ხელთა შინა მპყრობელად ღეროლდულისა კვერთხისა, რომელსა ზედა შეხვეული იყო ორი უკუჱ გველი.

---

დავითმან. ვინ იყო ვესტა?

იოანე. ასული არტუნაჲსა და რაისა, დაჲ ცილისა იუპიტერისა, ღმერთა ცეცხლის, უბიწოების და ქალწულების მოყუარებისა.

დავითმან. ვითარ წარმოადგენდენ მას?

იოანე. გრძელითა უკუჱ სამოსლით მოსილსა და პირბადითა ჩამოფარებულითა, ხელსა შინა მყრობელსა ცეცხლისასა.

დავითმან. ვითარ იწოდებოციან შემწირველნი მისნი?

იოანე. ვესტალკებად, რომელთა საქმე მსახურებისა მათისა იყო, რათა ცეცხლი სამსხუერპლოსა ზედა ღუთისჳსა არასოდეს დაშრეტილ იყო, და თვითცა მარადის დაეცუათ უბიწოებაჲ თჳსი.

---

დავითმან. ვითარ რაცხდენ ძველად ციბელიას?

იოანე. მას რაცხდენ ღმრთად ქუეყანისად: იგი წარმოიდგინებოდა ეტლსა ზედა მჯდომარედ, რომელსა შინა ებნენ ორნი უკუე ლომნი, ოდესმე ერთი ლომი და მეორე ვაზრი ერთის ხელით დაყრდნობილ არს ქუეყანისა სფერასა ზედა, ხოლო მეორით უპყრიეს რქაჲ ყანწის სახედ, ნაყოფიერებით სავსე, ანუ უხვებით სავსე, და თავსა ზედა ადგას საქალაქო გვირგვინი გოდოლებრი.

---

დავითმან. მითხარ მე იაზონისაც?

იოანე. იაზონ იყო ძე ჰეზონისა და ალკიმედიასი: ხოლო მამა იაზონისა გარდაგდებულ იყო ტახტისა თჳსისა პელიასისმიერ არა ღვიძლისა ძმისაგან თჳსისა, და ესე პელიას ეძიებდა წარწყმედას იაზონისას, გარნა ჭაბუკი ესე გმირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიზარდა საიდუმლოდ ბრძენის სირონისაგან, ოდეს მოიწივა სრულს ჰასაკსა შინი, მაშინ შეჰკრიბნა მის დროჲსა ჩინებულნი უკუჱ გმირნი და წარვიდა ერთბამად კოლხიდასა შინა, პოვნისათჳს ოქროს მატყლოანის კრავისა. ლაშქრობასა ამას ეწოდების ლაშქრობა არღონავტთა.

მისრული კოლხიდასა შინა, ხელმწიფე მეუნებური მიიღებს მას და აღუთქვამსკა მიცემად მისა ოქროს მატყლოვანის კრავისა, უკეთუ აღასრულებს იგი სამსა უკუჱ მისდა შეუკვეთილს საქმესა, ესე იგი: 1) რათა იგი შეებას ბუთანსა შინა ორთა ცეცხლისა მფშმუწველთა ხარებთათანა და მოხნას ერთად რაოდენისამე დღისა მიწაჲ, და დასთესოს მას შინა ურჩხულისა უკუჱ კბილები; 2) რომელ ამა ურჩხულის დათესილთა კბილებთაგან აღმოცენდებიან მხედრობანი; და ამათ თანა აძსთ, რათა აღწყვიტოს სრულებით; ხოლო 3) რათა მოკლას მან ცეცხლ მფშმუწველი საშინელი ურჩხული, რომელიცა ჰსცვიდა ოქროს მატყლოვანს ცხოვარსა.

იაზონც ეთახმა ამ პირობასა ზედან და ეძიებდა ღონეს რაჲსამე, თუ ვითარის სახით აღასრულოს აღთქმა ესე. მაშინ ამ გარემოებით გარემოცული იაზონ, იხილა რა ასულმან მეფისამან მედეიამ, რომელიც ტყუჱ ქმნილ იყო მშუჱნიერებისა გამო ამა იაზონისა. ესე ქალი უკუჱ იყო ფრიად მსახურელი და მიუწოდა გმირსა მას თვისთან იდუმალ- დარქუა მას: მეწყალოვის მე ქაბუკობაჲ შენი, და მე გიხსნა შე̃

ხელთაგან მათთა, და მისცა მას ტანსაზედა წასასმელი წამალი საკვირველი, ქუა და დასაძინებელიც წამალი მეზაებული და რქუა: წაისვი წამალი ესე ტანსა ზედა და მივედ ხართა მათთანა და მოხან და დასთესე კბილნი იგი და არა რაჲმე გევნების, ოდესცა აღდგნენ მხედრობანი ჰსტყორცენ ქუა ესე, რომელნიცა ურთი ერთსა აღხოცენ. და ოდეს მიხვიდე ურჩხულთან, მიეც ესე დასაძინებელი წამალი, რომელიც ველარას გავნებს. დაესრეთ სრული ჰყავ აღნათქუამი მენი-იაზონ მადლობელი წავიდა და წარიღო წამალნი ამა მანქანისა წამალი იგი, ქალისაგან მიცემულნი. წარისო ტანსაზედა, და მივიდა კართა მათ ცეცხლისა ალთა მფრქუეველთადმი, მან შეაბნა გუთანსა მინა, მოხნა ადგილი იგი დანიშნული, ხოლო ხართა-მათ ვერარაჲმე ავნეს, და მერე დათესნა კბილნი იგი ურჩხულისანი, მყისვე აღჰსდგნენ მხედარნი მეჭურვილნი, და მოისწრაფდიან იაზონისადმი, ყოველის გვარის საჭურველებითა, ესე იგი შუბით, ხრმლით, ისრებით და სხუთა იარაღებითა. ოდეს დაუახლოვდენ იაზონს, მაშინ ჰსტყორცნა მან ქუაჲ იგი მიცემული მეფისა ასულისაგან და მყისვე დაიწყეს მხედრობათა მათ ურთიერთისა ხოცაჲ და აღისპნენმცა სრულიად. უკანასკნელ განემართა იაზონ ურჩხულისადმი და ოდეს მიუახლოვდა ურჩხელსა მას დასაძინებელი იგი წამალი, და შთანთქმისავე წამსა დაეცა ურჩხული ესე მკუდარი მიწასა ზედა, და მერეთ აღიღო ჯილდოდ ღვაწლისა თვისისა ოქროს მატყლოსანი ცხოვარი იგი და მოვიდა თვისთა თანა მხიარული და მიულოცეს ყოვე-

ლთა, და მერეთ მოვიდა თვისისისა საყვარელისა მეფისა ას-
ულისა მედეიასადმი და სიყვარულით შეიტკბეს ურთიერთ,
და მასვე ღამესა შინა დაუტევეს კოლხიდა, და ორნივე საყ-
ვარელნი ლაშქრითურთ თვისით განემართნენ იაზონისა
ქვეყანისადმი: იაზონმან შეირთო მედეია, რომელმანც უშვ-
ნა ორნი ძენი, და შემდგომად რაოდენისამე დროჲსა მოიძ-
ულა იაზონმან მეუღლე თვისი, და სუროდა სხჳსა ზედა
ქორწინებაჲ; მაშინ მედეიამ წარუგზავნა, სასძლოსა მისსა ძვ-
ირფასნი უკუჱ შესამოსელნი; მან სიხარულითა მიიღო იგი,
და ოდეს შთაიცუა ტანისამოსი იგი, მყისვე აღეგზნო იგი
ცეცხლითა, იწვებოდა და ესრეთ საბრალო სრულიად დამწვარ
იქმნა: რა ამა საქმისათვის იხილა მედეიამ განრისხებული ქმა-
რი თვისი, მყისვე მანცა განრისხებულიმან დახოცნა ორნ-
ივე ძენი თვისნი. მხილველი მისი იაზონ მეცადინეობდა შურის
გებასა მედიასსა, გარნა მედეია გაფრინდა ეტლითა ორითა
ურჩხულითა შებმულითა და განერა ხელთაგან მისთა.

დავითმან. მითხარ მე ისტორია ფეზეიასიცა?

იოანე. ფეზეი იყო ძეჲ ათინის მეფის ჰელეის და ჰესფ-
რიასი, და ესე იყო აღზრდილ ტრეცენიასა შინა დროსა
კარისადმი პაპისა თვისისა, რომელისაცა დედაჲ თეზეისა იყო ასუ-
ლი ტრეცენიისა მეფისა. ჟამსა ორსულობისასა ჰელეიმ უბძანა
დაშთობა ჰევრისა მამისადმი თვისისა მიზეზითა ამით, უკეთუ
იგი შობს ვაჟსა. რათა აღზარდოს პაპამან თვისმან და იყო
იგი მუნ დრომდე, ვიდრემდის შემძლებელ იქმნეს აღებად
დიდის უკუჱ ქვსა მის, რომელსაც ქუჱშე ჰელეიმ დაფლა

უკუჱ თვისი ხმალი და ჩექმები; შემდგომად რა მოიწია ჟამი ყრმისა მობისა ჰევრამან მჳა თეზეი, და ოდეს აღიზარდა ყრმა ესე და მოვიდა სრულსა ჰასაკსა შინა, მაშინ გმირმან ამან მოყვნებულმან დედისაგან თვისისა დიდოსადმი მის ქჳსა, ასწივა ქჳასა მას და აღიღო იგი, და აღმოიღო ხმალი მამისა თვისისა და ხმალნი, შეიბა ხმალი იგი და შთაიცო ხმალნი იგი, და ესრეთ წარემართა შემდგომად ათინასა შინა?

მგზავრობასა ამას შინა, მოსრნა მრავალნი მკუმრენი, რომელნიცა ხვდებოდიან მოგზაურთა და მრავალთა ხოცდიან და ჰსტანჯევდიან. და ოდეს იხილა ჰელეიმ ძეჲ თვისი, იცნა თვისისა ხმლისა გამო.

თეზეიმ აღასრულნა მრავალნი სხუა და სხუა უკუჱ სახელოვანნი და ჩინებულნი საქმენი, გარნა სხუათა ყოველთა საქმეთა ზედა ესე უფორე უდიდებულეს იყო რომელ, მოკლა მან საკვირველი ესე ცხოველი სახელით მინოტავრად წოდებული, ხოლო ცხოველი ესე იყო შემწყვდეული კრიტის ლაბირინტსა შინა, რომელიც იზრდებოდა მუნ შესრულთა კაცისა ხორცითა. ოდეს შევიდა მას შინა თეზია ენება მხეცსა მას შებმაცა ამისი, რომელმანცა ბრძო მას რაოდენსამე ხანს და უკანასკნელ მოკლა საკვირველი ესე ცხოველი.

და ოდეს განემართა თეზეი საბრძოლად ამ მხეცისა, აღუთქვა მამასა თჳსსა ესრეთ, რომელ უკეთუ იგი ბედნიერად აღასრულებს შრომასა თჳსსა, და უკმოიქცევის, მაშინ ნიშნად იგი განშლის ოეთრსა უკუჱ ბავრაყსა ხომალდსა

მას შინა და ესე იყო ნიშანი მძლეველობის, და[illegible] ვერ სრულ ყოფს ღვაწლსა თჳსსა და მოკუდების, მაშინ აღმართა შავსავს ბაირაყსა. გარნა შემდგომად ძლევა შემოსევის, ოდეს უკუნიქცა ხომალდით, დაავიწყდა მას ნიშანი მიცემული მამისადმი თჳსისა, და ნაცულად თეთრის ბაირაყის, აღმართეს შავი ბაირაყი, მაშინ მხილველმან უბედურმან ჰელეიმან მგონებელმან წარწყმედის ძისა თჳსისამან, სიყვარულის გამო წარმკუეთელმან სასოებისამან, გარდაიგდო თავი თჳსი ზღუასა მას შინა და მოიმთო იგი. მიზეზითა მით იწოდების ზღუა ესე დღესაც ჰელესის ზღუად.

დაუკანასკნელ თეზე იქმნა მეფედ ათინისა შემდგომად მამისა თჳსისა, რომელიც მეფობდა ბედნიერად, და მოიყუანაცა ბედნიერებასა ქუეშე ყოველნი ქვეშევრდომნი თჳსნი: ხოლო შემდგომად სიკუდილისა მის, სახსოვრად აღუშენეს მას მშუენიერნი უკუე საურთხეველნი.

---

დავითმან. მითხარ მე ჰეკტორისაცა?

იოანე. ჰეკტორ იყო ძე პარიამის და ჰეკუბას მეფისა ტროიანელთასა. ოდეს გარემოადგა ქალაქსა ამას ტროადს, მეფე აღამემნონ სრულიად სხვათ მეფეებითა ბერძენთათა. ესე ჰეკტორ იყო ზარის დამცემი ბერძენთა მხედრობისა, რომლისა განწყობა ვერა რომელმან მეგმირმან თავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდო, და მის მიერ მოიკლინენ ათასნი ჩინებულნი გმირებნი. და მერეთ ებრძოლა ჩინებული გმირი უკუშ პატროკლე და, ესე'ცა მოიკლა ლეკტორისგან, რომელსაც მერეთ უწოდებ-დენ მერმენნი, ოდესმე სასტიკსა და ძლიერსა მფრინველსა და ოდესმე მყუდროსა 'ყუსა; გარნა უკანასკნელ ლალატით მოკლა იგი ახილესმან ბრძოლასა შინა, რომელსა მიშველს ილიის მიპარვით დასცა უკუშ შუბი და მით განგმირული ჰყო საკვირველი ესე გმირი ლეკტორ.

დავითმან. იყვნენ სხუანიცა ღმერთნი გარდა ამათსა’

იოანე. რომ აღვრიცხოთ, თითქმის დიდს სიმრავლეს შეა-ადგენს მრავალ ღმერთობა და ყოველს ქუეყანასა ზედა თვითეულს სახელსმწიფოს, თვითვეულ სამეფოს, და თვით-ეულთა სამთავროთა, თითქმის ოროლნი, სამ-სამნი და უმე-ტესნი ყუანდეს ღმერთებად და ესვიდენ მათ, რომელთა სა-ხელი თვითვეულად თქმად შეუძლებელ არს და უვრცელესად იხილე ძველთა ბერძენთა და ინდოელთა წერილთა შინა მეტოლოლიისათა. მაშინ დავითმან აქო იოანე, და უთხრა: ახლა კი ვირწმუნებ შენს ქადაგებას თუ ჩემი მოძღვარი დასტურს მომცემს.

იოანე. რომელს მოძღუარს ბრძანებთ, ექვთიმეს თუ სხ-ვაცა გყავთ ვინმე?

დავითმან. არსენი თბილელი?

იოანე. უი ჩემ თავს, რამდენი მოძღვარი გყოლიათ.

დავითმან. მე რადგან ბევრის ცოდვის მოქმედი ვარ, სამი მო-ძღვარი მყავს. ერთი, მღვდელი; მეორე არიქმანდრიტი.

მესამე ეპისკოპოსი, რომ ეს სამნი ძლიერ მოერევიან ჩემ ცოდვას რომ ზიდონ; და მეოთხე შენ იქნები, როდესაც მთავარ დიაკვნად ეკურთხები, და დანამთენს ცოდვას შენ აგკიდებ. მაშინ ზურაბმა მოახსენა: ბატონო დივანბეგ, მართლა კარგი სახედარი უშოვეთ თქუენს ბარგს, თუარ ესე, ვერა ვინ ატარებს.

დავითმა. თუ ჯერ გახედნილია მართლად შეიძლებს.

ზურაბმამ. გაუხედნელი რად იქნება რეკტორის ხელში გაზდილი, და ახლა ფიცხელაურს ბერთან მყოფი. ვგონებ ზურგიც ჰქონდეს წამხდარი.

ზურაბმან. მაგისთვის ეჭვი არ უნდა! მაშინ იოანემ: უი შე უკეთურო, რას ანბობ ზურაბ? და ამა ხუმრობით მიიწიენენ კელის ციხეს; მდივანბეგი მივიდა გარსევანთან, გარდახდა და ესენიც ჩამოხდენ ერთის გლეხისას.

რა გარსევანმან მდივანბეგი იხილა, უთავაზა, ერთმანერთი მოიკითხეს, და სადილობის დროც იყო, გარსევანმან უთხრა მდივანბეგს, სადილი შივილოთ, და მერე განვემართოთ ქალაქისაკენ. რა სადილი მოილეს, დავითმან იოანე დიაკვანი მოიკითხა, და უთხრა ეშკაალაშს: თუ ინებებთ, ქუაბთა ხევის მონასტრის დიაკუანი თან მომყუა და მოუწოდოთ მას სადილად.

გარსევანმან. მოქადაგე! მამინ გარსევანმა უბძანა თვისსა მსახურსა და მოუწოდეს იოანეს ზურაბითურთ.

იოანე მოსრული გარსევანთან ეტყვის: მშვიდობა თქუენდა პასლენიკ-მოურავ-ეშკაალაშო!

გარსევანმან. სულისაცა შენისათანა ალავერდელ- ბოდ-ბელ-ნეკრესელო?

იოანე. გმადლობ მაგ ტიტულიების ბოძებისთჳს.

გარსევან. თქუენ გშუენით ეს ტიტულები, რადგან ყო-ველით დიდათ ეკკლესიებთა შინა, ვითარცა გნებავთ ქადაგებთ.

იოანე. ცუდი ხომ არა მითქუამსრა?

გარსევანმან. მეტი რაღა უნდა ჰსთქო, მღდელნი აღარ გაუშვი და მამრნი გაულანძღუნი.

იოანე. ვითარ აღმოაჩენთ?

გარ. კანეინობით.

იოანე. მაგით არ დავისჯები, მე ჯერ რუსული ენა არ ვიცი და სიტყუა რომ გამრუდდეს თქმაში, რადგან სხუა-ნიც კანეინობით ეძახდენ მას.

გარ. კანეინა, კაენის ცოლის ნიშნავს, და კნეინა თავა-დის ცოლს.

იოანე. ჩამ ცუდად არ მიწოდებია სახელი.

გარ. როგორ ცუდად არ გიწოდებია? ძმის მკვლელის ცოლად აღმოაჩინეთ, და მე ძმა არა მყოლია.

იოანე. ყოველნი ქრისტიანენი, ერთმანერთის ძმანი ვართ. და კაენს რამდენი ძმა ჰყუანდა?

გარსევანმან. ერთი, რომელსა ეწოდა აბელ.

იოანე. კაენმა ერთი ძმა მ ო ჰ ლ ა, და . . . . . მა-მაშინ განრისხდა გარსევან და ენება გალახვა ამა დიაკუანის. გარნა ჯიმშერის შვილმან არ უტევა გასალახავად და უთ-ხრა: გარსევან უნდა, დამიმტკიცო თუ ვითარის სახით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოცეს ესე ოდენნი ძმანი ჩემნი.

იოანე. მოთმინება იხმარეთ, მოგახსენებ.

გარსევანმან. თქვი?

იოანე. შენს პასლენიკობაში არ მოიქეც იმ სახედ, რა-
გვარადაც მეფეთაგან იყავ ინსტრუქპიებით წარვლენილი,
და მეტადრე ამა მეფის დროს?

გარსევან. შენ რაიცი თუ რა ინსტრუქციები მქონდა
რწმუნებული და ან ვინ მეგატყობინებდა.

იოანე. მე იქ ვიყავ ოდესცა მეფემ სრულიად ქართველთ
თავადნი შეკრიბნა, და წარგვიკითხათ თვისნი აზრები, რო-
მელიც თვით თავითაც მოიწონეს, და დაამტკიცეს. მერე
თუჩნ სამნივე ძელი ცხოველზედ დაგაფიცესთ და ისე იმ
წერილით გაგისტუმრეს.

გარსევანმან. ვინ შეგიმეებდა შენ იმ შეკრებულებაში.

იოანე. მერწმუნე თუ გსურთ სულ ზეპირ გეტყვი,
რაჲცა წერილი მოგცეს.

გარსევანმან. თქვი?

იოანე. მეფემან თავისი მამის დადებული, ტრაკტატიც
დაამტკიცა, რომელიც ესე ყოველთა უწყიან, და ესრეთვე
თჳთც შესძინა რაოდენნიმე პუნკტნი.

გარსევანმან. მითხარ, რომელი?

იოანე. პირველი, ესე მემკვიდრითი მემკვიდრე სახლისა-
გან სამეფოსა, არ მოიშალოს. და იყოს მეფე, და მორ-
ჩილ ვითარცა სხვათა ხელმწიფეთა ქვეშევრდომ ყო-
ფილან.

მეორე. მეფის ძენი იცვებდენ ისევ მამულთა თჳსთა.

მესამე. თავადთ აზნაურთ, ვაჭართა და სამღვდელოთა ეს გუარი პატივის ცემა აქუნდეს, როგორც მათს ქუეყანას-შინა არს.

მეოთხე. სამართალი და სჯული იყოს ისევე ქართველთა.

მეხუთე. რადგან სპარსეთის ხელმწიფე მიუღებს ერევანს და განჯას, ნაცვლად ამისა მიეცეს ოცდა ოთხი ათასი სუ-ლი გლეხი.

მეექვსე. ათს წელიწადს, სახელმწიფო ხარჯი არ ეთ-ხოვებოდეს მეფის და თავადთ ყმას, რადგან ყეენების დრო-საც აძლევდენ ხარჯს იმ სახედ.

მეშვიდე. ექვსი ათასი ჯარის კაცი ყოველთვის იყოსი მეფესთან, რომ მტერნი მოიგერონ საქართველოსნი, ვინემ მეფეც გააწყობდეს საკუთარსა ჯარსა თვისსა.

მერვე. მადანნი ამუშაონ და მით ისარგებლონ და იქა-დმ ათის თავი ეძლიოს მეფეს. ესე იყო პირველი სათხო-ვარნი, ხოლო სხვანი, რა სხუათა წვრილმან საქმეთა შეეხე-ბოდა, იგი იყო მოსვენებულ. იხილე აწ — მცოდნია თუ-არა. აჰა მდივანბეგიც იქ იყო, და ამანვე გარდათარგმნა. მა-შინ მდივანბეგმან: დია ჭეშმარიტია, ხოლო გარსევან დუ-მნა.

რაჲ მცირედ შეექცნენ სადილს და საკმაოდ ისმიეს ღვინო, გარსევანმან . უთხრა დიაკუნს: შენ რომ ელჩობას მიწ-უნებ, ვის გაგზავნიდენ ჩემზედ უკეთეს ელჩს მეფენი?

იოანე. თუ ჩემთვს ეკითხავთ ვისმე, მე იმისთანა ელჩს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვანახამდი, როგორიც ბაბამი იყო.

გარსევან. რომელს ბაბამს ანბობ?

იოანე. ვეზირის ძეს თავადს ბაბამს, რომელიც მოსრულ არის სპარსეთიდამ და სახლობდა ტფილისს კარისკაცად.

გარსევანმან. მე კარგად ვიცნობდი იმას, რაქნა მაგი თანა საქმე, რომ გაუკვირვებიხარ?

იოანე. ოდეს სრულიად ადრიბეჟანის ხანებმა ქარემხანთან უჩივლეს მეფე ერეკლეს, და ენება ქარიმახანს ჯარის გამოსევა საქართველოზედ, მაშინ ვითა გაისარჯა ბაბამი იცი შენ ხომ?

გარსევანმან. აღარ მახსოვს. მითხარი, თუ რომელთა ხანებთა უჩივლეს.

იოანე. ისმინეთ: დარუბანდის ხანმან, სალიანის ხანმან, ბაქოს ხანმან, შამახიის ხანმან, ნუხის ხანმან, განჯის ხანმან, ყარაბაღის ხანმან, ყარადაღის ხანმა, ერევნის ხანმან, ნახჩევნის ხანმან, ხოის ხანმან, თავრიზის ხანმან, ურმიის ხანმან და მარაღის ხანმან. ამ ყოველთა შეასმინეს მეფეს ესენი. მცნობმან ამისმან მეფემ ირაკლი, გაგზავნა ბაბამი ქარემხანის წინაშე, თავის მართლების წერილებით, გარნა ოდეს მივიდა ბაბამი, ამა ზემოხსენებულთა ხანების ელჩებსა სრულიად დაუყო პირი წინაშე საშინელისა მის ხელმწიფისა და ყოველნი თავის ჰსჯულის კაცნი ცრუდ აღმოაჩინა. ერთგულობისა გამო მეფისა, და საქართველოზედ მომავალი-მხედრობა სამოცი ათასი კაცი ადრიბეჟანელთ გარ-და უკუნ აქცევინა და აგრეთვე ჟამსა ამის ი[illegible]ბისაცა

მოვიდა ხონთქრისა ელჩი წერილებითა, რომელსა შინა ეწერა ქარუმ ხანთან, რომ შენი აშვებული ლომი დააბი, და ნუ აკლებინებ ქვეყანას, თორე ბრძოლა იქმნების ურთიერთისა შორისო, რომელ მეფე ირაკლი ჩვენთა მეზობელთა ფაშებთა დაებეზღებინათ ხონთქართან; და ამა ელჩსაცა პირი დაუყო და ყოველნი ჰაზრნი მათნი შთამალნა. ქარუმხანმა ჯილდოდ სამეფო ნიშნები, ფარვანი და სხვა საჩუქარნიც გაარიგნა, და ესრეთ წყალობიანის ელჩობით მეფესთან პირნათლად უკუმობრუნდა და ესე ყოველნი მოართო და აღუსრულნა. ნახე მისი პატიოსნება. მითომ იგი თათარი იყო და თქვენ სამნი ლესპანნი ქრისტიანენი. თუ ვითარ მოიქეცით მართმადიდებელის კარზედა ესეცა ცხადია. მაშინ ამისი მსმენელი გარსევან წამოხტა და თავისის ჩიბუხითა ენება გალახვა და უთხრა: ნახე ამ ქიზიყელს, რომ თათრის ამხანაგადაც არლა მაგდებს, მაკრამ კიდე დიანბეგმან დააშმვიდა გარსევან. მაშინ იოანეს უთხრა გარსევანმან: მე ჩემს უამხანაგოდ საქმე არ დამიქერიაო.

იოანე. რომელს ამხანაგებთან?

გარსევანმან. გიორგი ავალისშვილთან, და ელიაზარ ფალავანდის შვილთან.

იოანე. სხუა თქუენი წინამძღოლი ვილა იყოო.

გარსევანმან. ლომქაროვი. სერგი ლაზარიჩი.

იოანე. უფროთელი სომხის გჯარი; შულავერელი გლეხი?

გარსევანმან, დია.

იოანე. მან თარგმნა წიგნები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარსევანმან. ჰე

იოანე. რაღა თარგმანი ეჭირებოდა ამ დივანბეგის ნათარგმნსა რომ ორივე ენა უკეთ იცის: ქართულიც და რუსულიც, და თვით მემკვიდრემ და სხუათაც მოიწონეს ის თარგმნული?

გარს. ლაშქაროვმან არ იყაბულა.

იოანე, ქრთამი არა მიეცითრა თარგმნისა.

გარსევანმან. არა.

იოანე. მაშ ის სწორედ თარგმნიდა!

გარსევანმან. ეგ კი არ ვიცი.

იოანე. პასლენიკმან უნდა იცოდეს; მარტოკა თეთრის გროვება არ ეყოფა. რატომ აბითეიბსაც არ აკისრე

გარსევანმან. ლაშქაროვმან არ გარია საქმეში რადგან მეფე ერეკლესაგან გაზრდილი იყო.

იოანე. მაშ ჰგავს მეფის პურ მარილი ხსოვნებია და რატომ შენ არ გარიე საქმეში.

გარსევანმან. მე რასაც ლაშქაროვი მეტყოდი უნდა მექმნა.

იოანე. მაშ გავს რომ იმის სიტყვით დაივიწყეთ მეფის პურმარილი.

გარსევანმან. მემკვიდრის ბრალია.

იოანე. ვითარ?

გარსევანმან. ჩემი და არ შეირთო ცოლად და სხვაში გაცვალა.

იოანე. ევროპიაში გაზრდილი ვარ. ხომ იცი ცოლქრმობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიმანერთის ნებაზედ არს დამოკიდებული

გარსევანმან. დიაღ. ხომ წარგიკითხავს ქართლის ცხოვრება თუ გიორგი სააკაძემ, რა უყო მეფეს თავის ქალის გაშვებაზედ.

იოანე. რა კარგად ქნა ან იმან, მაგრამ ჯვარ დაწერილის და ისე ნალაპარაკევის ცოლქმრობაში დია განყოფილება არის.

გარსევანმან. ვიცი მაგრამ, არ მოვინდომებ კეთილს, დავითისთვს და ალექსანდრესთვს.

იოანე. გავს ალექსანდრეს ყაზახის, და დავით მოყრობის გულისთვს დევნი; გარს. დია მართალს ანბობ.

იოანე. შენ ყაზახის მოურავი ხარ და ალექსანდრე ბატონისშვილი, და თუ თქვენ და ენდრონიკეს შვილები და ზავდეთ რომ პაპა შენს ერთის საბალახე ღორის წაგვრისთვს მარჯვენე მხარი ამოსჭრეს ბექიანად, ამ შენის ბატონის შვილებს როგორ ვერ დაზავებთ მცირეს ძლვენებისთვს.

გარსევანმან. ენდრონიკანთ სისხლში მომცეს.

იოანე. დია მოგცეს სისხლში.

გარსევანმან. ერთი სავენახე ადგილი და ოთხი კომლი კაცი.

იოანე. მეფე ირაკლიმ, და მეფე გიორგიმ, კახეთში ორი პირველი სოფელი გიბოძეს, . . . და . . . . რომ ორასი კომლი კაციც იქნება და მეტი რა გინდოდა.

გარსევანმან. მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა

ჩავა ჩემს გულში, არღა ამოვა.

იოანე. რაღა მოწამენი გვიჴმს თქუენის პირით აღიარეთ: და ამისთჳს მოგახსენე რომ ბაბაში უფრო სარწმუნო კაცი ყოფილა თქუენზედ. გამგონე მისი გარსევან განრისხდა, წამოხტა და თავის გძელი ჩიბუხი დაჰკრა თავში, კუნკული გააგდებინა, ანაფორა ჩამოახიეს და პანღურით კარში გამოაგდეს, და უთხრა: შე ქიზიყელო ჩოჩინავ, შენგან ვის ეკადრება ესდენი შეურაცხება: ხოლო იოანე თავმიშველი მოვიდა თავის ცხენებთან და შემოეხვივნენ სოფლელები და ჰკითხვიდენ შემთხუევასა მას; იოანემ სხუა არა რა უთხრა მათ მხოლოდ ესე რომელ, ჭეშმარიტებისთჳს ვიდევნებით, და ამ ჟამად ზურაბაც მოვიდა, დახურა კუნკული, ანაფორა გამოუცვალა, და განემართნენ ქიზიყისკენ: გარსევან და დიამბეგი წარვიდენ ქალაქისკენ.

იოანე სალომოხანს მივიდა გურჯაანს, და ერთსა ნუნებურს კაცს ჰკითხა, ქიზ-ყის მოურავის შვილები არიან ვინმე აქა. მან უთხრა: მოურავი ზაქარიაც აქ არის და ახვანიც მისი სახლის კაცნი. იოანეს დია იამა და უთხრა: ზურაბს: მიდი მოურავს ჩემ მაგიერ ლოცვა კურთხევა მოახსენე, და სახლი მითხოვე. ზურაბ იახლა მოურავს, და იოანეს მაგიერ თაყვანის ცემა ჰკადრა და სახლი სთხოვა, მოურავმან უბოძა სახლი, და შეუთვალა: ვახშამად ჩვენთან ისერეთო. იოანე დაბინავდა, და მოემზადა ვახშმის დროს მოურავთან წასასვლელად. რა ვახშმის დრო მოვიდა, მოურავის კაცი მოუვიდა იოანეს და წაიყვანეს. იოანე ნისრუ

ლი მოურავთან თავს დაუკრავს და ეტყვის: მშვიდობა თქუენ-ნდა ბრწყინვალეო მოურავო ჩუენო. ზაქარიამ: სულისაცა შე-ნისათანა გარსევანის მოძღუარო.

იოანე. ღმერთმან მაშოროს იმისთანა მოწაფე.

ზაქარიამ. დასაწუნარია იმისთანა მოწაფე?

იოანე. ღმერთმანი გვიან გამცემს და რასაკვირველია გუ-ლით მოვიმდომებ იმის მოწაფობას.

ზაქარიამ. რადგან საღმრთო კაცი ხარ, მაინც უნდა კიდე ასწავლო და მცნება მისცე.

ზურაბამ. ბატონო მოურავო, თუ ეს თქუენი სახელო კაცი მოძღვრებას არ დაიშლის, ვგონებ აღარც წელი შერ-ჩეს ცემით, და აღარც წვერი გლეჯით.

ზაქარიამ. რადგან ბერობა შეუმოსავს, ყოველივე უნდა მოითმინოს ჭეშმარიტებისთჳს.

ზურაბმა. ახლანდელს ჭეშმარიტებაზე, ახლანდელი ტყუ-ლი უმჯობესია.

ზაქარიამ. ვითარ?

ზურაბმა. ამისთანა დრო არის, თუ ამ ბერს გარსევანის საქმე მოეწონებინა ერთს ურემს ღვინოს იშოვნიდა, მაგრამ ჭეშმარიტის თქმისთჳს წელი მოსტეხა ცემით.

ზაქარიამ. სჭირთ რომელთამე, რომელ ხალხში მხი-ლებას იწყენენ თუ უნდა ჭეშმარიტი იყოს და უნდა გუა-მისამებრ მოექცეს კაცს.

ზურაბმა. ჭეშმარიტი ბძანება არის, გარნა თუ გინდა მას დაემდუმებინა ქუანიც ღაღადებენ.

ზაქარიამ. არცარავინ სხუნი არიან მდუმარედ; მე ემადლობ ამ ჩემს სახელოვ კაცს, როგორც ქიზიყელს მჩუენის ისე მოქცევია, ღვინოს ჩვენც გიმოვენით საჩუქრად ნურა ზედ შეჰსწუხდებით, და უბრძანა დასხდომა, და მერეთ მოიკითხა იოანე და გამოჰკითხა მგზავრობის მიზეზი, დიაკვანმან ყოველივე მოახსენა, და მერეთ მოილეს ვახშამი, და სხვანიც მოვიდნენ ენდრონიკეს შვილები მოურავთან და ყოველივე აცნობა იოანეს. ამათაც მოიკითხეს იოანე. და ამანაც მადლობა მოახსენა, და მიჰყვეს ხელი საჭმელს.

რა კარგა შეექცნენ, ზაქარიამ უთხრა იოანეს: შენ და ჯიმშერის შვილმა როგორის შექცევით იმოგზაურეთ, ველის ციხემდისინ? იოანემ. ბატონო მოურაო საღმრთო სიტყვა არ მიიკარა რა ჩუენგან, მხოლოდ მისი კითხვა იყო ძველთა ღმერთებთა ზედა მეტოლოლიურის წერილთაგან.

ზაქარიამ. ჩუენში ძვირად იცის ვინმე მეტოლოლია, და მე დიდად მიამა რომ გისწავლია ისიც. დია სახმარია წერილსა შინა, მოლექსეობის დი ისტორიისა და სხვათაცა შინა მაგალითად მოსაღებელად; მითხარ ტროადის ანბავიც უანბე თუ არა?

იოანე. არა დაგვცალდა მაგა ზედ უბნობა.

ზაქარიამ. დია დაგიმადლებ თუ მიამბობ ბრძოლასა ტროადისასა.

იოანე. ვიცი გიამებათ ტროადის ანბავი, რადგან კეისრის გუარისა ხართ ბერძენთა ომი·

ზაქარიამ. ეგ თუმცა დიდი ხნის ანბავია, მაგრამ კაცს

კიდე იამება თავის ქუეყანის ანბავი. ბუნება ისე აწვევს

იოანე, დია ჭეშმარიტია და ახლა მოგახსენებ: თუ რა მიზეზით შექმნა ბერძენთ მეფემან ბრძოლი ტროადელთა მიმართ.

მოშაირეთა მოუღიათ თვისთა შაირ სიტყუობათა შინა, რომელ ვითამც იუპიტერს, რომელსამე დიდსა განცხრომასა შინა მოუწოდებია ყოველთა ღმერთთათვის და ესრეთ მოხარულთა ურთიერთისათანა გაცხრომით დამტკბართა, არ მოუწვევიეს ღმერთი ჰედერაჲ (ანუ მტერობა)-მცნობი ამისი ჰედერა აღვსილი შურითა და ბოროტებით, გულის მჴსიტყ-ველობდა, თუ ვითარისა სახითა დარღუწულ ჰყოს მან კრება ესე ღმერთთა, და დააბრკოლოს განცხრომაჲ მათი. შემდგომად მოიპოვა მან ღონე ესე, რათა გარდაუგდოს მათ უხილავისა ხელითა ტაბლასა ზედა, ვაშლი ოქროჲსა ღევიზაჲთურთ ყოვლად მშუენიერისა სხუათა ყოველთა ღმერთებთაგან, უმჯობესისა; და აღასრულა მან ჰაზრი თვისი და გარდაუგდო მათ ტაბლასა ზედა ვაშლი იგი ოქროჲსა; და ესმა მათ ხმაჲ ღრუბლით გამო: ესე ვაშლი მისდა იქმნების, რომელიცა უმჯობეს იქნების მშვენიერებითა ურთიერთთაგან. მყისვე გაგონებითა ამით იშუა მათ შორის ბრძოლაჲ; და უმეტეს სამნი იგი ღმერთანი, რომელნიც ერთი მეორეს უმჯობეს იყვნენ, ესე იგი: მინერვა, იუნონა და ვენერა, თვითეულნი ამათგანნი, ითხოვდენ ვაშლსა ამას ჯილდოდ მშვენიერებისთვის, გარნა ვერ მიიღეს მათ კმაყოფაჲ. უკანასკნელ იუპიტერმან არა ინება, რათა აღარჩიოს მან მათშორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმჯობესი მშვენიერებითა და ნიჭებულ ჰყოს იგი ვაშლითა
მით, რომელიც სხვათა წყენასა ერიდებოდა; და ამის გამო
წარაელინა იგინი, ყრმისა მწყემსისა, ყოვლად მშუენიერისა
პარისი პირუთნებელი ყოველსა გუარსა სამართალსა შინა,
რათა მან უსაჯოს მათ, და მისცეს უმჯობესსა ვაშლი იგი·

მოსრულნი მიზდა სამნივე ესე, თვითვეულად ნახვენ მას,
და აღუთქმენცა მრავალსა მოუმაცთუნებელსა ჯილდოსა; პირ-
ველ იხილო იგი იუნონამ და აღუთქუა მას მიცემად დიდისა
სამეფოჲსა და სიმდიდრისა უკეთუ იგი მისცემს მას ვაშლსა
მას, და მერმე მინერვა მივალს მიზდა და აღუთქუამს მას მი-
ცემად დიდისა სიბრძნისა და მეცნიერებისა; უკანასკნელ, მი-
ვალს მიზდა ვენერა, და აღუთქუამს მას სრულიად ქვეყანა-
საზედა უმშვენიერეს ქალის მიცემასა ცოლად, რომელმაც
მიიღო ვაშლი იგი ოქროჲს ჯილდოდ ვენერამ.

აღმთქმისა მებრ თჳსისა ვენერამ, მისცა მცნება პარის და
წარაელინა ლაკედომიასა შინა მოყვანისთჳს ყოვლიდ მშუენი-
ერისა ქალისა ელენასი, რომელიც მეუღლე იყო, თვთ მეფე
ლაკედომონიასი. მენელა. პარისმან წარგუარა მთლად ყოვე-
ლსა სოფელსა შინა, ყოველთაზედა უმშვენიერესი ქალი ესე
დარიგებით ვენერასითა; და იმა მიზეზით და ფიცის მტეხე-
ლობის გამო, აღეგზო გული თვთ მეფეს და სხვათაც მპყ-
რობელით მეფეთა სამტეროდ ტროადელთაზედა, რომელნიც
შეუდგნენ ნაცვალისგებასა მათს.

დროსა მას მეფობდა აღამემნონ მეფე მიკენისა და ესე
იყო სხუთ ყოველთა მეფეთაზედა უწარჩინებულესი, და

ერჩდენ მას სხჳა და სხჳა სახელოვანი გმირები. ძმაჲ ამა მეფისა მენელის მისრული მისდა და ცხად მყოფელი შეუ-რაცხებისა თჳსისა, მიტაცებისთჳს ყოვლად მშუენიერის და უჩინებელის მეუღლის თჳსისა ელენასი, ევედრებოდა ძვირის-ყოფად ტროიანელთაზედა, მსმენმან მისმან მეფემან მოუწო-და სხჳათაცა მეფეთ ბერძენთა და შემოიკრიბნა მხედრობა-ნი ურიცხვნი და მის საუკუნოჲს გმირნი, რომელნიც იყვნენ შემდგომნი ესე: ახილევს, ულისე, დიომიდე; აიაკს, მენელაი, იდომენი, ესე ყოველნი შემოკრბნენ აღამემნონის წინაშე, და ფიცეს ყოველთა ერთბამად აღსპობად ამაყის ტროადისა, აგრეთვე შემოკრბნენ მთლად ბერძენთ მეფენი ვიდრე ოცდა ცამეტამდის, მხედრობით თჳსით, დაფიცეს მათ წინაშე აღამემნონისა აღსასპობელად ტროადის, და მერ-ეთ აღრიცხა აღამემნონმან ყოველნი უკუჱ მხედრობანი, რომელნიც იყვნენ სრულიად რიცხვით 880000 კაცი გან-მზადებულნი საბრძოლველად ტროადელთზედ, და წარემართენენ მხედრობით მით ტროადის კერძოთ

ქალაქი ესე ტროადი იყო აღშენებულ კიდეზედ ფრიგი-ესა მცირესა აზიას შინა, რომელიც იყო ესრეთ დიდი, რომელ სიგრძეს მიაწევდენ ვიდრე 90 ვერსს, ანუ თვრამეტის საათის სავლელს, თჳსის შესაფერის სიგანით, ესე მშუენიერი ქალაქი ჰყუაოდა უმეტეს სხჳათა ქალაქებთ-ზედა და ადრიდგანვე განაღვიძებდა შურს ბერძენთ მეფეთ შორის, შემძლეებელობის და ვაჭრობისგამო თჳსითა. მისრუ-ლნი მტერნი ესე დადგნენ გარემო ტროადისა.

ხოლო ტროადელნიც მცნოდენი მიმავალთ მტერის თჳს ზე-
და განემზადნენ ცხენიც და შეჰკრიბნა მჴედრობანი მეფემ
ტროადისმან პრია პირისპირ ბერძენთ მჴედრობანი, რომელნიც
იყვნენ რიცხვით 686000 კაცი, ხოლო მჴედრობათ მათ
წინამძღოლმნი იყვნენ პრიამ მეფისავე ძენი; ჰექტორ უჩინე-
ბულესი მჴედარი და გმირი ყოველთ ზედ; პარის მიმტაცე-
ბელი ელენესი ძე მეფისა პრიამის, ენეი, სარპედონი და სხვა-
ნიც ჩინებულნი გმირნი და მამაცნი მთავრობის ქვეშე გულო-
ვანის ჰექტორისა უხუცესის ძის პრიამისასა.

და რამოდენიმე დღის შემდგომად შეიქნა, ორთავე კერ-
ძოდ ბრძოლაჲ, და თითქმის ყოველ თვის ჰძლევდიან ტრო-
ადელნი შემწეობით ჰექტორისა, ესე საშინელი მჴედრობა
ორისავე კერძოდ, რომელიც შეადგენდა რიცხვით მეომართ თა
მჴედართა 1566000 კაცთა, მათ განაგრძეს ბრძოლაჲ თჳს[...]
ვიდრე ათს უ ჟუ წელს მოუწყვეტელად, და მოსწყვიდნ[...]
დენორისვე კერძოდ, უმრავლესნი კაცნი. გარდა ჩინებულთ[...]
გმირთა, რომელნიც დაიხოცნენ ჰექტორთაგან ვიდრე ათასნ[...]
გმირნი. და მათ შორის ჩინებული უკუ პატროკლე ეს[...]
განმგმირილ იქმნა ასპარეზს ზედან ჰექტორსგან: ხოლო უკ[...]
ნასკნელ ღალატით, მოკლა სახელოვანი გმირი ესე ჰექტო[...]
აქილევსმან, რომელმანც ჰსცა იოლიას ტიტველსა შინა მ[...]
გი თვისი და მით განგმირულ ჰყო ჩინებული ესე მჴედა[...]
მხი ყველმან მისმან პარიზ, ძმამან ჰექტორისგან, ძია მუ[...]
აქილევსზედა, და, შეაცთუნა იგი მიცემითა მშვენიერ[...]
დისა თვისისა პოლიქსენოსისათა, და აღუთქუა მას ქორ[...]

ნებად ტაძარსა შინა აპოლონისაა. მოსრული მუნ ახილეს ტროფიალების გამო ქალისა მის, და ოდეს შევიდა იგი ტაძარსა მას შინა, მუნ დამალულმან პარის ჰსტყორცნა მას ისარი და ორნივე ფეხისა ქუსლნი განმჰსჭუალვა მით და ესრეთ მოკლა გმირი ახილეს და ალილო სისხლი გმირისათვისისა და იყვნენ კვალად ბრძოლასა შინა. გარნა ტროადი და ამაყნი ტროადელნი იყვნენ შეუძვრელად. მხილველთა მის ბერძენთ ზრახვა ჰყვეს ურთიერთისად თუ რაჲ ჰყონ, ვინაჲდგან უიმედონი შეიქმნენ აღებისთვის ტროადისა. მაშინ ბრძენმან ულისემ, მისცა მათ ჰაზრი თვისი და ჰქმნეს ცხენი დიდი ხისგან ესეთი, რომელიც ხომალდს ესწორებოდა, და შთასხნეს მას შინა ურიცხვნი ჩინებულნი მხედრობანი, და ჩინებულნი გმირებნი, და დაუხშეს მათ კარნი. გარნა კარი იგი იყო უცნობელ, და შიგნით მყოფნი გაალებდენ მას. და დასდგეს პირის პირ ტროადისა. თვით მეფე მხედრობითურთ თვისით აიყარა და განშორდა მათ. რა ესე იხილეს ტროადელთ განისრეს ფრიად და ჰგონებდეს რომელ შეშინებულნი მათგან ივლტვიან ბერძენნი და ჰგონებდენ ცხენისა მის შემოწირვას მათდა, მაშინ ცუდ მორწმუნენი ესე ტროადელნი განვიდნენ, და შეათრიეს ქალაქსა შინა ცხენი იგი, და დაჰსდგეს იგი მაღალს ადგილს ზედა ძეგლის სახედ. ნიშნად შეუმუსვრელობისათვის ქალაქისა, რომელნიც არარაჲმესა მეიქვრელობდენ საფრხესა ბერძენთ მიერ მოგონებულს, და მეეცნენ განსვენებას დაშვებას ტროადელნი. ხოლო ღამესვე მასშინა უკუნ იქცნენ ბერძენთ მხედრობანი, და დანიშნულს დრ-

ოსა შინა განაღეს კარი ცხენისა მის, და გამოვიდნენ დამა-
ლულნი მხედარნი იგი, განუხვნეს კარნი ქალაქის გარეშეთა
მხედრობათა თვისთა და შემოესივნენ ქალაქსა მას, და აღსპეს
სრულიად მცხოვრებნი ქალაქსა მას შინა და დაწვნეს სრუ-
ლიად ცეცხლით ქალაქი იგი და ეს სახედ დაეცა და შეიმუსრა
ამაყი ტროადის ქალაქი. შემდგომად ამა დასრულების ანბისა
იოანემ ალილო თასი დაშესვა ღვინო სადღეგრძელო მოუ-
რავის, და რქვა: დღეგძელდი მოურავო, და მესმის მე ხმა,
გამარჯვებისა თქუენი მეფის, თქვენით ომარხან ზედა,
მისთვს თქვენ მოგახსენეთ აწ ტროადის ანბავი.

მოურავმან მადლი უთხრა, და აჩუქეს ერთი ურემი ღვინო
დიაკვანი მხიარული ადგა მადლობელი, და გამოეთხოვა
მოურავს სადგურად თვის, მოურავიც გამოესალმა და უთ-
ხრა იოანეს. მე ხვალე უკანა მხარს წავალ, მცირე რამ სა-
ქმე მაქვს, და შენ ჩემ კრძო ბატონისშვილს იოანეს მოკ-
ითხვა მოახსენე და მეც ვიახლები ორდღეს უკან ქიზიყს,
და ამ სახით გაიყარნენ ესენი.

ხოლო ხვალის დღე იოანე განემართა ქიზიყისკენ, გარნა
ზურაბმან ურჩივა გზაც ის არის, და მცირე რამ ვისაუზმოთ
ერასტიანთან ძირკოკს, და იმედი მაქვს რომ იქ ვიპოვოთ
ღვინოჲ. იოანემ მოუწონა ეგე რჩევა და მივიდნენ ძირკ-
ოკს, იოანემ გაგზავნა ზურაბ და მოიკითხა ერასტიანი. მაშინ
ნინია ერასტისშვილი ემკაალაში მემკვიდრე მენ იყო და რა
ზურაბმა ცხად უყო იოანეს მისვლა, მყისვე მოუწოდა იოანეს,
და ნახვისაუთანა იცნა, მოიკითხა იოანე. და თავისი ვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობა გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე ცხად უყო, და მე-რე უთხრა ნინიამ: მცირეს ხანს ბაღში შევიქცეთ ვინემ სა-დილიც მოგვესწრობა.

იოანე გაჰყვა მას, და მივიდნენ ერთს მშვე-ნიერს ხეს ქვეშე და დასხდნენ. მაშინ ნინიამ ამოიღო უ-ბიდამ ერთი წიგნი და მისცა იოანეს, ესე წარმიკითხე. ეს არის, ჩეს მეუღლიდამ მომივიდა, რომელიც არის თავის სამშობ-ლოდამ, და რა ჰსწერია მიბძანე, რომ პასუხი თქვენვე მი-გაწერინო. უცხო დროს გნახე, აქ მწერალი არავინ იპო-ებოდა.

იოანე. უი ჩემ თავს! დავით ბატონის შვილს ეშკაალაშმან წიგნი როგორ არ იცითო.

ნინიამ. ყმაწვილობაში კი არვინ მასწავლაო, და ახლა კი ვერ ვისწავლიო. მაშინ იოანემ წარიკითხა წიგნი იგი, რომელ-შინა იწუხებოდა, ავადმყოფობისთვს, და ექიმის შოვნას ანუ წამლების გაგზავნას. რა ესე წიგნი წარუკითხა იოანემ, შე-წუხდა ნინია, და სთქვა: არც ექიმი მყავს, და არც წამლე-ბი მაქვს. მაშინ იოანემ. ქალაქში ვერვის იცნობთ ექიმს?

ნინიამ. თათულას ვიცნობო.

იოანემ. მაშ იმას მისწერეთ წიგნი და თუ ვერ წავა. წამლებს გაუგზავნის. ნინიამ დია დაუმადლა ეს რჩევა და უთხრა იოანეს: ამა წიგნის პასუხი მიმიწერეთ როგორც შენგან ვიცოდე კარგი საამური წიგნი. იოანეს მოა-რითვეს ქაღალდი და საწერელი, და იოანე შიწერს ეს გვარ: ბრწყინვალეო თავადინავ, მოწყალეო ჴელმ-

წიფავ! შენ, საყვარელო, მშვიდო, შენ მხოლოჲსგან ვალდებულ ვარ მე ბედნიერებითა თჳსით, ანგელოზისა ნაზმან სულმან შენმან ჰშჯა გულსა შინა ჩემსა ალი საუკუნოჲსა შეუწნებაო ჩემო, და სიცოცხლის ჩემისა მიზეზო; ოდეს წარვიკითხე წერილი შენი, და ვჰსცან ნარნარისა მაგის მტყანვეულებაჲ, მყის შევიქენ უცნობო და მეც მიკილე ხვედრი შენთან მტკივნეულებისა; ადრითვე სული ჩემი იყო ანბის უცოდნენელ მეჭირვებით, და გამწარებით; ადრითვე მაყურებელ ვიყავ მოგზაურთა. ნუ თუ მსმენოდა რაჲმე განმამხიარულებელის ჩემისა ანბავი, აწ ვჰსცან ნამდვილად უძლებობაჲ თქვენი. ესე მყოფს მე განუსვენებელ და ეს მექმნების მე საწერტელად ვინემდის ვცნობდე მე სიმრთელესა თქვენსა.

საყვარელო და სიხარულო ცხოვრებისა ჩემისაო, შენ წარმომიდეგ მე სახითა ნუგეშინის მცემელის ანგელოსისათა და დაფინეცა ყუავილებით გზანი ცხოვრებისა ჩემისანი და მით განამხიარულე გული შენთჳს ტყვე ქმნილი, გებრალოდე გარემოებისაგამო, რომელ ვერა მოვისწრაფი თქვენდა, ვინაჲდგან მიმელის მეც ასპარეზი რბენად ბრძოლისთჳს საზოგადოჲსა მტერისა. ირწმუნე თუ ციტარით ერთგულებით, სარწმუნოებით და მეგობრობით შეკრულ ვარ შენდა და მით მოიმედოვნე ვჰფუცავ წინაშე შენსა, მიყუარდე შენ. და მიყუარდე ვიდრე სიკუდილმდე ჩემსა. განმახარე მე მშვიდობიანის წერილით თქვენით, და ესრეთ დაატკბეთ გამწარებული სული ჩემი.

სხვებ ვჰკიე თქვენი ბრწყინვალებისა უგულითადესი მე-გობარი. — იოანე.

ოდეს წარიკითხა წერილი ესე, იოანემ ნინიას მყის ღა-ღადყო: ბეჩა, ეგე წიგნი სხვისგან ეგონების მიწერილი, რო-მელიც არშიყობის სახით არის მიწერილი, თუ ნანიაობით არ დამწერ.

იოანე. ბატონო ემკაალაშო, ნინია ყმაწვილური სახელია და იოანე ნათლობის და ესე უმჯობესი არ არის?

ნინიამ. არა, ნინიაობით დამწერე, და ემკაალაშობით და ე-რასტის შვილობით.

იოანე. ბატონო, მეგობრობა რომ დავსწერე, სხვა ვერ-ვინ მისწერს უცხო თუ არ თავის მეუღლეს ამ სახედ.

ნინიამ. არა, ამოფხიკე, ნინია დასწერე.

იოანე. უი ჩემ თავს! იმისთანა მეცნიერი, ემკაალაში ჰყო-ლია მემკვიდრეს და რასაკვირველია საქმეს კარგად განუკარ-გავს. ამოფხიკა იოანემ, და მოაწერა ნინია. მაშინ, აჭამეს სა-დილი, იოანემ მადლი უთხრა და ერთი საპალნე ღვინო აჩუქა, და გაემართა იოანე ქიზიყისკენ.

საღამოს დროს მიიწივნენ კარდენახს. იოანემ უთხრა ზუ-რაბს: ამაღამ აქ ვიყოთ, ხვალე, საბაწმინდის ეკკლესია მო-ვილოცოთ და მერე ქიზიყს მივიდეთ. ზურაბმან მოუწონა და რა შევიდნენ იმ სოფელში, დაუწყეს სახლს ძებნა, მაგ-რამ ვერ იშოვეს სადგომად, რადგან ყველგან ჯარის კაცი იდგა, იოანე იმა სიარულსა შინა, შეხვდა ბებურისშვილს ანჯიქოდ წოდებულსა. რა მან მწუხარება შეატყო იოანეს

ჰკითხა ვის ეძებთ? იოანემ: ამაღამ სადგომად სახლის. ანჯიქომ უთხრა: ჩემთან წამოდი, მე გიშოვი სადგომსო. იოანემ მადლი მოახსენა და წარვიდნენ ერთად. ანჯიქომ მისცა ერთი სადგომი და უთხრა: მცირე განისვენეთ და ვახშამი ერთად მივიღოთ. იოანეს სამზარეულოს გვერდით მისცეს სახლი, და მივიდა მუნ. მცირე ხანს უკან მოიყვანეს ერთი მამალი დიდი ცხვარი, დაჰკლეს და დაუწყეს კეთება, აგრეთვე ხუთი თუ ექვსი ქათამი, გოჭი, ესენიც მოამზადეს. მაშინ იოანემ უთხრა ზურაბს: ესე მართლად თავადიშვილურად გვიპირებს მასპინძლობას.

ზურაბმან. რასაკვირველია თქუენზედ დიდი კაცის შვილი ვერა ეწვევა.

იოანე. არ იცი რომ ხელოსანი აზნაურნი არიან?

ზურაბმან. რატომ არ მითთხარ აქამდი, უკეთ გემსახურებოდით.

იოანე. არ იყო საჭირო, და ახლა გაცნობე ჩემი გუარი.

ზურაბმან. ქიზიყს რომ მოუახლოვდით მით მოგეცა დიდი გული?

იოანე. მე მით არ გავამპარტავნდები. მინდა მეცნობა ჩემი თავი. ამ ჟამად მოვიდნენ სხუანიც ბებურისშვილები, ვახშამიც მომზადდა და იოანესაც მიუწოდეს. მისრული იოანე მოიკითხავს მათ ლოცვით, ბებურიანიც უთავაზებენ და გამოკითხვენ ვინაობასა მისსა, იოანემ ყოველივე აცნობა მათ, და მასთან თავისი ხელოსნობაც, ბებურიანთ იამათ და უთხრეს: ჩუენი მეზობელი ყოფილხარ, აქ ბერულათ

ნულარ მოიქცევი, ისე მოიქეც ვითარცა ქიზიყელ მოყა-ზახეო.

იოანე. უი ჩემ თავს! ლია ცუდად მიქადაგებთო.

ანჯიქომ. შენც უნდა დაგგეშოთ, მოიცადეთ. მაშინ ზუ-რაბმან. ბატონო ბებურისშვილო, ძალლი ხომ არ არის რომ დაგეშოთ.

ანჯიქომა. მე უშოვნი ამას მლვდე ს რომ იმან დაგეშოს. გაგზავნა კაცი და ბებურისშვილი მლვდ ლი იოსებ დაიბარა. მლვდელი მყისვე წამოვიდა. რა შინ შემოვიდა მლვდელი, ჰსთქვა:გამარჯვება შენი ანჯიქო და ბებურიანო. მათთაც უთხრეს: გაგიმარჯო , და მერე აჩუვნეს იოანე. მისალმნენ ესენი ურთი ერთს, და მოიკითხეს და დასხდენ; გარნა იოანე ფიქრობდა, რომ ანჯიქო, რასახელია მე არ მახსოვს რომ წმინდას ერქვას რომელსამე, და არ ვიცი ეგების სომხების; წმინდა იყოს ვინმე. იმა ფიქრსა შინა რომ იყო იოანე, ჰკი-თხა მლვდელმან:

რას ფიქრობ იოანე?

იოანე. ანჯიქოს, თუ რომელის წმინდის სახელია.

მლდელმან. ის როგორ არ იცი, რომ ბებურისშვილს წმინდის სახელს ძნელათ უწოდებენ.

იოანე. რა საჭიროებისთვის?

მლდელმან. განსხვაებისთვის რომ ყოველთ იცნან, ვაჟკა-ცად და ყაზახად.

იოანე. მაშ თქვენ რას გეძახიან? იოსებმან ნაბიჭვრის შვილს, რომ უფრო ნაბ-ჭვარი ცქვიტი და

ყაზახი იქნება.

იოანე. მაშ კარგი მოძღვარი ჰყოლი ხართ.

მღვდელმან. მართლა. აჰა ჩემი მოწაფენი, აიდემურ, ანჯიქო, ქაცახა, ჭუხონი, ვაჩა, და მათ ვასწავლი ყოველთვს ქურდობას, ყაზახობას და არც ლეკების ხოცას უშლი.

იოანე. ეგ ერთი კარგი, მაგრამ სხვების კი რა მოგახსენო.

მღვდელმან· შენც ჩვენი მოწაფე უნდა შეიქმნა, და ესე გასწავლო·

იოანე. მე მოძღვარი მყავს.

მღვდელმან. ვინა?

იოანე. დიმიტრი არქიმანდრიტი.

მღვდელმან. ვიცი, ის უფრო ყაზახი არის ჩემ ზედ მე აღარ გეჭირები, და მაზედ იცინეს ყოველთა. მოიღეს ვახშამი, გაიმართა ლხინი, დაიწყეს სიმღერა, ჩონგურის კვრა, ქოროღლის ლექსების თქმა და სიმღერა და ასე მიაქციეს იოანე, რომ კიდეც ათამაშეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოჰრაბ. ბატონო ბებურიანო, დიალ მალე გაწრთვენით ეს ბერი.

ბებურისშვილმან. ჩუჱნ ასე ვიცით: ამას ამ ორდღეზედ ასე გავწურთნით, რომ საქურდლადაც წავიყვანთ; და ამ შექცევით დაასრულეს ვახშამი. იოანეც გამოეთხოვა და წავიდა თჳსსა სადგომს.

ხოლო ხუალისა დღე, ანჯიქო მივიდა, იოანეს იამა და უთხრა: აქ ბძანდება ბაგრატ?

ბაგრატ აქ არის, ამ ჯარის უფროსად. იოანე გამოემზადა და წარვიდენ ბაგრატისკენ. რა იოანე იახლა ბაგრატს, ეშკაალამმან ცხად უყო იოანე ხელაშვილის მისვლა, ნახვა ინება ბაბარატმან. და რა შევიდა სახლსა შინა და იხილა ბაგრატ, წინ წადგა იოანე, და მოახსენა: დღეგრძელდი მიფის ძევ სარდალ-თელავის-ქალაქ-მთავარო.

ბაგრატმან. გმადლობ იოანე, რომ მეც არ დამაგდე უსახელოდ რადგან ამ გზობით მრავალგან გაგიცია სახელო, და შენც გიშოვნია ნაცვალი.

იოანე. ზოგი ერთმან სახელის მიცემა დია იწყინეს.

ბაგრ. მართლა ეტყობა შენს ანაფორას.

იოანე. უი, ჩემ თავს, ვინ მოგახსენათ?

ბაგრ. სულმან მაუწყა.

იოანე. წინასწარმეტყველთ ტომი ხართ, მცნობელობის მადლი თქუენც გექმნებათ.

ბაგრ. ნუ თუ გვატყუებდე, და ახალი ანაფორა გინდოდეს.

იოანე. ჩემი სიმართლე მით ჩანს, რომ ერთმან ვინმე რომ შეიძლოს და მთელი სამი სამეფო დახიოს, ანაფორის დახევაზედ რაღა ეჭვი უნდა.

ბაგ. დრო'ს ყველა შეუძლიანო.

იოანე. ჭეშმარიტია, ახლანდელი საუკუნო ასე იჩვენება.

ბაგრ. მითხარ რაჲარს საუკუნო?

იოანე. საუკუნო არს განგრძობა დროსი, და შემცველი ასისა უკუე წელიწადისა.

ბაგრ. რაჲ ეწოდების საკუთრად დღესა ანუ ღამესა?

იოანე. დღედ საკუთრად უწოდთ დროსა მას, ოდესცა მზე მოეფინების ქვეყანას აღმოსავლიდამ და განგრძელდების ვიდრე დასვლამდინ მზისა.

ხოლო, ღამედ უწოდთ მას, ოდესცა განგრძელდების დროჲ დასაელითგან მზისა ვიდრე აღმოსვლადმდე.

ბაგრ. რაოდენთა ჟამთა იპყრობს თჳს შორის დღეჲ და ღამე საკუთრათ თჳსად?

იოანე. დღე საკუთრათ ესრეთ წოდებული, შეიცავს თჳს შორის ათორმეტსა ჟამსა: ეს სახედვე ღამეჲ.

ბაგრ. ყოველთჳს ერთ გვარად იპყრობს დღე და ღამე ჟამსა ათორმეტთა, ანუ იცვლებიან?

იოანე. არა ყოველთჳს ერთგვარად არიან, არამედ იცვალებიან, სხუათა და სხუათა დროთა შინა წელიწადისათა, მით, რამეთუ ოდეს'მე დღეჲ იყოფის უდიდეს და უგრძელეს, ოდესმე უმცირეს და მოკლე, ესე სახედვე ღამეც, ვითარცა

ბაგ. რაოდენ ხანგრძლობს თვითოეული ამათგანნი?

იოანე. თვითეულნი დრონი ესე წელიწადნისანი არიან სამ სამ თუჱ.

ბაგ. ოდეს დაიწყება გაზაფხული, ზაფხული. ეგრეთვე შემოდგომა და ზამთარი და რომელს თუჱებში?

იოანე. გაზაფხულად რაცხუჱნ: მარტსა, აპრილსა და მაისის თუჱსა. თბილთა მხარეთა შინა აზიისათა, იწყებენ გაზაფხულს, თერთმეტის მარტიდამ, ვიდრე თერთმეტის თიბათვემდინ. რუსეთს შინა ცხრიდამ, ანუ რვის რიცხვიდამ მარტის, ვიდრე ცხრამდის ივნისისა. სხუანი ევროპიულნი იწყებენ მასვე თვიდამ ოციდგან ანუ ოცდა ერთიდამ გაზაფხულს ვიდრე ოცდა ერთს ანუ ოც და ორს ივნისამდე. ზაფხულად რიცხვენ: ივნისსა ანუ თიბათვეს, ივლისა ანუ კატათვეს, აგვისტოს ანუ მარიამობისთვეს. აზიელნი ჰსდებენ თიბათვის თერთმეტიდამ სეკტემბრის თერთმეტამდის ზაფხულს. რუსნი რვის ივნისიდამ ვიდრე ცხრა სეკტემბრამდის. სხუანი უცხო მხარენი ივნისის ოცდა ერთიდგან. სეკტემბრის ოცდა სამდე. შემოდგომას, აზიელნი ათერთმეტის სეკტემბრიდამ, თორმეტს ქრისტისშობისთვემდე ჰსდებენ შემოდგომად. ამ სამთ თვეთა: სეკტენბერს, ოკტომბერს და ნოემბერს, ანუ ენკენისთვეს, ღვინობისთვეს და გიორგობისთვეს. ეს გვარვე რუსნიცა. სხუანი უცხო მხრისანი ჰსდებენ სეკდემბრის ოცდა ორიდამ დეკემბრის ოცდა ათამდე.

ზამთარს ჰსდებენ, დეკემბერს ანუ ქრისტისშობისთვეს, და იანვარს და ფებერვალს. აზიელნი იწყებენ თორმეტის დეკე-

მზრიდამ, ვიდრე ათს მარტამდინ ანუ თერთმეტს მარტამდინ, რუსეთი ათს დეკემბრიდამ, ვიდრე ოცდა ორს მარტამ-დის.

ბაგ. რომელს თვესა და დროსა შინა იწყებს თანასწო-რობას დღე და ღამე?

იოანე. ესე შემთხვევა იქნების წელიწადს შინა ორ გზის ესე იგი. პირველ გზის იქნების ოცდა ერთსა ანუ ოცდა ორს მარტის დღეს რიცხვსა ამავე თვსასა, მეორე გზის იქ-ნენის ოცდა ორსა ანუ ოცდა სამსა რიცხვსა შინა სეკტემ-ბრისასა, სხუათა მხარეთა შინა ათერთმეტსა რიცხვსა ამავე თვსასა და ამის გამო ორნივე დრონი ესე იწოდებიან თა-ნასწორობად დღისა და ღამისად.

ბაგ. ვითარ იწოდების განთიადის სუსტი იგი სინათლე ანუ რიჟრაჟი, რომელიც იხილვების ვიდრე სრულიად აღ-მოსვლადმდე მზისა და შემდგომ დასვლისა მზისა.

იოანე. ნათელი იგი, რომელიც იხილვების უწინარეს აღმოსვლისა მზისა, იწოდების დილისა ცისკრად: აგრე-თვე განთიადად, ანუ ავრორად. ოდეს ეხედავთ ჩუენ მზის დასვლისა დროს ნათელს, იწოდების იგი მიმწუხრად, აგრე-თვე ბინდ ბუნდად, ანუ დაბინდებად.

ბაგ. რაჲ არს არდადეგი, რომელსა ლათინნი უწოდებენ (კანიკულა.)

იოანე. არდადეგად ანუ პაპანად, იწოდებიან თვით უცხელ-ესნი დღენი წელიწადსა შინა ზაფხულისასა. ნახევარ ივლ-ისიდგან ანუ კათათვიდგან, ნახევარს აგვისტომდი ანუ მარი-

ამობისთვემდე დღენი ესე ვიდრე ერთი თვე განგრძელდების ყოველთვის იწოდების (კანიკულად) ამისთვის, რომელ ლათინურედ, ძაღლსა ვარსკვლავსა ეწოდების (კანიკულა) ყოველსა ამა დროს შინა აღმოვალს ვარსკვლავი ესე და დადის ესრეთ მახლობელ მზისაგან, რომელ იფარვის შარავანდედითა მისითა.

ბავ. ოდეს იყოფიან თვით უგრძელესი და უდიდესი დღენი.

იოანე. ვარსკვლავთ მრიცხველთა მებრ, რომელსაც საღმრთო წერილიც ემოწმება, მზე მიიქცევა ზამთრიდამ ზაფხულისადმი, დეკემბრის ანუ ქრისტეშობის თვის თორმეტიდამ, და წავა დღე მატებაში, წვრილ წვრილად, ვიდრე ივნისის ანუ თიბათვის თორმეტამდის, რომ ამა რიცხვებსა იქმნება აზიაშიც, დღე ვიდრე თექვსმეტ საათამდინ? მოსკოვსა და პეტერბურღსა შინა ვიდრე თვისა მეტსა და ცხრამეტს საათამდის:

ბავ. ოდეს იქმნების თვით უმოკლესი დღე. და მივალს მზე ზამთრისაკენ?

იოანე. თიბათვის თორმეტიდამ დაიწყებს დღე წვრილ წვრილად კლებასა ვიდრე ქრისტეშობის თორმეტამდის და უკანასკნელს რიცხვებში იქნების განგრძელებულ ღამე, აზიასა შინა ვიდრე თუთხმეტიდამ თექვსმეტ საათამდის; მოსკოვსა და პეტერბურღსა შინა თვრამეტიდამ ვიდრე ცხრამეტამდის საათისა და უმეტეს პეტერბურღს შინა, რომელსაც რაცხვენ შვიდის დეკემბრიდამ ათორმეტს რიცხვამდინ ამა თვისა, დღესა ხუთ საათად და ოცდაათ წამად, და ამ საკ-
ედვე ღამის სიდიდეს თიბათვის რვიდამ, ვიდრე ამავე თვის

ათერთმეტადმდე!

ბაგ. ცვლილება ესე ერთ სახედ არს სხუათაც შინა ქუეყ-ნებთა?

იოანე. არა. მუნ არს განსხუება, მდებარეობისაებრ ად-გილისა, თუ რომელი ქუეყანა რომელს ხარისხზედ დგას და მით თუ ვითარ მახლობელობს მზეჲ: მდებარენი ადგილნი ეკვა-ტორისა ქუეშე და მხარენი მის ქუეყანისანი, თითქმის ყოვ-ელთვის თანასწორებენ, მუნ ადგილს შინა დღე და ღამე; და არიან ეს გვარნი ქუეყნებიც, რომელსა შინა ზაფხულ უფრო ერთის სათისა მეტობს ღამეჲ: აგრეთვე არიან ქუეყანანი ესგვარნი, რომელთ შორის არს ექუსი უკუე თვე ღამე, და ეს სახედვე ექუსი უკუე თვე დღეჲ: (*) და დასამტკიცებე-ლად ამისა იხილეთ ქუეყნისა სიმრგვლისა ღლობუსად წოდე-ბული სახეჲ·

ბაგ. რაოდენნი ჰქონან დღენი ერთსა წელიწადსა?

იოანე. სამას სამეოცდა ხუთი.

ბაგ. ყოველ წლივ ამ რიცხვით შედგება წელიწადი?

იოანე. არა. ყოველთვის, სამწელიწადის შემდგომად მეოთხემ

---

(*) ექვსი თვე ღამე და ექვსი თვე არის არხანღელიის ქუეყანა-სა შინა. ციბირის მხარეს: აგრეთვე სამხრეთის კერძოცა არის ეს გუარი უკუე ადგილი: იტყვიან, რომელ ზამთრით რომ არხანღე-ლიაში არის ექვსი თვე ღამე, სამხრეთის ადგილს დღე არის ექვსი თვე. და ოდეს ზაფხულში არხანღელიაში არის ექვსი თვე დღე მუნ სამხრეთში არის მაშინ ექვსი თვე ღამე, და ესე არის მიზეზი მზის მიწევისა დამოწევისაგამო.

წელსა მოუმატების კვალად ერთი დღე: და ამის გამო იწოდების ნაკის წელიწადი იგი: სხუნი წელნი მარტივად?

ბაგ. რაჲსაგამო წარმოებს ესე ცვლილება?

იოანე. ამისგამო, რომ მთლად ყოველსა წელსა მარტოდ არა აქუს სამას სამოცდა ხუთი დღე, არამედ რაოდენიმე ჟამი ანუ საათიც აქუს მითულილი; და ოდეს აღვრიცხავთ დამეტებულთა ჟამთა ამათ, მაშინ ოთხსა წელიწადს შეადგენს იგი ოცდა ოთხსა საათსა, და ესე იქნების მეოთხე წელსა ერთი დღე მეტი, რომელ არს, სამას სამეოცდა ექვსი დღე, და მაშინ ფებერვლის თვე იქნების ოცდა ცხრის დღისა მექონ.

ბაგ. რომელნი ძველათ ესრეთ თვილიდიან თვეებთა, ვითარცა აწ ჩუენ?

იოანე. არა, იგინი, მხოლოდ ათს თჳედ ჰსთვლიდიან, შემდგომას შესძინეს ორი უკუშ თვეცა და ამასთანავე იწყებდენ პირველს წელს ანუ ახალსა წელსა მარტის თვიდგან.

ბაგრ. ვითარ იწოდებიან იგინი, რომელთაცა განმართეს (კალენდარი) ანუ წელთა აღრიცხვა. ანუ ვინ განმართა ესე წელთა რიცხვი?

იოანე. პირველად განმართა იულიოს კეისარმან, უწინარეს ქრისტეს შობისა, ორმეოცდა ექვსის წლის წინად: შემდგომად მეათცამეტე გრიგოლი პაპმან; შემდგომად შობისა ქრისტესისა ათას ექვსას ოთხმეოც და მეორესა წელსა, რომელიც პირველად იწოდებოდა იულიოსის კალენდრად. შემდგომად გრიგორის კალენდრად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაგ. ვითარ განმართა კალენდარი იულიოს კეისარმან?

იოანე. მან განზრახვითა, მათემათიკოსის სოსიგენისათა ბრძანა აღრიცხვად მზის წლისა სამას სამეოც და ხუთ დღედ და ექვს საათად.

ბაგრატმან. გრიგოლი რომთა პაპმან, რაჲღა შესძინა?

იოანე. ხოლო მან აღრიცხა ეს გუარ, რომელ მეასე უკუე წელიწადი სამგზის ერთბამად იქნების მარტივი. მეოთხასედი მარადის ოდენ ნაკიანი წელიწადი.

ბაგრატ. რუსნი ვითარ ხმარობენ კალენდარს?

იოანე. ძველს იულიოსის კეისრისასა, ხოლო სხუანი ევროპიელნი გრიგოლ რომთა პაპისას.

ბაგრატ. არის ცვლილება ამა კალენდრებთა შორის დროსა აღრიცხვისასა.

იოანე. არის ვინმცა ხმარობს იულიოს კეისრის კალენდარს, თვეთა, დღეებთა შორის ყოველთვს რიცხვი წინ და უკან, მაგალითი: ოდეს ჩუენში ანუ რუსეთსა შინა, იყოს რომელიმე თვს დღის რიცხვი, ვითარცა ვთქუათ ოკტომბრის ათერთმეტი, ევროპიელთა შინა იქნების ოცდა ექვსი რიცხვი მასვე თვსა და მით სხუაობს გრიგოლის კალენდარი.

ბაგრატ. რაჲ არს ოლიმპიადა?

იოანე. თვთეული უკუე ოლიმპია იპყრობს თვს შორის ოთხს წელიწადს, მისგამო ბერძენნი ჰსთვლიდენ დროს ოლიმპიადებითა, ამათ, რომელ იგინი, თვთეულს ოთხსა წელსა შინა დღესასწაულობდიან ოლიმპიის მროკველობათა

(ანუ თამაშობათა, გინა მღერათა). მახლობლად ოლიმპიის ქალაქის პელეპონისა შინა და მის მიზეზისა გამო წოდებულ არიან-როკვანი ოლიმპიისად, რომელნიმე მეისტორიენი ჰსწერენ რომელ ესე გააწესა ღერკულესმან პატივისათჳს იუპიტერისა.

ბაგრატ. რაჲ არს ეპოხა?

იოანე. ეპოხა, ეგრეთვე მსახურებს აღრიცხვისთჳს, თვეთა დროჲსა, გარნა მარტოდ იგი არა განსაზღვრავს განგრძობასა მათსა; არამედ დანიშნულ ჰყოფს განგრძობასა, ვიდრე მეორისადმი ღირსისა სახსოვრისადმდე, მაგალითისამებრ: ეპოხა, შექმნიდამ სოფლისა, ვიდრე წარღვნადმდე. ეს სახედვე ეპოხა ნიშნავს შემთხუეულებათაც, ესე იგი: შობასა ქრისტესსა. დარღვევა ტაძრისა და ქალაქისა იერუსალიმისა და სხვანი.

ბაგრატ. რაჲ არს ლუსტრადაჲ?

იოანე. ლუსტრადა არს აღრიცხვა წელთა, რომელიც იპყრობს თჳს შორის ხუთსა უკუე წელსა.

ბაგრატ. რაჲ არს იუბილეჲ?

იოანე. იუბილიად იწოდების ნამყოჲსა რომლისამე დიდისა საქმისა, ანუ საჭიროჲსა შემთხუეულებისა მოხსენებისათჳს, დღესასწაულობითი გარდახდა და დღესასწაულობა, რომელთამე შემთხუეულთა საქმეთა შემდგომად ერთის საუკუნოჲსა, ანუ ნახევარ საუკუნოჲსა, შემდგომ ოთხისა საუკუნოჲსაცა.

ბაგრატ. რაჲ არს ინდიკტიონი?

იოანე. ინდიკტიონი არს საეკკლესიო წელთ აღრიცხუ-ლებაჲ, მპყრობელი თჳს შორის ათუთხმეტისა წელიწადისა. სეტყუაჲ ესე იხმარების მხოლოდ ესე გუარსა შემთხუევასა შინა, ოდე'ცა ითქმის რაჲმე რომის კალენდრისთჳს?

ბაგრატ. რაჲ არს ჰელირა?

იოანე. ჰელირა არს ოსმალთა წელთა აღრიცხულობაჲ, მუნ დროჲდგან, ოდეს მამადა მივიდა მედინასა შინა.

ბაგრა. რაჲ არს ქრონიკონი?

იოანე. ქრონიკონი ძველი ლექსია, ისევ ქართული წლის ანგარიშს ეწოდება ესე ანგარიში, შემდგომად ქართველთ მოქცევისა რომ მიიღეს ქრისტიანობითი ჰსჯული. რაოდე-ნიმე დროჲსა შემდგომად წმინდათა მთარგმნელთაგან, ბერ-ძენთა ანგარიშისა გუარისამებრ გააკეთეს, ესე ქრონიკონი დაიწყეს პასექიდამ ანგარიში, თუ რომელს თვესა და თჳს დღის რიცხვში მოვალს პასექი, და დასდევს ამისი განგრძო-ბა, ვიდრე ხუთას ოცდა ათორმეტს წლამდის, რომელიც იქცევის რიგსა ზედა. ოდეს შესრულდების რიცხვი ესე, კუა-ლად თავიდამე იწყების აღრიცხვა პასექისი და მოვალს ისევ იმავე სწორის ანგარიშით. ხოლო უკანასკნელ ესე ხუთასია-ნი ქრონიკონი, უფრო ნათლად აღმოაჩინა, საქართველოს მეფემ, ვახტანგ ლეონის ძემან, რომელიც ცხად არს, მესა-ქმისა წიგნსა შინა. (დაბადებაში). ეს სახელევე ხელთა ცხრამე-ტეული, ათცამეტური, ზედნადები, ზედნადების მთვარის მო-ქცევა. მარტის დამდეგ თვითო წელი, სადაც ნაკი აქუს წე-ლიწადი, ოცდა რვეული და ესრეთ აღმოაჩინა ამ კინკლო-

სის ჰსწავლა და მუნ გონება გაელით ყოველსავე შემეცნე-
ბით დაისწავებთ დაბადებაში და ჟამნის ბოლოსაც შემეცნე-
ბით, ეს სახედვე.

ბაგრატ. ქართველნი ხმარობენ ხსჳასაც ანგარიშსა წლისასა?

იოანე. ხმარობენ რიცხვებსა სამ გუარად: ესე იგი: შე-
ქმნიდამ ანუ დასაბამიდგან სოფლისა; მეორეს: ქრისტეს შო-
ბიდგან; მესამეს: ქორონიკონსა.

ბაგრატ. ვითარის ასოებით ხმარობენ მაგას და ნიშნენ?

იოანე. ქართველის ხუცურის ასო მთავრულის ასოებითა,
აგრეთვე მხედრულის ასოებითა, უფრო საეროს წიგნებსა
და სამეცნიეროში. ხოლო არა დიდიხანია, რომ ციფირებით
ჰსმენ რიცხვებსა.

ბაგრატ. ვითარ უნდა გამოვცნოთ, თუ მთვარე რაოდე-
ნის დღისა არს?

იოანე. ამის შეტყობა თუ გინდათ. ყოველთვის იანვრის
თვიდამ უნდა იწყებდეთ, ესრეთ, თუ იანვარში გინდათ შეტ-
ყობა, ესე უნდა დათვალოთ: ანვარი, იანვარი. იანვარი,ნია-
დაგი და თვის თავი: ზედ ნადები რამდენიც იყოს ისიც
მიათვალოთ; აგრეთვე იმავე თვის დღის რიცხვი რაოდენიც
იყოს, ისიც ზედ მიათვალოთ, თუ ოცდა ათს რიცხვს ქვე-
ვით გამოვიდა იმდენი დღისა იქნება მთუარე; და თუ ოც-
და ათს გასცილდა, ოცდა ათი უნდა გარდაგდოთ, და რაც
მეტი დღე დაშთება ის აღრიცხოთ და ეგეოდენის დღისა
იქნება მთოვარე. ხოლო სხუათა თვეთა შინა უნდა ამ სახედ
დათვალიდეთ უკეთუ თებერვლის თვეში დასთვლით, მაშინ

უნდა ვძახოთ: იანვარი, ფებერვალი, და ისევ ისე მოიქცეთ, ვითარცა ზეით დავსწერეთ. სხუათა შემდეგთა თუეებში, ვითარცა მარტსა, აპრილსა და სხუათა თუეთა შინა, ვძახოთ იანვარი, ფებერვალი, მარტი. აპრილი. და ესრეთ უმორჩეს, და აღრიცხოდე იმ სახედ.

ბაგრატ. ზედნადები როგორ უნდა შევიტყოთ როცა წელიწადი გავა, თუ რაოდენისა იქნება სხვა წელიწადს?

იოანე. ვჰსთქვათ წლეულს არის ზედ ნადები, ოცდა სამი. ამ ოცდა სამს უნდა დავათვალოთ თერთმეტი რიცხვი მომავალს წელს, და ოცდა ათს რაც გადარჩება, იმდენი რიცხვი იქნება ზედ ნადები, რომ იქნება მომავალი წელიწადის ზედნადები ოთხი რიცხვიანი, და სხუანიცა ასე სჰცან რომ ყოველს წელს თერთმეტს რიცხვს უნდა მოუმატებდე. რაც ოცდა ათს რიცხვის გარდარჩება რიცხვი იმდენი იქნება ზედ ნადები. და თუ ვერ შეასრულებს ოცდა ათს ის თერთმეტი რიცხვია, რაც ოცდა ათს ქვევით დარჩება იმდენი იქნება რიცხვი ზედ ნადებისა.

ბაგრატ. რაჲ არს ნიადაგი და თვის თავი?

იოანე. ნიადაგი, სამარადისოს ანგარიშს ნიშნავს, ხოლო თვის თავი, რადგან იანვრიდამ ვიწყებთ მთვარის ანგარიშსა, და სხვას რიცხვასაც. ამ იანვრისათვის მიუჩემებიათ თვის თავობა, რომ ეწოდება თვის თავი.

მამინ ზურაბამ დაიძახა: ბერო, ვირსამც შენი . . . თავი. ჩუენ მშივრები დავიხოცენით, და რა არს ესდენი ანგარიში; მაშინ მუნ მდგომარეთა, ყოველთა იწყეს სიცილი. ბაგრატ

მრავალი იცინა, და ზურაბა მოიკითხა, მოილეს სადილი და ლხინითა შექცევითა დაასრულეს ნადიმი.

იოანე. გამოეთხოვა ბავრაჟსა მმადლობელი, წარვიდა საბა წმინდაც მოილოცა და მერე ისევ მოვიდა თვისსა ბინასა ზედა. რა ვახშმობის დრო მოვიდა, იოანეს კიდე მიუწოდეს თვისთან ბებურიანთა, და ისევ იმ სახით დახვდენ ვითარცა პირველ და ეს ღამეცა ესრეთ განატარეს.

ხოლო ხვალისა დღე, იოანე ემზადებოდა ქიზიყს წასასვლელად, ანჯიკომ არ გაუშო, უთხრა სადილიც აქ მიილე და ვახშმათ შენს სახლში შიდი, ახლო არის ვაქირი. კვალად მოიყუანეს ცხვარი და დაკლეს, და აგრეთვე სხუა სანოვაგენი შეამზადეს, და უკვირდა იოანეს ყოველთვის ოროლასა და სამსამისა ცხვარისა დაკვლა მათგან. რა სადილობის დრო მოვიდა, შეკრბენ კუალად ბებურიანი და იოანეც მიუწოდეს. რა ძღვრად შექეფიანდნენ, იოანეს გულმან ვერღა შეუძლო, და უთხრა: უფალო ანჯიკო, ასე მსმენია, თქვენ არც ერთი ცხვარი გყუანდენ და ეს მრავირს დღეში სამსა და ოთხს ცხვარს არ ჰაჯერდებით და ეს ვითარ არის?

მღვდელმან. ბერო, გიჟი ყოფილხარ, როგორ არ იცი, ვისაც ცხვრები ჰყავს ჩუენია, დღეში ათიც რომ დავჰკლათ, მაშინაც არ გამოგველევა.

იოანე. ჰგავს საბალახეს ბევრს იღებთ?

მღვდელმან. ჩუენი მამული სახნავადაც ძლივ გვეყოფა, სად უნდა ავილოთ საბალახე.

იოანე. მაშ ჰგავს თეთრით ყიდულობთ?

მღვდელმან. ვის შეუძლია ჩუენში ყოველ დღე სამი ცხვარი თეთრით იყიდოს.

იოანე. მაშ როგორ არის ეგ საქმე?

მღვდელმან. თქუენ ბერებს ცოლი ხომ არა გყავთ?

იოანე. განა შენ არ იცი ეგე?

მღვდელმან. მე ვიცი: ვისაც თქუენს ყმაში დედაკაცები ჰყავთ, სულ თქუენი არ არის, აგრეთვე ჩუენი უნდა შეგე-ტყო, რომ ვისაც ცხვარი ჰყავს, ან ძროხა, ანუ ღორი, სულ ჩუენი არის.

იოანე. უი ჩემ თავს! ნაქურდალით გიცხოვრიათ?

მღვდელმან. და რათ გეგონა, ყოველ დღე სამ-სამს ცხვარს დაგიკვლევდით თუ არ ნაქურდალს.

იოანე. ვაი! აკი ნაკერპავით და ნაქურდალით მეც შემსვა-რეს ამათ!

მღვდელმან. წადი შვილო, და ახლა სადაც გინდა იქა-დაგე.

იოანე. რადგან მაგ გუარი მოძღვარი გიშოვეთ, რასაკვირველია კარგს მცნებას მოგვცემ. მაშინ აიღემურ ეშკალაშმან რადგან მათ შორის მოხუცებული იყო ჰკითხა იოანეს: ქურდობა ვითარი ცოდვა არის და ანუ რაოდენ გუარად განიყოფება ქურდობა, გვაცნობე ნათლად!

იოანე. მპარაობა არს, ღონისძიება რაჲმე და ამაო და შრომა აწ მყოსა და მყოობადისა მდგომარეობისა ცხოვ-რებისათჳს თავისა თჳსისა. ოდესცა განვალს იგი საზღვარი-საგან, მაშინ დაშრეტს კაცთ-მოყვარებას და მოყუარებას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰყოფს ერთ მოტყუებას მტაცბლობის და ბოროტ-მოქმედებისადმი, და ამასთანავე განლკიძებულ ჰყოფს კაცსა, მოკულადცა კაცისა.--მპარაობა, ან ქურდობა თუმცალა განიყოფვის მრავალ სახედ, გარნა აქა მოვიხსენებ ორსა უკეთ გუარსა: ქურდნი, რომელნიმე არიან შინადვე მპარავნი და რომელნიმე (*) გარეშე მპარავნი, გარეშე მპარავთ უმეტეს მიეწერების მამაცობა მით, რამეთუ იგინი ყოველთჳს, სელას შინა არიან დღე და ღამე, და ოდესმე ხშირადცა შეჰსცვივიან განსაცდელსა შინა. (*) შინად ქურდნი უფროჲ არიან მხდალ, და ვერლა გარეთ გამსჯელნი. გარნა ლონეჲ ქურდობისა უფროჲ აქუთ ამათ. მოხელოვნებული ქურდნი ანუ პარავნი არიან უკეთ ორ გუარ: რომელნიმე არიან, განმაბნეველ თჳსთა ნაპარავთა, და რომელნიმე ძუნწ და დამმალველ. განმაბნეველნი იქნებიან ჩუეულებისამებრ, თჳთ მტაცებელ, და მყოფნი ალტაცებულითა სურვილითა, და გემოს მოყუარების დატკბობითა: ხოლო ძუნწნი უკეთ იქნებიან ფრთხილ, და მყოფნი ალვირ ასხმითა შიშითა მოკლებელობისათჳს.

ხოლო, მპარაობასა თჳთ ღმერთი აყენებს, ვითარცა მისცა ათი, მცნება მოსეს მერვე ცოდვად მპარაობა დაუდო,

---

(*) გარეშე მპარავნი, გარეშე მოხელენიც დაინიშნებიან და მოყაზახნიც.

(*) შინაგანნი ქურდნი მოხელენიც დაინიშნებიან, შინაგანნი მსახურნიც და ქალაქში სხუანი მპარავნიც, ანუ შიგ სოფლებშიდ?

და მისთჳს არა ჯერ არს, ვის რომლისა ჰქმნად უსა-
მართლოებისა, არც უწესოს საქმის პყრობა, რამეთუ
ესე ყოველნი მპარვადით ქმნიან, რომელ ვისმე ტაცებით
მიუღოს რაჲმე, ანუ უგრძნობელად წარიღოს ანუ სამარ-
თალი უცხო რამ იპყროს და გაამრუდოს სამართალი თე-
თრისთჳს ანუ პატრონისთჳს პატივი მიიღოს, ანუ მოხა-
რკეს ხარკი მეტი გაშოართოს, ანუ სხუა ვინმე, თჳსად
მძლავრობით მონად ჰყოს, რომელიც მას მათთჳს ეტყოდეს.
ესე გუარნიც ქურდობად შერაცხულ არიან, რომლისთჳს
მოციქულიც ჰსწერს: არც მპარავთ, არც მემთვრალეთ,
არც მაგინებელთ, არც მტაცებელთ, სასუფეველი ღვთისა
ვერ დაიმკვიდრონ, მისთჳს უნდა ვიყვნეთ ფრთხილ და
მართ. მსაჯულ, რომელ ერთმან მეორეს უსამართლოებით
არა მიუღოსრა.

არდემურ. მღვდელო, რაც ამ ბერმან გვითხრა
შენგან არც ერთხელ გვსმენია, და არც გისწავლებია.

მღვდელმან. მე რავქნა, რასაც ჰსწავლობდით, იმას მასწა-
ვლიდით. იოანეს ქება შეასხეს, მადლობა უთხრეს, აჩუქეს
რაოდენიმე საპალნე ღვინო. — ესრეთ დასრულდა სადილი.
იოანეც მადლობელი გამოესალმა, და განემგზავრა ქიზიყის-
კენ. მწუხრის ღროს მიიწია ორღობეთ ვაქირისათ,
მუნ ნახა ყრმამ ვინმე ხელოშვილთგან, ზურაბ, რომელიც
წინ მოშორევებით მიუძღოდა იოანეს, და ჰკითხა ყრმამ:
ვისთან მიხვალთ ამ სოფელს შინა, ანუ ეგ ბერი ვინ
არის? ზურაბმან: ხელოსნთას მივალთ, და ეს ბერიც ხელოშ-

ვილია. ამ ყმარწვილს დიალ იამა, გაიქცა და შეატყობინა იოანეს სახლს, რომელ ჩუენი იოანე ბერობის სახით შემოსილი, აჰა აქ მოვალს, მაშინვე იამათ, იოანეს ბიძები და ძმა წამოხტნენ, სირბილით წინ მიეგებნენ, იოანესთან მივიდნენ, ქუდები მოიხადეს ხელ მთხუევნას უპირებდნენ. იოანე ცხენიდამ გარდახდა, მიეამბორავა, სიყუარულით მოიკითხნა და ესრეთ ჟუბნობით მოვიდა სახლად თჳსა, მაშინ დედა წულნი ყოველნივე გამოეგებნენ, და იოანეს ეხვეოდნენ. ზოგნი თავზედ ჰკოცნიდენ, ზოგნი პირზედ და ზოგნი ხელებზედ, და ესრეთ განაგრძეს კოცნა. მაშინ იოანემ: ბატონო ქალებო, თუ ესე განაგრძობთ ამ ალერს, ვაჲ თუ შემჭამოთ და ამყოფით შეიყუანეს სახლად, ფერხთ დაბანეს, კარგად განუსვენეს, ეგრეთვე ზურაბს მისცეს პატივი და ყოველნივე შეჰხაროდეს, მაშინ იოანეს ბიძა მინდვრიდამ მოვიდა, რა იოანეს მისვლა ჰსცნო, მყისვე იოანესთან წარმოვიდა, რა სახლს შინა შემოვიდა,-იოანეს,-ესეც ბიძა შენია. იოანე ზეზე ადგა, და წინ მიეგება, რა მან იოანე იხილა, მიესალმა ხელი დაუჭირა და უთხრა: ჰე ჰე! რა პატარა მუტრუკი იყავ, და რამ სიდიდე ბერი გაზდილხარო. იოანემ: უი ჩემ თავს! ბატონო ბიძავ, ქიზიყურის ალერსით ნუ მლანძღამო. ბიძამ უთხრა: ქიზიყელთ ასე იციან ალერსი, და მე რავქნაო, ახლა თქუენ როგორც გუასწავლი ისე მოგიკითხავთო, — მერე რა ალერსისგან მოიცალეს, ვახშმის თადარიგს შეუდგნენ: რა ვახშმის დრო მოვიდა, ყოველნი მუნ შემოკრბნენ, ყოველთ მოი-

ღეს ძღუჱნი, დასხდენ და დაიწყეს, ვახშმის ჭამა. რა მცი-
რე გამოხდა იმღერეს მოჰყვნენ იოანეს სადღეგრძელოს
სმას, იოანეც მადლობას ეუბნებოდა, ლოცვევდის. მერე
იოანემ ალილო თასი ღვინით სავსე და ჰსთქუა: საყვარელ-
ნო ჩ მნო ძმანო, დედანო, ბიძანო და ჰსძალნო! მე დიდად
ვმადლობ ზენას, მე დიდად ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს,
მე ყოველ სიმდიდრეთა ზედა უმჯობეს მიჩნს ესე, რო-
მელ თქუჱნ ყოველთ ჩემთ მონათესავეთ ერთბამად შემოკ-
რებულთ, სერსა მას ზედან გჭვრეტ თქუჱნ, მე ვერა რას
მსოფლიურ სიამოვნებას მას ზედან უმეტეს ვგრძნობ მე და
ვერც შევამჳსგავსებ სხუას რისამე განსახარებელს ჩემსა; მხო-
ლოდ მას, რომელსაც მოციქული იტყვის: რომელი თუალ-
მან არ იხილა, ყურს არ ესმა, და გულსა კაცისას არა
მოუხდა; რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა,
რომელ ყსე ყოკლის სოფლიურის მოვნებისაგან სხუაობს;
მის გარდა, მე სხუათა ყოველთა ზედა დიდებად შემი-
რაცხიეს ესე, რომელ დღეს თქუჱნის ჭვრეტით დატკბობილ
ვიქმენ; და ესრეთ დავამტკიცებ თქუჱნს სიყუარულს, დღეგ-
რძელდით, განმრავლდით, შვილთ სხმისგან აღგაევსოთ უფა-
ლმან, ქუჱყნიერისა ნაყოფთაგან. არა მოგაკლდეთ ღვინო
და პური, არც ზეთი, არც საცხებელი, ჰსცოცხლებდით კე-
თილად, მრავალჟამიერ! და დაუკრა აქეთ-იქით თავი და შე-
სო ღვინო იგი. მაშინ მუნ ერთი სხუა გლეხი კაცი იჯდა
დია მოეწონა ეს იოანეს ლაპარაკი და სთქო: ჩემმა მე-
ხლმან, ბოდბელსაც ბევრჯელ ეხლებიარ, იმის ბერების-

განი ამ გუარი სიტყვები არ გამიგონია. ეს ისეთი ნასწავლი შექმნილა რომ ჰსწორეთ, გაფრანგებულა; თორემ სად მოიგონა იმდენი. თუ ეს ბოლბელმან ნახა, მგონია იმან ოსტატათ დაიჭიროს; მაშინ სხუანიც დაემოწმნენ და ესრეთ დაასრულეს ვახშამი. იოანემ ორი დღე მუნ განისვენა, მერეთ გამოეთხოვა ნათესავთ თჳსთა, იგინი დიდად შეწუხდენ. გარნა იოანემ ამცნო, მე მონასტრისთჳს ვღვწვი, ეს ღვაწლი თქუენთჳს არ იქნება ცუდად, ნურაზედ შეწუხდებით, და იმ სახით გამოეთხოვა იოანე, აჩუქეს იოანეს აბრეშუმი, წინდა, პაჭიჭი, აგრეთვე ზურაბს და გაემართნენ სიღნაღისკენ ბატონის შვილს იოანესთან.

იმ მიმავლობაში, რა ანაგს მიუახლოვდა, ნახა მუნ ერთი კაცი, რომელს ერთის კალათით ლეღვი მიჰქონდა, ჰკითხა იოანემ. რაჲ არს კალათსა მაგას შინა? მან უთხრა: ლეღვი. იოანემ: მწიფე არს? მან კაცმან: ასეთი მწიფეა, როგორც ქიქია; იოანემ: უი ჩემ თავს! მაგ მაგალითით რომ არ დაგემტკიცებინა, ან ქაშას ვიტყოდი, ან მაწონს. იმ კაცმან: ბატონო, ჩვენ ასე ვიცით ლაპარაკი, ახლა ხომ ვერ გავფრანგდებითო. მიართო ლეღვი იგი, და განშორდნენ ერთმანერთს, მაშინ

იოანემ უთხრა ზურაბს: თუ ვინმე რიგიანად იტყვის რასმე ფრანგს ეძახიან ჩუენში, და რა ჩვეულება არს ესე.

ზურაბამ. ამისთჳს, რადგან საფრანგეთში მეცნიერება ბევრია, და მეცნიერნიც მოდიან იქიდამ პატრნი თუ სხვანი, მის გამო ვისაც მცოდინარეს ნახვენ ფრანგს ეძახიან, და ესე გუა-

რის უბნობით მივიდნენ სიღნაღს ეძებდენ სადგომს, ამ ჟამად, ფიცხელაური ბერის მსახური იხილა იოანემ, დაუძახა დემეტრე კავთისხეველოველ. რაამ ბიჭს მიესმა ეს ხმა, უკუმოიხედა, იცნა იოანე, ჰსწრაფლ მოვიდა და ეანბორა. უთხრა იოანემ: მამაო დიმიტრი, რას აკეთებ აქა? მან რქუა: ჩუენი წინამძღვარი აქ ახლავს ბატონისშვილს. გაუძღვა და წინამძღვრის სადგომს მიიყვანა, წინამძღვარს ეთაყვანა იოანე, ანბორს უყო, წინამძღვარს დიდად იამა, გარჯილობის მადლობა უთხრა, მცირეს ხანს უკან ბატონისშვილს იოანესთან წაიყვანა, წინამძღვარმან ცხად უყო იოანეს დიაკვნის, ქვაბთახევის მკვიდრობა, აგრეთვე ქიზიყელობაც, ბატონისშვილმან მოიკითხა იოანე, მანც მადლობა მოახსენა და ჰკითხა ბატონისშვილმან: ძმაო იოანე, შეისრულეთ ფილოსოფია:

იოანე. ჰე ძალითა ღვთისათა.

ბატონისშვილმან. ჯერ გიქადაგნია სადმე?

იოანე. ალავერდს.

ბატონისშვილმან. მეც გავიგონე, სულ ჰსწორე გიქადაგნია.

იოანე. სწორეს თქმისთჳს კინაღამ ქუა დამკრიბეს.

ბატონისშვილმან. ნეტარება მოგეწერება. ქრისტეს ბძანებისამებრ.

იოანე. ვითარ?

ბატონისშვილმან: ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისთჳს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

მერე წინამძღუარს უბძანა: შეიძლება ხვალე, რადგან წმინდა ნინოს უნდა ხალხი შეიყაროს, ამ შენმან იპოდიაკუანმან თქუას რამე სიტყუა ერთი შორის? ასწაოს მამულის ერთგულება და გაამხნოს, რადგან მტერი პირის პირ გვიდგას, და ყოველ დღე მოველით ომს?

წინამძღვარმან: ვჰგონებ შეიძლოს. მაშინ ბატონისშვილმან. მე ვჰკითხავ ქადაგებს გუარებში და თუ რიგზედ თქუა, უთუოდ იქადაგებს, მერე უბრძანა იოანეს:

რაჲ არს ქადაგება?

იოანე. ქადაგება არს განცხადებულად ანუ მაღლიად ჰსწავება ერთა.

ბატონ. რაოდენთ აზრის მიერ ჯერ არს შეთხზვად ქადაგების?

იოანე. შვიდ აზრთა მიერ: ესე იგი პირობად, სათანადო არს, წინადადებად საღმრთო წერილთაგან, ერთის აზრისა რაიმე, რომელის უწოდთ საფუძველად; მეორე: მიზეზი იმ აზრისა; მესამე გარემხომი; მეოთხე: შემჰსგავსება: მეხუთე მაგალითი; მეექვსე მოწმობის მოღება, მეშვიდე: დაჭეკიცება, ანუ ალმოჩინება.

ბატონისშვილი. მაშ სახვალიოდ უნდა მოემზადო, წმინდა ნინოს იქადაგო, ჯილდოს მიიღებ, თუ კარგად იქადაგებ. იოანემ თავი დაუკრა, წამოვიდა სადგომს, დაუწყო წერა ქადაგებას, და იმ დღეს და ღამეს გაემზადა.

ხოლო ხვალის დღე დილით ადრე წავიდნენ, წმინ.

ნინოს წირვა მოისმინეს, პარაკლისი იხადეს, მერეთ ბოდბელს ჰსთხოვეს, რომ იოანეს ექადაგნა ხალხისთჳს. ბოდბელმან ნება ჰსცა. იოანეს მჴრა მოხსნეს, კარში გამოყვანეს, ჰანდრიებთან დააყენეს და ხალხი სულ სიმგრგლივ იმ მოედნის გარეშემო დადგნენ, ვინაიგან საყდარში ესეოდენი ხალხი ვერ დაეტეოდა. დარიგდენ ხალხნი, დასხდნენ. მაშინ იოანემ აქეთ-იქით თავი დაუკრა, მივიდა ბოდბელს ხელს აკოცა, და აღვიდა იმ ჰანდრიების ქუეშე მაღალს ტახტზედ. პირველად ჰსთქვა: სახელითა მამისათა მერე მოითხოვა შენდობა, და ჰსთქვა: მე თუმც ყმაწვილი კაცი ვარ ჯერეთ, და ჩემის ხარისხის მიხედვით, არა თჳსმეყვის ესეოდენს ერთ მეკრებულებათ წინაშე წარმოდგომად და სიტყვის თქმად, გარნა ბრძანებას მეფის ძისას ვერ ურჩ ვექმენ, რადგან მონოზონთ უფრორე მორჩილება თანა აძთ თჳსისა უფროსისა· იმა მიხედვით წინა დაგიდებ თქუენ ძალისაებრ ჩემისა, რაოდენსამე ჰსწავლის სიტყუათა· მერეთ მოჰყუა შემდგომსა სიტყუას, პირველად აღმოიოხრა და მწუხარებით ჰსთქვა: ვაი! სადა ვარ მე და რას ვხედავ! ვხედავ მე ადგილთა ამა წმინდათა, მხეცთა განსასუენებლად, სირინოსთ და ეშმაკთ საროკველად, ხოლო ვირკენტავროსთ დასამკვიდრებელად შვილთა თქუენთა განსახეთქად.

ქართველნო, კახნო და იმერელნო, დაივიწყეთ თქუენ კეთილ მოქმედებაჲ წინაპართ თქუენთა, სული ძუელის პატრონებისა, ძმობა ერთ სულობისა, მორჩილება მეფის და

მასთანვე სული მამაცობის განდრეკილ იქმნა თქუენგან, ნა-
ცვლად მის დამკვიდრებულ იქნა უპატიოებაჲ, განცხრომა
და ფუფუნებაჲ, იმათ ჰქმნეს შესაძლებელი წინასწარ
მისაღებელად მეზობლისად, რომელიც თვნიერ იმის შეუძ-
ლებელ იყო. საქმემან მან კადნიერ ჰყო მტერი, შემოხდა
იგი მამულად ჩუენდა, დაჰსთესა მტერობაჲ ძმათ
შორის, ჰსძლია, დაიმონა, მიგვიღო ქონება და განიყ-
ვეს ალაფი: თავის უფალნი ძმანი ჩუენნი ჰსჭურეტთ ყო-
ველსა მას, მიღეებთ თჳსზედა დადებად ტვირთისა და ქედსა
ზედა ტვირთს, ვით მონანი და ტყუენი. ეს გუარევე
ქართველნო დაივიწყენით კეთილ მოქმედებანი წინაპართ
თქუენთაგანი და მიეცენით რყევასა კიდედგან კიდემდე
ქუეყანისა თქუენისანი.

უთანხმოებამანა თქუენმან, სამგზის ადგილ იავარიას
მთავარს ომარხანს შემოხდა მამულად, ჩუენდა დააქ
ციენა ციხენი, დაჰსწვნა სოფლები, იავარჰყო, დაატყვევ*
და უკუნ იქცა: აჰა აწ პირის პირ ჩუენდა დგას ვითარცა სა-
ხლსა შინა თჳსსა უშიშრად; უთანხმოებამან თქუენმან აა-
ღებინა საჭური ალამამათხანს, შემოხდა მამულად ჩუენდა
ალოლო სტახტო ქალაქი, წარტყუენა, დასწო, აღივსო
ალაფით, დაწარვიდა მშიდობით და კუალად იქადდა უკუმოქც-
ევას დაოხრებას ჩუენსა, მხედველი უძლურისა სულისა ჩუე-
ნისა, თვინიერ მდეგრისა ლტოლვილთა, რომელთაც
დაუტევნეთ სახლნი თჳსნი, მიმოძრწოდით მთათა და ტ-

ყეთა შინა, არა მექონნი მიდრეკად თავთა თჳსთა: ესე ბუ-რთა შემთხუევულებათა შინა არ გიტევათ ღმერთმან და-ცემად, მოგივლინათ თქუენ შემწედ, ჩრდილოთ კერძოდ მხე-დარნი, მათ ძლიერ, შემოგკრიბნათ კუალადვე თქუენს სა-ხლში, გარნა მჳსწრაფლ შემთხუევულთ საქმეთ უკანვე აქცი-ენეს მხედრობანი თჳსნი; მის მიზეზით უფროჲრე განმხნდა მტერი ჩუენი, მოვიდა რანსა შინა (ყარაბაღს); უმეტესის ძალით გვინებული, აღსაოხრებელად ჩუენდა; ყოველთ ამ განწირულებათ შინა, არა გვიტევა ჩუენ ღმერ-თმან დაცემა, რომელიც დაცემის შემდგომად, ღმერ-თი კუალად არს უხილავად შემწე, იგი არს ნათელი, ნათე-ლი იგი ბნელსა შინა სჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწი-ევა, მყის განზრახვაჲ მის ულთოხი ცუდ იქნა. მეყვსეულად ჰსცა მას ანგელოზმან უფლისამ, სული წარხდა და იქმნა მატლთაგან შესაჭმელ. ქართველნო! უკეთუ გექმნებისთ სა-სოება ღმერთზედ, ესე ავარიის ხანი, შეიმუსრება თქუენ ხელთაგან: ესე ეგყოდენ არა არს საშიშ მტერ თქუენდა, უკეთუ იქმნებით თანხმაჲ, რომ იგი კუალად არ გიტევებსთ. — ქართველნო! დაივიწყეთ თქუენ, კეთილ-მოქმედებანი წინაპართა თქუენთანი: იგინი იყვნენ, თუ-მცა კირთებასა შინა სხუათა და სხუათ მპყრობელთა მიერ, ესე იგი: ეჳსოქვათ ძველადგანვე: მაკედონელთა, რომაელთა, ბერძენთა, ეგვიპტელთ, სპარსთ, სკვიტელთ, ოსმალთ და ჩინგიზთაგან. მეფის სიყვარული მამულისა და სიმხნე სუა

4

ლისა ვერ დაატევებინებს, იძლევიან და ჰსძლევს, ილევიან, განდევნის და ესრეთ მოჰგვის, ვიდრე აქამომდე უკუდავების სახელი, მე ვჰსჭვრეთ აწმყოს დროს შინა სახეთა ზედან თქუენ-ნსა, სხუა და სხუათ გამოწვრილობათა, რომელთამე მცბიერობას, რომელთამე სამლიქვნელობას, რომელთამე მოტყუებას, რომელთამე დაუნდობლობას, რომელთამე ანგარებას და სხუა. ესე ყოველნი მოგაუძლურებენ თქუენ, ესე ყოველნი განხრწნიან სიმტკიცესა თქუენსა, უკანასკ-ნელ შეჰქმნით თქუენ ტკივნეულებას, ოხვრას და ვალალეჳ-ას, შემდგომ იტყვით, რომელ ზეცა გვრისხამს ჩუენ. ჩუენ არაოდეს მოგვრისხამს ღმერთი, უკეთუ ჩუენ არ ვამზე-ზებთ მას რისხვად, ერთ გზის, ათ გზის, ას გზის და ათას გზის. გარნა მაშინცა მოწყალე არს იგი, ვინაიდგან მან შე-ქმნა კაცი მიწისგან, შთაბერა საღმრთო სული, ჰყო მსგავსი თჳსი, პირველი მამა ჩუენი ადამ, რომელმანცა არ დაიცუა მცნებაჲ მისი, წარწყმდა, გარნა მაშინვე შეიწყალა იგი, განათავისუფლა წყევლიადისგან; ჩუენცა შვილნი მისნი. თუმცა ქუეყანასა მას ზედა მოსილვართ ხორცით და ძუალით, არამედ ჩუენ არა ვართ ხორცი, არცა ძუალი. კაცი არს უკვდავ, კაცი არს არსება უხრწნელისა ბუნებისა. დანიშნულება მისი არს დიდ და საღმრთო; იგი წინადვე განსაზღვრებულ არს, მოუშლებელად ხრწნადისა ქუეყანას ზედა, ესრეთ იყო იგი დასაბამით, და შემძლებელ არს კუალად ესე ვითარ ყოფად; შემძლებელ არს მოქცევად პი-

რეულ დაწყებასავე შინა დიდებისა თჳსისა, გარნა მიწდომისთჳს ამ უმაღლესის საგანისა, არა კმა იქნებიან ძალნი ხრწნადისა ბუნებისანი. არს არსება პირველ საუკუნოჲსა, რომლისაც სახეჲ გუმოსახეს ჩუენ, სული ყოველგან არს, ყოველსავე აღავსებს, საუნჯე ყოველთა კეთილთა, წყარო ძლიერებისა, რომელსა შინა იგი ყოველნი შეერთებულ და განუყოფელ არიან. ამ არსებისა და მის მხოლოჲსგან შე-მძლებელ ვართ ჩუენ მოლოდებად შემწეობისა და შემეც-ნებისა, ესე კაცთაგან შეუძლებელ არს, ღმრთისმიერ ყოვე-ლივე შესაძლებელ, ვინაჲდგან ღმერთი კაცისთჳს შემ-დგომად დაცემისა მისისა, არს ღმერთი უხილავი, დაფა-რული, ნათელი მიუწთომელი. მისგამო ჰრქუჱს მო-სეს ძეთა ისრაილისათა: მეტყოდე შენ ჩუენთა, და ნუ მეტყვინ ჩუენ ღმერთი, ნუუკუე მოვჰსწყდეთ. ღმერთი არა-ვინ სადა იხილა, გარნა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა. მხოლოდ შობილი ძე ესე მოსაყდრე მამისა, იგი არს მეოხ ჩუენდა, რომელსა შინა ნათელი ღუთაებისა ლმობიერ მოეკუ-დავთ; იგი არს ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანა-თლებს ყოველსა კაცს მომავალსა სოფლად; იგი არს წყა-რო საღმრთოთა კეთილობათა; უფალი, მეუფე ყოველთა არსთა, რომლისგან ყოველივე შეიქმნა და თჳნიერ მისა არ-ცა ერთი რაჲქმნა, რაოდენი რაჲქმნა. მისმიერ გამოვალს ძალი, მიმნიჭებელი ყოველთა ქმნულთა სიმრთელისა, ცხოვე-

რებისა, არც არს სახელი სხუა ცასა ქუეშე მოცემული კაცთა, რომელიც ჯერ იყო ცხოვრება ჩუენდა, რამეთუ ერთ არს ღმერთი, ერთ არს შუამდგომელი ღუთისა და კაცთა. გუღირს ჩუენ მხოლოდ ცხადით, დაუბნელებელის თუალით ახილვად ხილულსა ზედან ბუნებისა, რათამცა ვიხილეთ იგი და გვრწმენეს მის, ცანი და ქუეყანანი კეთილ მომთხრობლობენ მისთვის, ყოველნი განცხადებანი ხილულისა სოფლისანი არიან ბრწყინვალებისგან დიდებისა მისისა, მაჩუენებელნი გზისა მისისანი. იესო ქრისტე გუშინ და დღეს, იგი თავადი არს უკუნისამდე. ვითარცა შეიყუარა მან კაცი დასაბამიდგან სოფლისა, ეგრეთვე ჰყუარობს მას დასასრულადმდე ქუეყანისა. კეთილსა გვიყოფს თვითეულს ჩუენგანს თანასწორ, ვითარცა პირველ ყოველთა კეთილთა უყოფდა, ესრეთ იქმს იგი დღეანდელად დღემდე, ვიდრე დასრულადმდე ქუეყანისა, იგი ჩუენ ყოველთათვის აღთქმულ არს, დროჲცა მოსვლისა მისისა მოახლებულ არს ყოველთათვის; ვინც უკუე გამზადებულარს მიღებად მისსა, ვინც ისურვის მოსვლასა მის, დასდებს სასოებას მისზედა, ყოვლითა გულითა ჰსწადნოდს მას, ვინც შეიყუარებს მას, მცნებათა მისთა დაიმარხავს, მისთანა დაემკვიდრების, აღსდგების მისთანა უხრწნელებითა, მიიღებს ხელმწიფებას ცათა შინა, ქუეყანასა ზედა, იმას უწოდს საღმრთო წერილი საიდუმლოდ, ქრისტე ჩუენშორის, გარნა რაოდენ შეუძლებელ არს სურვად კეთილისა მის, რომელიც ჩუენ არ უწყით,

ვინაჲდგან საიდუმლოობითი სიტყუა, მეტყუელი მისთჳს გუ ლსაშინა თვითეულის კაცისათა, არა საკმ ოდ ცხად არს, ყუ-ად სალებელ ყოველთჳს, მაშასადამე სრულიად საჭირო არს, რათა სხუანი კეთილ მომთხრობლობდენ მისთჳს, ქადაგებ-დენ მას: შემძლებელ ვინმე არს რწმენად მისთჳს, რომლი-სთჳს მას არაოდეს სმენიეს. ესე უწყოდიან ყოველთა მეც-ნაეთა ბუნებისა და მბურებელთა ღუთისათა, მისთჳს მეცა-დინეობდიან სხვითა და სხვითა სახითა უწყებად, კეთილ მო-თხრობად მისთჳს. იმისთჳს შვილნი ადამისნი შესწირვიდიან მსხუერპლებთა. დროსა ენუქისა იწყეს მოწოდებად სახე-ლისა უფლისა ღუთისა. იმისთჳს აბრაჰამ და ისაკ მოუ-წოდიან სახელსა უფლისას. მისთვისვე მოსემ ჰქმნა საკურ-თხეველი ზემო კიდობნისა ოქროჲსგან წმინდისა, და განა-წესა ღუთის მსახურებაჲ, რათა ერნი მით ადვილადრე შემძლებელ იყვნენ წარმოდგენად თჳს შორის მარადის თა-ნად ყოფად მისა, რომლისგან მადლი და ჭეშმარიტებაჲ სო-ფელსა შინა იქმნა, რომლისთჳს იკურთხებოდიან ყოველნი ტომნი ქუეყნისანი, მისთჳს სოლომონ აღუშენა უფალს ტაძარი, მისთჳს წინასწარმეტყუელნი ქადაგებდიან, მისთჳს ქადაგებდა იოანე უდაბნოსა შინა იუდიანთასა, მისთჳს თჳთ ქრისტემან მოვლო სრულიად ურიასტანი, ქადაგებდა უბნებ-თა და მთათა ზედა, ხომალდთა, ტაძრებთა სასწავლებლებ-თა შინა, იქმოდა სასწაულებთა და საკვირველებათა მრავა-ლთა, რათა იხილონ და ისმინონ, რამეთუ იგი არს, რო-

მელოსაც მამანი მათნი ესვიდეს; მათთჳს მოციქულთაც მოვ-
ლეს ყოველი უკუე ქუეყანა, ასწავებდიან ყოველთა უკუე
წარმართთა. იქმნებოდიან ყუე ტუებათა ქვეშე, არც
შიშობდიან სიკვდილისგან. ეს სახელები სხვათა უკვე წმინდათა
სახელნი, ეს სახელები წმინდამან დავით აღმაშენებელმან სამნი
ტოინნი, მოსახელენი სამთ მდინარეთ ზედა ასასი ათასის კომ-
ლის კაცით. ქართლის, სურამიდამ ვიდრე განჯამდე მპყრობე-
ლი მტკვრის პირზედ მიკიდებით მოსახლეობდენ. მეორე,
თიანეთიდამ ვიდრე განჯამდე იორისა პირისზედან მოსახლე-
ობდენ. მესამე ბანკისიდამ ვიდრე განჯამდე, ალაზანს ზედან
მოსახლეობდენ. ისინი ყოველ დღე არბევდენ მამულთ ჩუენ-
ნთ: აღათხრეს სრულიად ქუეყანა ესე და ცალიერ ჰყვეს.
გარნა ღმერთი, რომელიც მარად მწე იყო ჩუენ ყოველთა,
ამ წმინდამ მეფემ დავით, შემუსრნა იგინი და განაბ-
ნივნა და კუალად მოაგროვნა თქუენ სადიდებლად თვისად:
უკანასკნელ მეფემან მეორემ ირაკლი განსდევნა ოსმალნი,
დათავის უფალ ყვნა, გარნა ქართველნო, დაივიწყეთ კეთილ
მოქმედებანი წინაპართა თქუენთანი; არამედ არა ყოველთა:
ესრეთ არა ყოველი თესლი გამოსცემს ნაყოფს, ისერა გამო-
ვიდა მთესვარი თესვად, დათესვასა მას მისსა, რომელიმე
დავარდა გზასა ზედა; მოვიდეს მფრინველნი ცისანი, და შე-
ჭამეს იგი; და სხუა დავარდა კლდოვანს ზედა, სად არა იყო
მიწა ფრიად და მეყვსეულად აღმოჰსცენდა, და რამეთუ არა-
იყო სიღრმე მიწისა, მზე რა აღმოვიდა, დასცხა, და რამეთუ

ძირნი არა დაებნეს განხმა; სხვა იგი დავარდა ეკალთ მორის, აღმოცენდეს ეკალნი, შეაშთვეს იგი, რომელნიმე დავარდა ქვეყანასა კეთილსა, მოსცემდა ნაყოფს, რომელნიმე ასსა, რომელსამე სამეოცსა, რომ ლსამე ოცდაათს.

ხოლო თესლი იგი გამოიღებს ნაყოფს კეთილს, რომელიც დაეცა კეთილსაზედა ქვეყანასა — პირველ იმისა ჩვენც ვიყვენით ქვეყანა კეთილ, გამომცემელი კეთილის ნაყოფისა, ხოლო აწ ვართ ჩვენ დამაბრკოლებელ გამოღებად კეთილის ნაყოფისა, მით, რამეთუ დაუტევეთ ჩვენ კეთილი და შეუდეგით ბოროტს, შეურაცხვჰყვენით სიყვარული ღმრთისა, შევიყვარეთ ამაოება, სოფლიური განცხრომა, დავჰსტკბით გემოთ მოყვარებასა შინა, გულნი ჩუენი აღივსნეს ანგარებით, თვალნი ჩუენნი დაიწუხნეს კეთილისთვს, სასმენელნი ჩვენნი არღა მივაქციეთ, საღმრთოთა თხრობათა ზედა; და მჴსნავს ვიქმნენით პირუტყვთა უგუნურთა. წმინდათ აღწერეს საღმრთო წერილნი, გვასწავეს ნათლად მსახურება ღმრთისა მეფის და მამულისა, მორჩილება დედ-მამის, შეწყალება მთავართა და მღვდელთა, ეგრეთვე სიყვარული მეზობელთა, მოყვასთა ჩვენთა, თანხმობა ურთიერთის კეთილთაზედა. მათ მიიღეს სიბრძნე და ძალი მეცნიერებისა, სიწმინდე, ნეტარება სულისა წმინდისა მიერ; მათ გვიქადაგეს, გვასწავეს ჩვენ,

რათა დაადგინონ კაცნი გზასზედა ნეტარებს; ეს სახელვე მამულსაცა ჩვენსა მოუვიდნენ ნებითა ღვთისა, წმინდანი, გვაცნობეს ძალი საიდუმლოებისა ღვთისა, გზა ჭეშმარიტებისა გვიჩვენეს ჩვენ, მოგვაქციენა კერპთ მსახურებისაგან წმინდამან მოციქულმან ღვთის მშობლისამან, მერეთ გვასწავეს? გვექადაგეს ათორმეტთა მამათა ასურეთიდამ ღვთის შობლისგანვე მოვლინებულთა; ეგრეთვე გვასწავეს და გვითარგმნეს საღმრთო წერილნი ძველის და ახლის სჯულისა წმინდათა მამათა ჩვენთა ქართველთა, კახთა, წმინდამან ილარიონ. კახელმან. გიორგი მთაწმინდელმან ქართველმან, ევთიმე ქართველმან, და სხვათა ფილოსოფოსთა ჩვენთა ელინთ ენისაგან, ეგრეთვე მეცადინეობდენ მეფენი ჩვენნი და მოიყვანეს ქრისტიანობაში დაშთომილნი ერნი საქართველოსნი, ესე იგი, მთის კაცნი, ძურძუკნი, მთიულნი, ფშაველნი, ხევსურნი და თუშნი, განეწყვნენ მტერს დამოძულეს ქრისტიანობისას დიდთა ხელმწიფეთა სპარსისა და ოსმალისა, იტანჯნეს ქრისტესთვს. იგვემნენ, მოიკლნენ. არჩილ მეფე, ლუარსაბ მეფე, ქეთევან დედოფალი, დიმიტრი თავდადებული. მეფე ვახტანგ მოწამე, და სხვათიცა რომელნიმე გვემით, რომელნიმე პყრობილებით შესცვივდენ პირად პირადსა განსაცდელში: ეგრეთვე ქართველთ თავადნი [1] ეწამნენ გარნებისა თქვენისთვს, ქსნის ერისთავი, ჩოლაყაშვილი. რონისმთავარნი, ველის ციხის მთავარნი, ეგრეთის მთავარნი, და სხვანი რომელნიცა მოხსენებულ არიან სვინაქსარ

მიმჴედრნი მისნი, ეჴსთქუამთ თავისუფლებისთჳს, და მივის-წრაფვით მისდამი, არამედ ვშთებით ჩუენ ტყუეობას, მონე-ბასა შინა ცოდვისა. თუმცა ვმეცადინეობთ ჩუენ ურთიერ-თისადმი თანხმობას, გარნა შური სიძულილი და ცუდ-დიდებაჲ, რომელიც დამკვიდრებულ არს ჩუენთან, არ გვი-ტევებს ჩუენ; სიტყუას რომელსა ვიტყვით, არ დაინერგების ჩუენ შორის; და ესე არს მიზეზი დაბრკოლებისა, ვითარცა მოციქულიც იტყვის: რამეთუ ჴორცთა გული უთქუამს სულისთჳს, და სულსა ჴორცთათჳს, ესენი მჴდომ არიან ურთიერთის; უკეთუ ჴორცი მოკვდების კეთილის საქმისთჳს, სული განჴორციელდების, უკეთუ სული მოკუდების ბორო-ტისთჳს. ჴორცი იტანჯების, ესრეთ ორნივე მონაწილეობენ მისაგებელთა შინა კეთილის და ბოროტისა. თქუენ ერთის დედის შვილნო (ესე იგი: ერთის ქუეყნის შვილნო) ნუ მიჰ-ბაძავთ მათ, რომელნი არ შეიწყნარებენ სულსა ღუთისას, უზომოჲთ, თჳთ მოყუარებითა, თჳთ რჩეულობითა, მომა-ცთუნებლობით, დიდების მოყუარებით, თავჴედობით, ან-გარებით, შურით, სიძულვით, ცრუ ბჭობით. ესე ვითარ-თა ბოროტთაგან ივლტოდეთ, რათა არა იგმოს ქადაგებაჲ იგი სახარებისა, გაქუნინ სასოებაჲ ღვთისა ზედა, მისგან მიიღეთ სასყიდელი, ერჩდით ჴორციელთა უფალთა თქუენ-თა, ნუ ეძიებთ ორთა უფალთაგან მიღებად სასყიდლისა, რამეთუ არვის ჴელეწიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს. და სხუა იგი შეიყუაროს ანუ ერთის მისთჳს იღუაწოს, ერთი შეურაცხ ჰყოს. ვერ ჴელეწიფების ღუ-

თის მონებად, და მონასა ესრეთვე ჩუენ თავით თჳსით მოკლებულ ვჰყოფთ უძვირფასესს საუნჯეს; ნეტარებასა ჩუენსა თჳთ ვჰყოფთ თავთა თჳსთა უბედურად. ნუ ვჰყოვნდებით ძმანო ჩემნო, რამეთუ სოფელი ესე ყოველითურთ შუენიერებით თჳსით წარხდების, ჩუენცა გარდავიცვალებით. ყოვლივე მსოფლიური დიდება და ქონებაჲ აქ დაშთების, კეთილისა საქმე თანა წარგყუების. ვჰსდგეთ კეთილთა, მოვიგოთ სიყუარული ურთიერთისადმი, შევუდგეთ კუალსა წინა-პართა ჩუენთა, მორჩილ და ერთგულ ვექმნეთ მეფეთ ჩუენთა, აჰა მეფის ძე, რომელიცა აწ მზა არს, ერთგულობისთჳს მამულის დანთხევად სისხლისა თჳსისა. ეგრე თქუენ თანა გაძთ ქმნად მისა; ოდესცა ძველი განმზადებულ არს, მაშინ დროჲ მოწევნილ იქნების დათესვად, რათა გამოიღეს მთესველი და არა ჰყოვნოს.

გარნა საჭირო არს ესეცა, რათა ამის ძალით მოვუგოთ თავთა ჩუენთა ბედნიერებაჲ. მივიღოთ სახე ჩინებულთა, ესრეთ სინანულით ღმრთისა, ერთობით ვევედრნეთ, მოუწოდოთ და ვჰსთქვათ: ვჰცოდეთ და უსჯულო ვიქმენით, სიცრუე ვჰყავით წინაშე შენსა, არა დავიმარხეთ აწ, არცა ვჰყავით მეუფეო ვითარ იგი შენ მომცენ ჩუენ, გარნა ნუ მიმცემ ჩუენ ხელთა უცხო თესლთა, სრულიად მაღალო ღმერთო მამათა ჩუენთაო. და მერე მტკიცედ უკუჱ ჰსდეგით, მოირტყენით ხელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა, შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისა, და შეისხენით ფერხთა თქუენთაგან მზადებულებაჲ სახარებისა მის მშვიდობისა ყოველსა შინა,

აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა, განხურვებულთა დაშრეტად, ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგით, და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყუა ღმრთისა. ესრეთ განვედით წყობად მტრისა, მეოხებითა წმინდისა ღუთის მშობელისა, ქართველთ განმანათლებელისა ნინოსათა, და მთავარმოწამისა წმინდისა გიორგისათა, წმინდათა მეფეთა ჩვენთა ვედრებითა შეგვიწყალნეს ღმერთმან, დაგვიცვნეს, განგვარინნეს ხელთაგან დევთაცა ვირკენტავრისთასა, აწ და უკუნისამდე ამინ.—

მაშინ ყოველთა ერთბამად ღაღადჰყვეს: ცხონდი მამაო იოანე; ცხონდი! და ესრეთ დასრულდა კრება.

შემდგომად მოვიდა იოანე, ბოდბელს ხელს ემთხვია, ბოდბელმან მადლობა უბძანა, ეგრეთვე ბატონის-შვილმან მადლობა, ქება უბძანა და წარვიდნენ სადილად. შეკრბენ მუნ ყოველნი მოხელენი; და თავადნი, მოვიდა ბოდბელიც, ეგრეთვე წინამძღუარი. იოანეც მოიყვანეს, მაგრამ არ ჯდებოდა მუნ სერზედ, რადგან ბოდბელი იქ იყო, და იმის წინამძღუარი, გარნა უბძანეს: მათ დღეს ღირსი ხართ ჯდომისა, რომ ვითარცა ამ დროს შჳწონდა ისე იქადაგეთ. იოანეც დაჯდა თავის ადგილსა, მაშინ ზურაბმა: ყოვლად სამღვდელოო, ჩემს შეგირდს კი სვამთ სუფრაზედ, და მე ოსტატს კი არ მიწვევთ, რა სამართალია; მაშინ ყოველთა გაიცინეს და ზურაბაც შეიყვანეს.

ზურაბ. ქუამთახევის წინამძღუარმან მომაბარა, და ვასწავლე კალმასობა, ლევინის თხოვნა, ოქროების კარგა შენახვა, ახლა თათრებში რომ წავიყვანო ჩხარსაც იქ ვასწავლი ცხვრის და ძროხის სამოვნელად.

ბოდბელი. ცუდი მასწავლებელი ჰყოლიხარ ამ ბერს, მისთჳს რომ ვერცხლის მოყვარებას და სიხარბეს დააჩუჩვე.

ზურაბ. მე ძნელად სადმე ვპოვნი სამღვდელოს, რომ თეთრი არ უყვარდეს.

ბოდბელმან. როგორ?

ზურაბ. ასე რომ მონათვლენ ვისმე, იმ ყმარწვილის ნათლიას, ან დედ მამას, გამოართმევენ მოსანათლავსა. დაქორწინებენ ვისმეს, საყდრის კარსაც დაუკეტენ, ვინემ არას მისცემენ და ჯვარის საწერსაც გადაახდევინებენ, იმასაც არ დასჯერდებიან, ხალიჩა და ფარჩაც უნდა ქუწმ გაუმალონ მექორწინეთ რა ისიც იმათ წაიღონ, მოკვდება ვინმე სასაფლაოს ფასს, საიმტევროს, საწირავს, კიდევ წლის შაბათის საწირავს, და პანაშვიდისას გამოართმევენ, სახლის გასანათლავს საშობაოს, იმასაც გამოართმევენ. აგრეთვე ნიშანს ეძახიან, კარგი ცხენი ჰყავს ან კარგი თოფ-იარაღი აქუთ, მასცა წაიღებენ და ტაბლას ხომ ასიც მიეიდეს სასაფლაოზედ, ერთს ლუკმას გლახაკსაც არ დაუდებენ წილს,-ამასთან ქვეშაგებს, ტანისამოსსაც მკვდრისას, მთლად წაიღებენ. ესრეთ დაანცლებენ ერთს ოჯახს და სხუა საკონონოები რაღა მ.გახსენო საზოგადოდ.

ბოდბელმან. ასე ჰსწერს მოციქული სამღვდელოთათჳს: უკეთუ ჩვენ სულიერი დავთესეთ თქუენ დიდ რა არს თქუენგან თუ ხორციელი მოვიმკოთ ჩვენ.

ზურაბ. ჭეშმარიტად ბძანებთ, მაგრამ ამ საბრალო ბერმა სადაც რა ქადაგება ანუ ჰსწავლა დათესა, მომკის მაგიერ ჯოხი, მუშტი, წვერის გლეჯა და ანაფორის დახევის მეტი ვერა მოიმკორა, არიეცი ახლა ამ კარგი ქადაგებისთჳს რას მოიმკის.

ბატონიშვილმან უბძანა ზურაბს: ანაფორის მაგიერ ფილონს მიიღებს. იოანე ზე ადგა, მადლობა მოახსენა, და ესრეთ დასრულდა სადილი.

ზურაბმან. შენიჭირიმე, ეს რომ ფილონს მიიღებს, მე კაბა მერგებაო, რომ ასე გავზარდე ეს ბერი. იცინეს და მასცა ებოძა კაბაჲ, მერეთ წარვიდენ სადგურსა თჳსსა, სალამო დროს დაიბარა ბატონიშვილმა, იოანე დიაკუანი, უბძანა: ვინემ ვახშამს მივიღებდეთ მცირე რამე მოვიუბნოთ მეტაფიზიკისათჳს. იოანემ: იყავ ნება თქუენი.

---

ბატონიშვილი. რასა გულის ხმას ჰყოფთ სახელსა ქუეშე მეტაფიზიკისასა?

იოანემ: იმგუარს ჰსწავლასა, რომელიცა უმაღლეს არს, ფიზიკასზედ, და არც მიივლტვის ნივთებობითთა საგანთადმი.

ბატონიშვილმან. ვითარ ჰსხუაობენ სწავლანი ესე ურთიერთმორის?

იოანე ფიზიკა გვასწავებს ხილულთა ნივთთა ბუნებისთჳს და მოქმედებისა მათთა, ეგრეთვე განჭსჯისა მათთჳს; დამტკიცებისა და გამოცდილებისას.

ხოლო მეტაფიზიკა, გვასწავებს უკუე განხილვით ზესთა-ბუნებითა არსებათა; ესრეთ, ვითარ, იგი განმჰსჯელობს ღმრთისთჳს, ანგელოსთათჳს, უკუდავისა სულისთჳს და სულიერთ საგანთათჳს რომელნი თანა არა შეკრულ ჰყოფს მოგონებათათჳს და არა რომელთადმი ნივთთა შეზავებულთა, არამედ განჰსჯელობს მხოლოდ გაჳყენებით ანალოგიისა-მებრ (ესე იგი) მეთანაჰსწორებისა მებრ:

ბატონიშვილი: რას ნიშნავს მეტაფიზიკა?

იოანე. ზესთაბუნებას ანუ არსთ მეტყუელებას.

ბატ. რაოდენ ნაწილად განიყოფების მეტაფიზიკა, ანუ თუთეულნი ნაწილნი რასა იპყრობენ თჳს შორის?

იოანე. ოთხ ნაწილად: ესე იგი: ონტოლოღია, კოსმოლოღია, ფსიხოლოღია და ბუნებითი ღმრთის მეტყუელებად: ონტოლოღია ჰნიშნავს საზოგადოდ არსისა ცნობას, აგრეთვე ორგჳანად ნიშნავს დასაბამს კაცობრიობისა ცნობისას: პირველი რომელ არს უბ ობა საზოგადოდ არსისთჳს, დადებითა მით, რომელ შეუძლებელ არს ნივთისა რაჲსამე მყის თანად ყოფად, და არა ყოფადცა, რომლითა იქმს დასაბამსა წინა აღმდგომ თქმისას, მას ზედა დაემტკიცებიან საჭირონი, რომელ შეუძლებელ არს მყისს შინა რაჲცა არს მისი არაყოფა, მაგალ. ამა მინუტ' შინა ვარმე აქა, არა ტფილისსა

ღეუდ და ესე არს შეუძლებელი, რომელ ამა მინუტსა შინა აქ არ ლავიყო და ტფილისსა შინა ვიყო, ესე არს საჭირო დამტკიცება, ხოლო მეორე არს ესე რომელ, შესაძლებელ არს ნივთი ესე რაიმე ყოფა არა ყოფადცა, კუალად სხუა გუარ ყოფადცა, ესე არს დასაბამი კმაჲსა მიზეზისა, რომელზედ დაიმტკიცების შემთხვევითი, მაგალ: ესე შესაძლებელ არს ჩემგან, ვინაჲდგან რომნინებ აქა ხუთისათვის, მოსარეწელად, დაუტეო ესე და წარვიდე თფილისს და მუნ მოვირეწო თეთრი, რომელზედა დაიმტკიცებ-ს შემთხვევით.

კოსმოლოგია, რომელ არს ცნობა სოფლისთჳს საზოგადოდ არათუ მარტო სხეულთა და თჳსებათა მათთა გვაჩვენებს. კუალად შეგვიქმს იდეასა სოფლისას, და გუასწავებს განჴსჯასა ცისა და ქუეყანისას, რომელიც თჳს ეყვის საზოგადოდ სოფელს განგვიმარტებს, რაჲცა მადგან მტკიცედ-დამტკიცებულ არიან, და საზოგადოდ ფიზიკასა შინა ხარგებელ არიან და იგულხმებიან, განუკუეთელნი მას ზედაც.

პსიხოლოგია, რომელ არს ცნობაჲ შვინვიერისთჳს. და ესე არს კმაჲ მიზეზი, ჩემის წარსულისა და შესაძლოცა. . . .

საზოგადოდ, ეხე იგი ჰსწავლისა მარტივისა გულის ხმის ყოფის ნებითი ნიჭებულისა, რომელიც დანიშნავს ყოველსა ძალსა ცნობისას, ეგრეთვე გრძნობანი და გამოხატვანიცა, დამტეენელ არიან. ლიქსისა ამის გულის ხმის ყოფა არს ძალის წარმოდგომად ნივთთ განყოფითად. მეორე გონმითა გნომი არის ძალი განხილვად მჰსგავსებისა ნივთების, მზყრო-

ბელი თჳს შორის მეხსიერებისა და ფანტაზიისა, (*) გან-სჯისა, გულის ხმისყოფისა, მონებისა, ნივთა მრავალთა მსგა-ვსებისა შემასწორებელი განხილვაჲა მისა. წყარო მჭევრმე-თქუმობისა, მოკლეთა მკუეთრთა და სახუმართა სიტყუა-თა შესაბამთა და ანაზდათ მიგებათა, რომელთაცა ხმარობდიან ძუელნი მწერალნი მარადად თქმულთათვის. მესამე გონებ-ითა, რომელ არს უთაურესი ძალი სულისა წყარო, სიტყვა მოძრავი თავის უფლად კეთილთა, ბოროტთა და ესე გა-ნისზღვრების ესრეთ: გონება არს ძალი ცნობად მოკიდუ-ლებისა ჭეშმარიტებათასა, და თჳსება სულისა ჩუენისა

(ზოგი შემდგომ ნომერში იქნება.)

(*) ფანტაზია არს, იდეათა, ანუ ფიქრთა, გამოსახულებათა წარმო-ჩინება.

ხოლო ბუნებითი ღუთის მეტყუელება ფილოსოფოსებრ, არს ცნობა თჳსებათა ღუთისა, რომელიც მხოლოდ ბუნებით მისაწდომელ არს. მაგალ: ოდესცა ვჰსჭურეტთ ჩუენ სოფელსა მას ქმნილსა ცით ვარსკულავებითა, მზითა, მთოვარითა, წყლითა, მინდვრითა, მთითა, ტყითა, ნადირითა და სხვა ცხოველებითა შემკულსა, მაშინ ვიტყვით ჩუენ, რომელ შემოქმედი უვის ვინმე, ეს სახედვე: ვითარცა დაჰსწერა დიდმან პლატონმან ფილოსოფოსმან, რომელ სთქვა: შემოქმედი ბუნებისა არს გონება უზენაესი. და მეორეს უწოდთ აღმრცველ ღუთის მეტყველებად, რომელიც არს ზესთა ბუნებისა, რომელიც სულისა წმინდისა მიერ გამოცხადდების და განმღთუებს კაცობრივი ბუნება მისაწთომელად ღმრთოს დიდებისა, მაგალ: ვითარცა უბძანა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან პეტრეს: ნეტარ-ხარ შენ სჳმონ ბარიონა, რამეთუ ხორცთა და სისხლთა არ გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან, და ესე ვითარი განცხადება ითქმის აღძრცვილ ღუთის მეტყუელებად და არა ბუნებით ღუთის მეტყუელებად.

---

შემდგომად მისა დასრულდა უბნობა, ვახშამიც მუნ მიიღო იოანემ, და ოდეს აღდგნენ, იოანე გამოეთხოვა ბატონიშვილს, დალოცა და სახვალიოდ წარსულა მოახსენა ქა-

ლაქისკენ, ბატონისშვილმანც უბძანა მშვიდობა, და ესრეთ განიყარნენ. იოანე მივიდა წინამძღუართან, წინამძღუარმან მოამზადა წიგნები, მისცა თვისთა მეგობრებთან მიწერილი, და სახვალიოდ განემზადა წასასვლელად იოანე.

ხოლო ხვალისა დღე იოანე გამოეთხოვა წინამძღუარს, წინამძღუარმან დარიგება მისცა იოანეს, და სიარული სომხითსა შინა, რათა ელვაწა ბრინჯით, საფენით მოგრ ებით და მერე ხელს აკოცა იოანემ, აგრეთვე ზურაბმანც. ამხედრდენ და წარვიდენ ქალაქისკენ. რა მცირე გაიარეს, იოანემ უთხრა: სადილად მანავს უნდა მივიდეთ და ვახშმად ნინო წმინდას, ტფილისელის მიხაილოვან, რომ ახლა ნინო წმინდლად ის არის. ზურაბმა მოუწონა და შევიდენ ცულ და გულ მანავს. სადილობის დროს მივიდნენ მანავის სოფელში და მუნ ერთის ხის ქვეშე ჩამოხდნენ, მაშინ ერთი მენახირე კაცი მოვიდა მათთან ჰკითხა მან ვინაობა მათი. ზურაბმა ყოველივე უამბო. მან კაცმან უთხრა: ჩუენი მოურავი ნინია აქ არის, და ამ სოფელსაც ჰყრის ომარხანის მიზეზით და იმასთან მიბძანდით სადილს აპირებს. მაშინვე იოანე და ზურაბ წავიდნენ. რა მოურავმან იხილა ესენი მიმავალნი, მყისვე თავისთან მიაყუანინა, მისრულმან იოანემ უთხრა: მშვიდობა თქუენდა ურტყუჯის მოურავ მებატონევ. მან უთხრა: გაცხოვნოს ურტყუჯის წინამძღვარო.

— იოანე. უი ჩემ თავს! ცუდის ადგილის სახელოს მაძლევ!

მოურავმან. მე მეგონა დამიმადლებდით ამ გუარის სახე-ლის მოცემას.

იოანე. მე თავი არ მიცის, სხუა უშოვეთ ვინმე.

მოურავ. ქუცყანა მისთჳს ჰსწყვეტს ერთი მეორეს და უ-კეთესი რა გინდა.

იოანე. მეკი არავის შევაკუდები, და თქუენი კი არა ვიცი.

მოურავმან. მაშ რატომ შერებიან ამ გუარებზედ ჩხუბსა.

იოანე. თავ-თავისას რომ დაჰსჯერდენ შფოთი აღარ მოვა მაშინ.

ზურაბ. ბატონო მოურაო, კარგი სამართალით ჰსჯის იოა-ნე. რადგან ორტყუპია, ერთი ამის და მეორე თქუენ, მშვი-დობა გექნებათ და თანხმაც შეიქნება ამაზედ.

იოანე. თუ მე უკეთურო არ დასცხრები ბოროტ უბ-რობისაგან, და მაშინ ყოველთა მუნ მდგომარეთა იცინეს. მოილეს სადილი, შემდგომად დასრულებისა, აჩუქა ღვინო მოურავმან, გამოესალმა იოანეს და წარვიდა ნინო წმინ-დისაკენ.

წუხრის ჟამს მივიდენ ნინო წმინდას, ნინო წმინდელი მიხაილ მუნ იყო, მივიდნენ გალავნის კართან დასხდენ: მეკა-რეს ჰკითხეს ნინო წმინდელი აქ ბძანდება, მეკარემ აქა- მა-შინ იოანემ უთხრა ზურაბს: იახელ ყოვლად სამღვდელოს, და ჩვენთვის სადგომი ჰსთხოვე: ზურაბა იახლა ნინო წმინ-დელს, ეამბორა და იოანე დიაკვნის მისვლა და სახლის

თხოვნა მოახსენა: მიხაილმან უბოძა სახლი და ვახშმად თვისთან დაიბარა! იოანე დაბინავდა, ტანი გამოიცვალა, მივიდა ეკკლესიაში ლოცვა მოისმინა, და მერეთ იახლა ყოვლად სამღვდელოს, მუნებურმან დეკანოზმან წარადგინა.

იოანე, რა დიაკვანმან ახილა ნინო წმინდელი, მეტანია მოუყარა, მივიდა და მოახსენა გვაკურთხენ ყოვლად სამღუდელო, თბილელ ნინო წმინდელო: მან ხელი უბოძა, და მოიკითხა.

იოანეს მისი მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა, იოანემ ყოველივე მოახსენა და მერე უბძანა იოანეს დაჯდომა. იოანე დაჯდა და დაიწყეს უბნობა, არსენის თბილელ ზედაც შემოხდა სიტყვა, რომელ ბძანა ნინო წმინდელმან. ისე შვილი დიაღ მეცნიერი კაცია, და არსენი თბილელი ყურს არას უგდებს და მწუხრებამიაცა ჰყავს. ჩემ დროს დია პატივი ჰქონდა და სალთხუცესადაც იყო ეკკლესიისა. იოანემ მოახსენა ჩემგან კი რა ეკადრება თბილელს, მაგრამ არც ყოფაქცევა აქვს, და არც პოლიტიკა იცის, მიხაილმან. გისწავლია ითიკა თუარა?

იოანე. ჰმადლითა თქუენითა.

მიხაილმან. მაშ მცირე ვიუბნოთ მისთვის,

იოანე. კარგი იქნება.

მიხაილმან. რა მნიშვნელობა აქუს ითიკას. და ან ითიკა რად უწოდეს?

იოანე. ითიკა, არს ხელოვნება ზნეთჰსწავლულებისა, წინადვე მოსაწერელი კანონთა, თუ ვითარ ჯერ არს უბნობა და

ცხოვრებასა შინა თვისსა წესიერედ. და ჰსწავლულებით განმართულად ენებათა თვისთა,

ხოლო უკანასკნელ განხილვად ერთ ზნეთ წავლულება კეთილ მოქმედებისა საშუალობისათა და ყოველითა კეთილ მოქმედებით კაცობრიობისათა, ხოლო სახელი ესე ითიკა, არისტოტელმან უწოდა თვისგან შეთხზულსა ზნეთ ჰსწავლულებისა წიგნსა.

მიხაილმან. რაჲ არს საყოფაქცეო ფილოსოფია ანუ საითიკო ფილოსოფია, ანუ რაოდენსა კერძოსა იპყრობს თვის შორის?

იოანე. არს ზნეთ ჰსწავლულება და ცნობა საზოგადოდ რომელიცა ცნობა არს ნებისა ჩუენისა. ფილოსოფია ესე საითიკო იპყრობს თვისშორის ოთხთა კერძოთა:

მიხაილმან- რომელთა!

იოანე. პირველი, იპყრობს თვისშორის პრაკტიკასა ფილოსოფიისა საზოგადოდ, რომელისა ცნობა არს ნებისა ჩუენისა წადილისა, რომელიცა ჩუენდა წარმოდგომილსა აღირჩევს ნება წადილთა კეთილსა, და სათნოსა, და ლათუ ირა იყოსმცა სათნო, იქნების მრავალ ჯერ ვითარ მედ ვიცით ბოროტ არს და ვჰყოფთ მას! გარდა დაღათუ ვიცით სიბოროტებისი რომლისამე წარმოდგომილისა, მაგრამ ვჰყოფთ მას! და ოდეს არა მეცნავ ვართ სიბოროტისა მის და ვიქმთ, მაშინ მცნობელობა შეგვიაცთენს ჩუენ. ხოლო განისაზღვრებს ესე, ეს გვარ: პრაკტიკა ფილოსოფია არს ცნობა წადილიერებითისა ძალისა აღრჩევასა შინა კეთილისასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარე მიქცევასა შინა ბოროტისასა, რომელიცა კეთილის: ამორჩეულისაგან განაგებს სიბრძნეა.

მეორე. ბუნებითი სამართალი, რომელიცა მეგვასწავებს ჰსჯულთა განწესებულთა ბუნებისაგან; გულის ხმის ყოფათა წადლისათვის, და გარე მიქცევასა, ნივთთასა რომელნიცა საინებელ გვექმნებიან, ხოლო საზღურენ ესრეთ, ბუნებითი სამართალი არს, ცნობა საქმეთა კეთილთა, ანუ ბოროტთა მესამე. ითიკა. რომელ არს საყოფაქცეო, გვაჩუენებს, თუ ვითარ ჯერ არს დამორჩილება ჰსჯულთადმი ბუნებით, და ანუ ვითარ მემძლებელ არს გულის ხმის ყოფა, დაჩუე-ვად, საქმეთა პატიოსანთა, რომელსა განსაზღვრებენ ესრეთ: ითიკა არს ცნობა მართუელი საქმეთა, თუ ვითარ სათა-ნადო არს მართებად საქმენი თავის უფალნი ბუნებითსა შინა დგომარეობისასა. კვალად ითიკა არს ცნობა, რაოდენიცა არს კაცის ნება თვისსა ზედა არავის ხელმწიფებისა ქუეშე შემვრდომა

მეოთხე. პოლიტიკა ესე განმარტებს კანონთა გონიერებისათა, არათუ ზაკვითსა და სხუათა მაცთურ ყოფისა ცნობასა, არამედ განსაზღვრებენ ესრეთ: პოლიტიკა არს ცნობა მართუელი საქმეთა შეგობრობასა შინა მოქალაქობითსა ანუ საზოგადოებითსა შეცდომილებათა მებრ დროთასა, ვარნა საითიკო უკუე პოლიტიკა ყოველთვს დაფუძნებულ არს ჭეშმარიტებასა ზედა.

ნინო წმინდელმან. ფილოსოფოსური ჭეშმარიტება რაოდენ გუარობს?

იოანე. სამად გუარობს, ესე იგი: ლოღიკებრ, მეტაფიზიკებრ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ითიკური.

ლოღიკური არს უკუე, რაჲცა არს სიტყუა ანუ საქ-
მეჲ, თანახმა გონებისა მაგ. კაცმან მიიღო და შეჭამა ერთ
გზის, ხორ-კამბეჩი, ერთი, ესე სრულიად არა თანხმობს გო-
ნებასა, მით რამეთუ ამა კაცისა სტომაქი, არა ეგეოდენ არს
რათამცა შთაეტიოს ერთი მთელი კამბეჩი, თუ სადამე ესთ-
ქვათ, რომელ იმა კაცმან ერთ გზის შეჭამა, ერთი ტრედი.
ესე შეძლებელ არს მით, რამეთუ სტომაქსა იმას კაცისას შთა-
ეტევის ერთი უკუე და ესე ხმა არს გონებისა.

მეტაფიზიკური ჭეშმარიტება არს, რაჲცაღა არს ნივთი,
იყოსმცა ნამდვილ იგი ნივთი, მაგალ: უკეთუ ვიტყვი ოქ-
როს და თვსებას მისსა, რომელ ოქროჲ ესე ანუ ნივთი ესე
არს მძიმე, ყვითელი, ლბილი, გადნობის შემდეგ უფრო კა-
რგის ფერის მიმღებ, კვერსა შინა კარგად გამზიდველი, მა-
შინ უეჭველად ოქრო არს ესე, ესე არს ჭეშმარიტება მეტა-
ფიზიკური.

ხოლო ითიკური ჭეშმარიტება არს ესე ვინმცა ვისთან-
მე, საქმით ანუ სიტყვით უბნობდეს, უბნობა მისი, საქმენი
იგი იყოს ჭეშმარიტისა გულითა პირითა, საუბარ და ესე
არს ითიკური ჭეშმარიტება, უკეთუ უბნობს იგი მხოლოდ
პირითა და არა ჭეშმარიტითა გულითა, მაშინ ესე არა მიე-
წერების ითიკურსა ჭეშმარიტებასა.

და მერეთ უბძანა ნინო წმინდელმან იოანეს: მე დავბე-
რდი, ბევრი რამ მინდა მელაპარაკნა, მაგრამ სისუსტის ძა-
ლით, ვერ ველაპარაკობ და ახლა დაუტეოთ უბნობა იოა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეც დაჩუმდა.

და მოიღეს ვახშამი, იოანეს კარგად დახედა, რა დასრულდა, იოანე გამოეთხოვა. იქნება მე ადრიან წავიდე ქალაქისაკენ და თქვენვე რადა გიახლოთ, მან დალოცა. ესრეთ გაიყარნენ.

რა გათენდა იოანე და ზურაბ ამხედრდნენ და განემართნენ ქალაქისკენ, ზურაბამ უთხრა: ყარაბულაღზე მცირე რამ ვისაუზმოთ, მოურავის რძალი ეკატერინაც ვნახოთ ყაფლანის შვილის ქალი, იქნება იქაც ვიშოვოთ ღვინო. იოანეს მოეწონა ეს რჩევა და გაემართნენ ყარაბულაღისკენ. მცირე ხანს უკან მივიდნენ მუნ, რა ჰსცნო მოურავის რძალმან მისვლა იოანესი, მყისვე დაიბარა. იოანემ მშვიდობით მოიკითხა, და მანცა აგრეთვე, და ყოველივე იოანეს მოგზაურობას ამბავი გამოჰკითხა, და რა სცნო რომ ღვინის საშოვრად დადიოდა კახეთში, აღუთქვა ამანაც ღვინოჲ საჩუქრად. იოანემ მადლობა მოახსენა, მერეთ მისცა სადგური და უთხრა: სადილად მოველი სოლოღაშვილს ლეონტას, და თქუენც ნახეთ, კარგი მეცნიერი და მგალობელია ქართულს კილოზედ. იოანემ მადლობა ჰკადრა, და იმა. არ მინახავს ლეონტი, აქებენ. წავიდა სადგომისათჳს.

რა სადილობის დრომ იწია, ლეონტიც ხაშმიდამ ამა სოფელში მოვიდა. სასტუმროს სახლში გარდახდა, სადილიც მზა იყო, ეკატერინემ იოანეც დაიბარა, ლეონტის აცნობა. იოანემ ერთმანერთს ამბორება უყვეს, და მოიკითხეს ურიერთი და დასხდნენ. ლეონტიმ ჰკითხა იოანეს. ქუაბთახევის მონასტე-

რში, რომლის გუარით ჰსცხოვრებთ ბერები, ვითარცა მთაწმინდასა შინა, ანუ სინას მთას, ანუ ათონის მთაში არიან მონასტრები იმა კანონითა იქცევით, თუ სკიტელთ კანონით?

იოანე. ჯერ ვერცერთით, რადგან ახალ მოშენენი ვართ და თქუენ რომლის კანონით იქცევით?

ლეონტიმ. უფრო სკიტელთ მონოზონთ გუარზედ.

იოანე. ვითარ?

ლეონტიმ. ლოცვა, წირვა, ცისკარი, მწუხრი, სერობა ვითარცა არს ჩუეულება ისე გუაქვს განწესებით და ჰსწავლებასაც წარვიკითხავთ მარხვის დღეებში. კლემაქს ანუ ლავსა, იოანესა, ოდეს მე მამათ ცხოვრებისა და ჰსწავლათა შვიდეულსა დღეებსა შინა, ხსენილისასა: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. ვიხმევთ სამსახროს ერთ გზის უღვინოდ: სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას, ვიხმევთ საურწყალოს და ღვინოსაცა. ორ გზის მივიღებთ საჭმელსა: სადილსაც ყოველთვის ვიკითხავთ იმა ტრაპეზსა ზედან სწავლას ოქროპირისას ანუ სხვათა მამათ ცხოვრებისას. უქმეში, ბრწყინვალეს კვირეს, შობის კვირას ვიდრე ნათლისღებამდე წინადღისა ვიხმევთ ყოველთვის საურწყალს. ორ გზის ვიხმთ და ვსვამთ ღვინოსა ეგრეთვე ყველიერში. ხოლო დიდ მარხვას შინა, პირველს კვირიაკესა, შეუდგებით მარხვასა. ვის როგორ ძალუძს ისე ვიმარხულებთ შვიდეულს დღე გამოშვებით ყოველ დღეს, როგორც ძალუძს, ვიხმევთ

ვისაც ნებავს სამარხოთ სირსველს მცირედს და ესრეთ გა-
ნვატარებთ ამ კვირას, შაბათ კვირას ვიხმევთ წვლა ხიზი-
ლალას, და ზეთიანს საჭმელსა. აგრეთვე სხუთა კვირებთა
შინა, ვიხმევთ სამარხოს. ერთ გზის ჭნებათ კვირას შინა, კიდევ
უფრორე დიდად ვიმარხულებთ ეს სახედვე, მარიამობის მა-
რხვას, თიბათვის მარხვას და ქრისტეშობისას ვიხმევთ თევ-
ზთა, გარდა ოთხშაბათის და პარასკევისა. უკეთუ მო-
ნოზონი კინმე იქნების შემცოდე: პირველად გვა-
ლახამთ, ვითარცა არის წმინდისა მამისა ჩუენის ევთვიმე ქა-
რთველისგან გარწესებული, და თუ კუალად შესცოდა რაჲ-
მე კუალად იგვემების უმეტეს და შევაბორკილებთ. მხოლოდ
ცარიელს პურს და წყალს მივსცემთ საჭმლად ერთ გზის
და უკეთუ მესამედ შესცოდა რაჲმე, მაშინ მოვაგდებთ მას
მღვიმესა შინა რაოდენ დღეც მუნ ღირსია ყოფისა მიხედ-
ვისამებრ და ესრეთ დავსჯით. ამის გარდა რა ლოცვისგან
მოვიცლით მერეთ ზოგნი ვიწყებთ ხელთ საქმეს და ზოგნი
წავალთ სამუშაოდ, აგრეთვე რიგ რიგი ზოგნი ვაცხობთ
პურს და ზოგნი ვმზარეულობთ, და წყალს მოვიტანთ, აგ-
რეთვე ფიჩხთა და ესრეთ ვატარებთ ცხოვრებასა ჩუე-
ნსა.

იოანემ. კარგი რიგი გქონიათ და დღესასწაულებში უფ-
რო გაქუთ უკუე ნუგეში სხვა ჟამშია?

ლეონტი. ყოველს საუფლოს დღეებში და ღუთის მშო-
ბლის დღესასწაულებში და სხუა ოდესცა ცისკრის სახარება

ქმნება და თევზი იჭმება მაშინ მომატებით გუაქვს საჭმელიც და სასმელიც, აგრეთვე კვირაობითაც.

იოანემ. გარდა ეკკლესიის ლოცვა-წირვისა, თქუენ ვითარ ილოცავთ?

ლეონტიმ. შეძლებისამებრ ჩუენისა, ზოგნი გრძლად, ზოგნი მოკლედ, ეგრეთვე მეტანიით და ხელის მეტანიით, ვილოცავთ ყოველთვის სენაკსა ჩუენსა, ეგრეთვე შუაღამის დროს დილით, შუადღისას და მწუხრის დროს. ვახშამთ უკანაც ილოცვენ საიდუმლოდ ვის როგორ ძალუძს. ჭკუიანად ლეონტიმ ჰკითხა იოანეს: დიდად მსურს რომ ეს ნათლად მითხრას ვინმე, დავით წინასწარმეტყუელი რომ ჰსწერს შვიდგზის დღეთა შინა ქებისა, ანუ ლოცვასა ღუთისადმი, ვერავისგან ვქმენ გულ-სავსე, და მითხარ ეს როგორც იცოდე ან გაგიგონოს.

იოანე დაფიქრდა და უთხრა: მე წარმიკითხავს, ძველსა მატიანესა შინა და მოგახსენებ.

ლეონტის იამა და უთხრა, მიბძანეთ.

იოანე. ძველად ეკკლესიებსა შინა ჩუეულებად აქუნდათ სამღვდელოთა და შთომილთა, მოციქულთა მიერ, ანუ შემდგომად მათსა, რომელ დღისა და ღამესა, განყოფდენ შვიდად, და შვიდ გზის შეკრბებოდენ ეკკლესიად დანიშნულს ჟამებზედ და მუნ ილოცვიდენ ფსალმუნებითა, და გალობითა: ვსთ-ქუათ პირველად, რომელ იწყებდენ, შუაღამისას ლოცვასა, მოსახსენებელად, ბრძენთა ქალწულთა, რომელნი განვიდენ

მიგებებად სიძისა, რომელ შუაღამესა ოდენ იყო ღაღადებაჲ, აჰა ესე რა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა: აგრეთ მოიხსენებდენ დავითნს ნასწარმეტყუელსასა და მიბაძვიდენ, რომელ ჟამსა შუაღამისასა აღსარებად უფლისა აღდგებოდა, და აქებდა უფალსა.

მეორე, ლოცვა შემდგომად შუაღამისა ვიდრე მეოთხეს ჟამს წინა დროსა ქათმის ყივილისსა, შეკრბებოდიან ეკლესიად, მომახსენებელნი წინადვე მომთხრობელითა განღვიძეულნი სარეცელთაგან წყუდიადთა, საქმეთა მიერ ნათლისათა გამოვლენინ და მოიხსენებდენ უარყოფასა პეტრესსა, რომელიცა აღუხსენებდა ჟამსა მამლის ყივილისასა პეტრესგან ქრისტეს უარის ყოფასა, და ესენი ამა მიზეზით მას ჟამსა ილოცევდიან.

მესამე, შეკრბებოდიან შუაღამიდამ ექუსს საათის გასულის დროს, ვიდრე მემეიდისა ჟამისა, და ამას ლოცვასა ჰყოფდიან, და მადლობასა მესწრაფვიდიან სულითა და გულითა ღმერთსა, რომელ ღამე განიდევნა და დღე შემოგვიახლა, ანუ აღმოგვიბრწყინდა ჩუენ; და აგრეთვე ჰბაძვიდიან დავითს, რომელიცა ილოცევდა: კეთილ არს აღსარებად უფლისა, და გალობად სახელსა შენსა მაღალო, მითხრობად, ცისკარს წყალობა შენი და ჭეშმარიტება შენი ღამედ ღამე.

მეოთხე, შუაღამიდამ გასულს ვიდრე მეცხრეს საათს ჟამსა მესამესა დღისასა შეკრბებოდიან ეკლესიად მომხსენებელნი, არა მართლად დაჴსჯისა პილატესაგან, უფლისა ჩუენი

იესო ქრისტესსა, და ეს სახელი პირველსა მოძღვრებასა მო-ციქულთასა ჟამსა მესამესა, პეტრესაგან თქმულსა. ერთ ხოლო პეტრე დადგა შორის ათერთმეტთა მათ, და აღიმაღ-ლა ხმაჲ თვისი და ეტყოდა მათ: კაცნო ურიანო! და სხვა-ნი. იხილე სრულიად თავსა მას შინა სიტყუა პეტრესი და ამის მიბაძვით ამჟამსა ილოცვიდიან ეკკლესიასა შინა.

მეხუთე, შემდგომად შუ ღამისა თორმეტსა ჟამსა დღისას მეცხრესა საათიდამ მეთორმეტესა შეკრბებოდიან ეკკლესიად მახსენებელნი ჯუარცმისა უფლისასა.

მეექვსე, მეცხრესა ჟამსა დღისასა, შუადღიდამ რომელიც იყო მესამე ჟამი შუადღიდამ. მომხსენებელნი უფლისა ჩუ-ენისა, რომელმანცა მეცხრესა ჟამსა განუტევა სული, ამის მიმხედნი ჟამსა ამას შეკრბებოდიან ეკკლესიად, დაილოცვე-დიან.

მეშვიდე. მეათერთმეტესა ჟამსა დღისასა, რომელსა უწო-დიან მწუხრის ჟამს, შეკრბებოდიან ეკკლესიად. მომხსენებელ-ნი. გარდამოხსნისა ძელიდამ უხრწნელისა გვამისა ქრის-ტესა და დადებასა საფლავად. აგრეთვე მომახსენებელნი და-ვითის ლოცვისა. წარემართენ ლოცვაჲ ჩემი, ვითარცა საკმ-ეველი შენ წინაშე, აღპყრობად ხელთა ჩემთა მსხვერპლ სამ-წუხროდ, ისმინე ჩემი უფალო.

და იტყვიან ვინადგან დავით წინასწარმეტყველი იყო, წინადვე უწოდა ქრისტეს მოსვლასა დავნება. და იგი ამის-თვის ილოცვიდის შვიდგზის დღესა შინა; და ამა შვიდგზის

ლოცვასა, უწინარეს ყოველნი ქრისტიანენი ყოველსა დღესა შინა აღასრულებდენ. ხოლო შემდგომად, ვინაჲდგან მძიმე იყო ყოველთათვის ამა ჟამებში ლოცვა და მეტადრე ხუცესთათვის მსოფელსა შინა მყოფთა და მუნ სხუათა მცხოვრებთათვის, დააყენეს ესე წმინდათა მამათა და ნაცვლად ამისა განუწესეს ცისკარი, წირვა და მწუხრი. აგრეთვე სერობა რათა ამათაც ეზრუნვათ თავთა თვისთათვის, ხელთ საქმისა თუ სხვისა რაჲსამე საჭიროებისათვის, რათა ჰქონოდათ დროჲ, საქმისა შემდგომად ლოცვისა.

ლეონტიმ აქო იოანე და უთხრა: თითქმის ყოველგან დაუძინებელთ მონასტერი იქმნებოდა თუ ყოველ დღე შვიდ გზის ლოცვა ყოფილიყო.

იოანემ. დაუძინებელთ მონასტერში, ვით იყო რიგი ლოცვისა?

ლეონტიმ ყოველს დღეს და ღამეს განუწყვეტლად იქმნებოდა ლოცვა ყოველსა საათსა, ესრეთ, რომელ გარდა ცისკრისა და წირვისა, მწუხრისა და სერობისა, სხვითა ჟამებთა შინა რიგ რიგად სამღვდელონი მივიდოდინ ეკლესიასა შინა დღე და ღამე ილოცვიდინ, ანუ ჟამთა, ანუ სხვათა ვედრებათა, ყოველ ჟამ ამ სახით აღასრულებდინ და ამისთჳს ეწოდა დაუძინებელი მონასტერი.

იოანემ მადლობა მოახსენა და მერე დასრულდა უბნობა, მოილეს სადილი და კარგად შეექცენ. მაშინ იოანემ აიღო

თასი, დალოცა ეკატერინე და უთხრა: ჭეშმარიტად ძარღები ქებისა. თქუენ დაფარეთ მიმლოება მონანესავით თქვენთა და თქუენ ხართ მაგალითი მამულის ერთგულებისა და არა მზაძველი ბიძაშვილებთა შენთა და მე ამითვა-ვიტყვი დღეგრძელდი, და ღმერთმა სრულ ყოს მოგზაურობა შენი და აღავსოს ყოველისა კეთილისაგან. თავი დაუკრა, დალია ღვინო. მერე აიღეს სუფრა. იოანე გამოეთხოვა მადლობელი და წარმოვიდენ მარტყოფისკენ. ზურაბამ ურჩია ამალამ ნორიოს დავჰსდგეთ და ხვალე ადრიან ქალაქს წავიდეთ. და წარემართნენ ნორიოსკენ.

საღამოს ჟამს მიიწივნენ ნორიოს და სახლის ეძებდენ სადგურად, ამ ჟამში ზურაბამ იცნა მასხარა ოთარიკა და დაუძახა ოთარიკას: გამარჯვება შენი! რა ოთარიკამ მოიხედა, იცნა ზურაბა, მოვიდა და მოიკითხა და მგზავრობის მიზეზიც ჰკითხა, ყოველივე აცნობა. მერე იოანეც გააცნო. მაშინ ოთარიკამ მიიპატიჟა ესენი სახლსა შინა თვისსა, გარდახდენ ცხენიდამ, ცხენნი გომურსა შინა დააბეს და ესენი თვისსა საკუთარსა სახლსა შინა შეიყუანა ოთარიკამ თავისს სახლობაში. იოანემ მოიკითხნა, მერე ოთარამ უთხრა, დედაკაცმან გახადა ფეხთ, მოიღო ვარცლი მთაასხა თბილი წყალი და დაუწყო ფეხთ ბანა.... მაშინ ზურაბამ უთხრა იოანეს: ბატონო, ამ ოთარიკას ბევრი ხუმრობა უქნია, ნუ შეწუხდებით. რა ვახშმის დრო მოვიდა, ოთარიკამ დია კარგი ვახშამი მოართო, კარგად დაუმასპინძლა და სახვალიოდ იოა-

ნეც და ოთარიკაც ქალაქისკენ წარვიდნენ.

რა გათენდა, ალჴსდგნენ ალყმზეს ცხენები ამხედრდენ და წარვიდენ ქალაქისკენ: იოანემ უთხრა ოთარს: მიამბე შენ ვითარ მიაწიე მაგ მასხარაობით მეფეთთან. უთარამ უთხრა: მეფის ერეკლეს დროს, ყიზილბაშიდამ ერთი კარგი გუჲრის კაცი მოვიდა, ბატონმა და პატივი ჰსცა, და ერთს ღამეს ბატონმან დაჰპატიჟა ვახშმად: ის ყიზილბაში დიდ ბრიყვი იყო, ბატონს დიდ ეჯავრებოდა იმისი ყალიონის სუნი, რომელ მალმალ ჰსწევდა, და მყრალის თამბაქოს სუნი დადგა იმ სახლში; მირზებმან და სხვათ სპარსულად ბევრჯელ უთხრეს და დაუშალეს, რომ ნუ სწევ ყალიონს მაგრე ხშირათო, მაგრამ არ დაიშალა. მერეთ შძანა ბატონმან, ვინც კაცს მომაშორებს, კარგს წყალობას უზამო: მაშინ ამირეჯიბმა მოახსენა, მე მყავს ერთი მასხარა მსახური, და თუ ინებებთ ის მე ძლევს ამას აქედამ გაყვანას. ბატონს დია იამა; გამოვიდა ამირეჯიბი და მითხრა: ოთარაო, ახლა შენი პურის შოვნის დროა, ეცადე ეს თათარი როგორმე, გააჯავრო რომ აქედამ გავიდეს; მაშინვე უთხარ: ერთის ჯამით ნაკვერცხალი მომიტანეთ და ერთი გრძელი ჯოხი. და ესენივე მომიტანეს. ჯამი ცეცხლით თავს დავიდგი, ხელსახოცი მეშოვახვიე, ყალიონის თავით გავაკეთე და ჯოხი ოლოჯებში გავიყარე და ჩავყარე საკმეველი და დავსდევ გზად, ოდეს დაიძახა იმი თათარმან. ჰი გადა ყალიონ გეთურ! (ბიჭო ყალიონი მომიტანეთ.) მაშინ საჩქა-

როდ, მივეცი ზურგი შევაქციე, ის ჯოხი პირში მივეც უკან ლაჯებში გაყოფილი, და უთხრა ბურტყლვა. (მიირთვი ბატონო) რა ესე იმ თათარმა ნახა, გაჯავრდა წამოხტა, და გინებით კარში გამოვარდა: ბატონს და იმას და ერთობით დაიწყეს სიცილი; მერეთ მიბძანა, რაც იცოდე მასხარაობა ყველა გაჩინეო: მე მოვჰყვე. და როგორაც გამიგონია ისე ვიმასხარავე; და საკვირლად მოვალხინე ბატონმან ერთი ხელი ხალათი მიბოძა, და მას აქეთ, აგერ ოცდა ხუთი წელიწადია სულ ამ მასხარაობაში ვარ; ამა ხელობით ერთი ლუკმა პური ვიშოვნე: იოანემ. უნდა ღმერთს მადლობდე რომ ეგ ნიჭი მოუცია შენთვის, მაგით სარჩო გიშოვნია: ოთარამ დია ყოველთვის მადლობას ვაძლევ ღმერთს:

იოანემ. შენის ხუმრობით, ხომ არავინ შეგიწუხებია, ან ბატონთან ხუმრობით ხომ არავინ დაგიბეზღებია.

ოთარამ. ბატონის მხრიდამ თუ უსამართლო მინახავს რამე, ან მოხელეებისგან და ან ისაულებისგან, ხუმრობაში ბევრი წარმომიდგენია და მიშველია შეწუხებულთათვის. აგრეთვე თავადის მხრიდამ მინახამს რამე ან ურიგო ყოფაქცევა, ან კრივი ან სხვა უსამართლოება რამ, ისინიც გამიტარებია ხუმრობაში: სხვები მრავალი ხუმრობა მიქნია მოსაწონი და სასაცილო; მელიქავეტიქამ, თავის ძმის წულს ქორწილი უყო, და დიდი პურობა გარდუხადა, მეფე მეფის ძენი კათოლიკოზი, და სხვანი დიდი კაცნი იქ იყუნენ შეყრილნი ღამე ვახშმად დიდს დარბაზში ისხდენ, შუალხინის

დროს, მგალობლები, წარმოაყენეს და იგალობეს, როგორც მეჯლიშის რიგია, რა ამათ დაასრულეს, მერეთ სხუებმა დაიწყეს გალობა, ასე მაღლა რომ თითქმის ყოველნი მუნ მსხდომარენი მათმან ყვირილმან მოაწყინა რა ესე ვნახე, გაველ გარეთ და ეზოში, ერთი ვირიება, ავხსენ ის ვირი და ამ დარბაზში რომ შემოვიყვანე, და ეს ყვირილი მიესმა და მრავალი ანთებული სანთელი იხილა შეშინდა ეს ვირი და ასეთის ხმით მოჰყვა ყრიალსა, რომ მგალობელის ხმა სულ დაფარა. რაესე იხილეს კარში გამოვიდ'ენ, შექმნა ხალხმან სიცილი. და ბატონებმან, ის ღამე ასეთის ლხინით გაატარეს რომ მნახავეთათვის უკეთესი არღარა იქნებოდა მეც ვიშოვე მაშინ კარგი ხალათი:

დადიანთან ვიყავ ოდიშში, ერთმან თავადმან დაჰპატიჟა დადიანი, წაბძანდა და მეც მიახლო, რომ ყოველთ უყვარდი მასხარობისთჳს. დადიანმან მიბძანა თუ გამამხიარულებ დღეს, ისეთს ხუმრობას იქმ რასმე საცინელი იყოს, კარგს ცხენს გიბოძებო! მე დიდად მიამა, მაგრამ ვფიქრობდი, რა უნდა ვიხუმრო რაც ვიცოდი ყოველი ვიმოქმედე, სხუ· რა მოვიგონო ამ ფიქრში რომ ვიყავ, სადილიც მოითხოვეს, მაველ დავსხედით ერთი გვერდობიანი კარგი გორა იყო იქ, და რა სუფრა გაიშალა, ვნახე ლომის ხაბ·ზი, მოდის და ერთი დიდი ქვაბი ლომი მოაქვს, და პატარა ხის ნიჩაბი ხელში უჭირავს, შევხედე რომ ეს მელომე უნიფხო იყო, რადგან ჩუეულებად აქუთ, პერანგი აცვია გძლად, და მოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამოიღებს ამ ნიჩბით და აქეთ-იქით ურიგებს, რა ჩემთან მოვიდა, დამიდო ლობი მოხარშული ცხელ-ცხელი. გაბრუნდა, და დაიჯაჯვა ლობიის ამოსაღებლად, ავიღე იმ ქვამად ეს ცხელი ლობი და ამოუსვი, ეს კაცი ასე გამწოდა რომ ჯერ ერთი მაღლა მეხტა ნიჩაბი იქ ვიღასაც თავში ჰკრა ეს ქვაბი იმ თავდაღმართზედ დაუგორდა, და თითონაც დაფრინდა იმ თავდაღმართზედ წყლისთჳს. დაიძახა ჩემც შენი სახლ-კარი და გეწვის რა გუარადაც მე დამწვი. მაშინ წასქდათ სიცილი, თქუენ ამისთანა ხუმრობა არ ქნილაო. ნახევარი ხალხი ულომოდ დარჩა. ასე ვილხინეთ, იმ დღესაც ერთხელ კიდე, ერთი იმერელი ვაჟკე იმერეთიდამ მოვიდა, და ეს ჩემი ცოლი წყალზედ უნახამს ყმაწვილი ქალი იყო და დიაა მოსწონებია. მოვიდა ჩემთან კალოზედ ვიყავ, და მითხრა: ბატონო ერთი ნამუსი მინდა გითხრა, თუ აღმისრულებ, ბარე კარგა გემსახურებიო. უთხრ მითხარი? მან იმერელმან მაჩვენა ეს ჩემი მეუღლე! და მითხრა: ეს თუ გაუთხოვარი არის აქ დავსახლდები და ამ ქალს ვითხოვ თუ მომცემენ მისი დედ-მამა. მე უთხარი: ეგ ჩუენი მეზობლის ქალია, ჯერ გაუთხოვარია. თუ შენახვა შეგიძლიან, მე გაგარიგებ მეთქი. და ემხო ეს კაცი, მადლობა მითხრა, და მითხრა: შინაც ბევრი მაქვს და აქაც მაქვს თან ასი ყურუში მე ვთქვი ფული მეჭირება და ეს არის ჩემი საქმე უთხარ წაველ და ველაპარაკები შენს საქმეზედ იმ ქალის დედ-მამას. დიდ გულით შემეხვეწა და წაველ, ეს

იმერელი სხვაგან ერთს გლეხისას დავაყენე. წაველ ტყუილად და მცირე ჴანს უკან მოველ და უთხარი: დიდად იამათ იმ ქალის დედ-მამას, და კიდეც ნება მოგვცესთ. ესეც შემოგითვალეს, თუ ქორწილი გინდა, ერთი ჴელი ტანისამოსი უშოვე ამ ქალსა, და ჯვარს დაგწერთო. რა ესე გაიგონა იმ იმერელმან, მაშინვე შეჯდა ცხენს წავიდა გორს, და ერთი ჴელი კარგი ტანისამოსი ეყიდნა, თითონაც ჩოხა გამოეცვალა და მესამე დღეს მოვიდა ჩემთან, გამოვართვი ყოველიფერი, და სახარჯოდაც ოციოდ ყურუში და უთხარი: ჴვალ საღამოს უთუოდ ჯვარს დაგწერთ ვინემ ეს ტანისამოსიც მოესწრობა მეთქი, ავდექ მე და უთხარი: მე ატოცს მინდა გადავიდე იქიდამაც სტუმრები მოვიყვანო და ჩემი ძმა მიუჩინე იმ ქალსა ეს გაჩვენებს და რიგსაც მოგცემსა მეთქი, მე რა წაველ, გადაველ ბრეძას, წვერი მოვიპარსე, ბატონის ნაბოძები ხალათი ჩავიცვი, ბუხარის ქუდი დავიხურე, ცხენს ყაჯარი გადაუშალე ორიოდ კაციც თან წამოვიყვანე, და დავარიგე რომ იმერელია იქ, და რამე ჩემ სახლთან ჩამოვხდე ცხენი გამომართვით, და იმერელმან რომ გკითხოთ ასე უთხარით: ეს ბატონის მსახურია, და აქ თავის ცოლთან მოვიდა ქალაქიდამო; რა ჩემს სახლთან მოველ ვნახე ის იმერელი გარეთ ეზოში ზის და ჩემს ძმას ელაპარაკება. გარდ ვხედ ცხენიდამ, ამ კაცებმან ცხენი ჩამომართვეს, იმერელს სალამი მივეც და უთხარი აქ რასა იქთ მეთქი, მან მითხრა ჩემი საქმე მაქვს. ჩემ ძმასაც ვანიშნე. სხვაგან წავიდა და მე

შინ შეველ, დედა-კაცი წინ მომეგება, თითქო ჩამომართვა, აგრეთვე ჩემი წვრილი შვილები, რა ეს იმერელმან იხილა, უთხრა: ჩემთან მოყოლილის კაცებს. ბატონო ეგ ქართველი აზნაური ვინ არის რომ ჩემს დანიშნულთან ასე კადნიერად შევიდა? მათ უთხრეს, რას ამბობ იმერელო ეს მეფის მსახურია, და თავის ცოლთან მოვიდა ქალაქიდამ, და ეს ყმაწვილებიც იმის შვილია:

იმერელმან მართალს უბნობთ თუ მაბრიყვებთ?

მათ კაცთ' არა ჭეშმარიტად, რომ მაგ კაცის ცოლია, იმერელმან. ვაი ჩემთავს, აკა დამაფშო, ვინცა ცრუ ქართველი იყო: და მეჰჩივლა როგორც, საქმეს გაეველო.

მათ უთხრეს: ის კაცი ერთი ცრუ სომეხი არის, ბევრი შენის თანა მოუტყუებია, რადგან მიეცა მაგდენი თეთრი, საქონელი და არავის ჰკითხე: ახლა კი წადი დაგაუდეგ უკან ეგება მოახელო სადმე

იმერელმან თავში ხელის ცემა შექმნა და ტირილი; ამ ქამად გამოვედ, დაუთხარ მამაო რა გატირებს, მან იმერელმან, მეც ისე შემომჩივლა ვითა სხვათა; მეც უთხარ ის ასეთი ცრუ კაცია რომ ბევრიმაგგვარი საქმე, უქნია ახლავ გაუდევ ეგება გორს მოახელო: ავილე, ხუთი აბაზიც ვაჩუქე. ეს დახარჯე. გორში მუქთად პურს არვინ გაჭმევსო. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის სომეხი ვერ მოახელო, ვაჭარი სომეხი ხომ ბევრი დიდის ქუთაის, იმათ წაართვი, რაც და გზარჯვია. იმერელმან დამლოცა, ხელზედ კოცნა მოინდომა, და მითხრა რაკარგი ქრისტიანი კაცი ყოფილხარო, ორიოდე პური ვაჩუქე. და მადლობელი გავისტუმრე:

იოანე. ჟუი ჩემს თავს! სწორედ ხელოვნებით ქურდობა გიქმნიაო, და ზაკვით შენდობა აგილიაო: მაგრამ უნდა უკანვე გეჩუქებინაო რაც გამოართვიო:

ოთარამ. შენ დალოცვილო. ამ სოფელში სულ ამ გვარი მოტყუება არის დასე რჩებიანო

იოანე ოთარავ სიმართლით მოგებული უმჯობესია დაუფროც გამოადგება კაცს; იმ ჟამად გაცილდნენ, გაიპარა მინდორში, ნახეს უკანიდამ სამი ცხენოსანი კაცი, ცხენებს მოაჭენებენ ქიზიყელნი და სამი კაცის თავებიც ცხენზედ უკიდიათ. შედგნენ ესენი და ჰკითხეს, რა ანბავია ძმანო. მათ უთხრეს, ბატონთან მახარობლად მივდივართ. ბატონის შვილმან იოანემ, დაამარცხა ომარხან, და ათასი კაცი მეტი მოუკლიათ. ცოცხალს გარდა ახლა ეს არის ნიახურიდამ მოვდივართ. რა ესე გაიგონა, იოანემ დიდი მადლობა შესწირა ღმერთსა და თქვა. ბედნიერად ვიქადაგე. და ესეც გაეშურა, რომ დროზედ მივიდე ქალაქს, მეფეს იმ ძლევისთვის შესხმა მოვახსენო. და გასწიეს მათ კაცთა, ოთარა იმათ

გაყვა, და ზურაბა და იოანე წარვიდნენ მოჩქარებით ქალაქისკენ: რა ქალაქს შინა მივიდნენ, იყო კალკის დიდი სიკარული ზარბაზნის სროლა, დიდი შეყრილობა; იმის გამარჯვების კმას ზედა; იოანეც მივიდა სახლსა ქვაბთაკევის წინამძღვრისას დაბინავდა; საღამოკანს კაცმან დიახ, რომელ ხვალე სამადლობელი პარაკლისი იქმნების სიონში იქ შემოკრბით, და მერე ექიდამ მეფეს უნდა იახლოთ და მიულოცოთო. იოანე მამინკე განემზადა საკვალიოდ: და იმ ღამეს დაჰსწერა მეფესთან მისართმევი შესხმისა წიგნი კვალისა დღე წირვისდროს მივიდა სიონში; გარდიკადეს მუნ დღესასწაულობა, და შერეთ წარმოვიდნენ მეფესთან. ჯერ სამღვდელოთ, მიულოცეს, მერე დიდებულთა, თავადთა დაზნაურთა, და მერე მოქალაქეთა: შემდგომად ამისა წარდგა იოანე. თავი დაუკრა მეფესა; რა ბატონმან იოანე იკილა იცნო, ვინადგან ბატონს თვალავის სკოლაში მიებარებინა ალექსის შვილის დავით რეკტორისთვის უბძანა ჩემო ფილოსოფოსო, რას გნებავს იოანემ თავი მძიმედ დაუკრა წინ წარდგა და მოახსენა: ამ ბედნიერების ხკედრისთვის, თქუენს უმაღლესობას მსურს შესხმა მოვახსენო თუ ღირს მყოფს თქვად უმაღლესობაჲ თქუენი: მეფემან მმადლობელი ვიქმენები. მაშინ იოანე წარდგა, და იწყო თქმად შემდგომისა ამის ხატითა ესრეთ:

უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფევ და მეფევ ქარ-

თვისა კეთილისა მქონებელო ცეცხლისა გზნებისა და მკურნა-ბელო, ყავ ნ. ბორისოლის ფერგა მამამთავრისა, სხვათა და სხვათა:

საკმეველნი წმინდათა ტაძართა შინა ღთისათა. თქუენ მიერ მეწირულნი და უკმეულნი, სულად სურნელად აღიწიენეს ღთისადმი, და ნაცულად მისა გარდამოილინეს თქუენდა, მადლი მძლეველობისანი, რომლითაც ყოვლად უმაღლესმან ძალმან დაგვირგვინებულ ჰყო, მხედარნი და საჭურველნი მენნი: ამაყმან ავარიის ხანმან მოიდრიკა წინაშე შენსა ძლეველი თავი თჳსი. და სირცხვილეული ილტვის პირისაგან შენისა: ბრძოლისა ღრუბლითა და ფარულთა ადგილთა ზედა, აღმობრწყინდა ნათელი კურთხეულის მშვიდობისა: სატახტოთგან ქალაქმან ამან განიძარცვა ხატი თჳსი დაფარული მკაცრივა ნებითა, და შეიმოსა საკუე სიჭაბუკისა: დღესრეთ მხიარულებით მცხოვრებნი ამას შინა, მოისწრაფვიან აღტყინებულნი სულითა, და აღტაცებულნი სიყვარულითა მოლოცვად უმაღლესობისა თქუენისადმი; და იგალობენ ქებასა გალობისასა, და გიძღუნიან დიდებასა წინაპართა შენ თასა, შეგამზგავსებენ, დიდსა პაპასა შენსა დავითს წინასწარმეტყუელსა, სიყუარულსა შინა ღუთისასა, და სიმკნეთაცა რომელმან დასცა ძალი საღმრთოთა ტყორცით შეურდულისათა გოლიათი, და მით განარინა ერი ისრაელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჴელთაგან მისთა; ეგრეთვე თქუენცა სარწმუნოებითა და-კეთილ მსახურებათა შეთხზე შურდული, და დაიშურდულენ სასოება შენი ღვთისა მიერ, ჰსტყორცენ ზეავსა მას სისხლ მწყურიელსა გოლიათს, და მემჰსრენ უჰსჯულო თავი მისი; და განგვარინენ ჩუენ უცხო თესლთაგან: მისთჳს ჩუენ ნეტარად ვრაცხთ საუკუნესა ამას; დაგჳრეტთ შენ ტკბილსა მამასა, დავჰსტკბებით ამით, გარნა ჩუენ უღონო ვართ ღირსად ქებისა შენისა, და ითხოვს საჭიროება შემთხუევისა მისთჳს, ძველთა ფილოსოფოსთა სადიდებელად თქუენდა: პლატონს, ომერს, სოლონს, ვირგილიას, ციცერონსა, კურციოს, ოვიდის, ბარდონს. და ცხრათა მუზთა, შეკრებულთა პარნასის მთასაზედა, რათამცა თვითეულნი მათგანნი განყოფით, ბუნებითთა ნიჭთა უმაღლესობისა შენისათა მიაწერდენ ქებასა და მადლობასა დაუსრეთ დაატკბობდენ სასმენელთა ჩუენთა.

არამედ ჩუენცა ერთბამად მეძლებისა მებრ ჩუენისა ვმოხარულობთ და ნათლითა დღესასწაულობისათა ვდღესასწაულობთ, ტაძარსა და პალატსა ამა შინა და ვიტყვი, მოვედით თაყუანის ცემად უფლისა ზეციურისა სამღუდელოჲსა მთავრისად, და ღვთივ დაგჳრგვინებულისა მეფისად, უკეთილ ჲსახურესისა უფროს წარმართთა მეფეთა ქუეყანისათა:

უფალმან დაიცვას მეფობაჲ შენი ჯუარითა ჭეშმარიტებისათა დასკინტრითა კეთილმოქმედებისათა, და მით უძლოდე ერსა შენსა, ვითარცა მოსე ისრაილთა, და ვითარცა ისონავესძე, იქმენ ამაღლებულ სკიპტრითა, ვითარცა ალექსან-

ძრე ბერძენთა შორის; და ჯუარითა ვითარცა დიდი კონსტანტინე მორწმუნეთა მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; და ბრძენ ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; თავ დადებულ ვითარცა დიმიტრი ქართველთა შორის; მართალ და საყვარელ ვითარცა ქრისტე მართლ-მადიდებელთა შორის.

გაკურთხოს შენ უფალმან, და დაგიცვას შენ საყდარსა ზედა მეფობისა შენისა ნათესავიდგან ნათესავადმდე,

და იყავნ შენზედა საღმრთო მადლი სულისა წმინდისაგან დამტკიცებული, და დაუბრკოლებელ სულიერსა შინა დიდებასა შენისა მსახურებისასა, და აჰყვავდეს დღეთა შინა შენთა საქართველოჲ, მშვიდობითა და დიდებითა და გეწოდებოდეს მეფე მშვიდობისა და განსვენებისა და მყუდროების, ვითარცა მამასა შენსა სოლომონს. უფალმან მარჯუენითა შენითა, კუალად განაგოსმცა ყოველნი საქმენი ხელთა შენთანი.

უფალმან გამოგირჩიოს შენ ერად გულისა მებრ თვისისა, და განიხილოსმცა შინაგანნი სულისა შენისა კეთილობანი და იყავნ შენ დღეგრძელ ქუეყანასა ზედა. და იყოს შენდა სიხარული დათხეული, და ქვეშე ერდომთა შენთა ზედა, ზეციურისა კურთხევითა და შეწყნარებითა.

და მხიარულებაჲ ჩუენი სრულ იქმნეს შენშორის, და მხიარულებაჲ ესე ჩუენი ნურცა ვისგანმე იყოსმცა აღსახოცველ, ხოლო ჩუენ დასამტკიცებლად ამისა დაუფენთ ერთგულსა გულსა ჩუენსა საღმრთოსა ტერფსა შენსა. სარწმ-

უნოებითა, მორჩილებითა და სიყვარულისა გულითა აღსრულებითა ჩუჱნ უკუჱ ერთბამად მტოებითა, და ბაითა განვემზადებით აღსრულებად მეფობითისა ნებისა შენისა, და უკანასკნელ ვითარცა მსახურნი საკურთხეველისა და მონანი სარწმუნონი, ვდღესასწაულობთ და ვღაღადებთ ოსანნასა; ამას ყოველისა მპყრობელისადმი მხურვალითა ლოცვითა მორტყმულნი.

განაგრძოს ნებამან მაღლისამან დიდებასა შინა შეუძვრელისა მეუფობაჲ შენი და შთამამავლობათა შენთა განუწყვეტელად და საუკუნოდ და იდიდებოდეს სახელი შენი ქუჱყანასა ზედა და დაგემორჩილნეს ქუჱშე ფერხთა შენთა ყოველნი მტერნი შენნი და სახლისა შენისანი ამინ.

შემდგომად დასრულებისა ამის შესხმისა, მივიდა იოანე ბატონს ხელს აკოცა, ბატონმან მადლობა უბძანა, და რაოდენიმე ოქრო უბოძა, და უბძანა: დღეს სადილს კარგათ შეექეც, და საღამოს აქ მოდი, მინდა ზოგი რამ გკითხო, რომ ღამე ისე გავატარო. იოანე მდაბლად მადლობელი და მხიარული წამოვიდა სახლსა შინა. კარგად ისადილა, და შეჰსვა ღვინო სადღეგრძელო მეფისა.

შემდგომად მწუხრისა ჟამსა, მოემზადა იოანე და ფიქრობდა, თუ რაჲსა ჰკითხავს ბატონი; და მერე დანიშნულს დროს იახლა ბატონს, იოანეს მისვლა მოახსენეს, ინება ბატონმან, და ქრისტესის მღვდელი კეთერამეილიც იქ ახლდა. შემდგომად ვახშმისა ბატონმან უბძანა, ქრისტესიას: რადგან შენ გივლია ბაბილოვნსა, ეგვიპტეს, რომს, იერუსალიმს

ეფესოს და სხუათა ადგილთა შინა მუნ მხრისათა, ანუ ვითარ გვნახოს და ან როგორ გსმენოდეს ჰკითხე იოანე დიაკვანს შვიდნი სოფელსა შინა ღირსნი სახსოვარნი.

ბატონი შიგნით საწოლში შებძანდა მოსასვენებლად და მეფე შიგნიდამ ისმენდა ამათსა უბნობასა.

---

ქრისტესიამ. რასა გულისხმა ჰყოფთ შვიდთა მათ სოფლისა ღირსთა სახსოვრებათათვის.

იოანე. სახელითა ამათ იწოდებიან ესე გუარნი უცხო შენებულებანი ანუ სახსოვარნი ძეგლნი, რომელნიცა ყოველთა საუკუნეთა შინა იყუნენ კაცთათვის საკვირველი სახილველი, სიდიდისა და დიდშვენიერებისა გამო თვისისა.

ქრისტესიამ. აღმირიცხეთ მე, თვითეულად სახელდობ შვიდნი ღირსნი სახსოვარნი ძველისა საუკუნოჲსა სოფლისანი.

იოანე, სახელდობ შვიდნი ესე ღირსი ხსოვნისანი არიან შემდგომნი ესე:

პირველი, მავზოლეი.

მეორე, ტაძარი იერუსალიმისა.

მესამე, ტაძარი დიანასი ეფესოსა შინა.

მეოთხე, ზღუდენი ბაბილონისანი.

მეხუთე, ძეგლი, ანუ კერპი იუპიტერისა ოლიმპიისათა,

მეექვსე, კოლოსი როდოსისა.

მეშვიდე, პირამიდნი, ანუ ძეგლი ეგვიპტისანი.

ხოლო რომელნიმე ნაცულად იერუსალიმის ტაძრისა, რაცხუჱნ კრიტისა ზაბირიტსა, რიცხვთა შორის მშვიდთა ღირსთა სახსოვართა სოფლისათა.

---

ქრისტესიამ. რასა გულის ხმა ჰყოფ თქუჱნ სახელსა ქუჱშე მავზოლეისასა, ანუ რაჲსაგამო ირიცხების იგი საკვირველ სახილველად სოფელსა შინა.

იოანე. მავზოლეი იყო მეფე კარიისა, იგი ნარ-ნარად უყვარდა მეუღლესა თჳსსა, არტემიზიას რომელმანცა შემდგომად სიკვდილისა მისისა აღუშენა მას დიდ შუჱნიერი საფლავი, სატახტოსა ქალაქსა შინა მის ალიკარნასს შორის მენეის სასახლისა და ტაძრისაცა მახლობელ ვენერისათა. მაშინ ძეგლი ესე წოდებულ იყო მავზოლეად, რომელ არს საფლავი მავზოლეისა, ამის გამო დღესაც ყოველი სხუათა, მდიდარი საფლავები იწოდებიან მავსოლეიად.

ქრისტესიამ ვითარი სიდიდე აქვნდა; ანუ სივრცე მავზოლეიას ამას.

იოანე. სამხრეთიდამ, ჩრდილოეთის კერძოდ განვრცელდებოდა იგი სამეოცდა სამ ფუტხედ (*); გვერდები მისი

(*) ერთი ფუტის სიგრძე, თორმეტი გოჯია, ანუ ჩუჱულებური ადლის ერთი ჩარექი და ერთი გურლიკ სიგძე.

იყო რაოდენიმე იწრო, სიმგრგვლე აქუნდა, ოთხას ათერთმეტი ფუტი, სიმაღლე ოცდა ხუთი მწყრთა და ოცდა თექვსმეტი, სვეტებიც გარეშემო ერტყნენ მას.

ქრისტესიამ. ვინ იყვნენ ხუროთ მოძღვარნი, ანუ რაოდენნი, რომელთაც აღაშენეს ძეგლი, ანუ მონომენტი ესე მდიდარი?

იოანე. ოთხნი ჩინებულნი ხუროთ მოძღუარნი ესე, სახელდობ: სკოპასი, რომელიც განყოფდა აღმოსავლეთის კერძოსა მისა, ტიმოთე, სამხრეთისასა, მეოხარ, დასავლეთისასა; ბარიაკსის, ჩრდილოეთის კერძოსა.

ქრისტესიამ. დედოფალმან, არტემიზიამ იხილა დასრულება მუშაკობისა ამისა

იოანე. ვერა. იგი გარდაიცვალა მწუხარებითა შემდგომად სიკვდილისა ქმრისა თჳსისათა. შემდგომად სამას ორმეოცდა ათერთმეტსა წელსა შინა, უწინარეს ქრისტეს შობადმდე, შთამამავლობათა მისთა დაუდგინეს სახელ, და მავალითად სიყუარულის გამო მეუღლეობისა.

ქრისტესიამ. არა დაყენებულიყო მუშაობა მისი. შემდგომად სიკვდილისა მის დედოფლისა?

იოანე. არა. შემთხუევულებასა ამას შინა, პიტეკს შეერთდა ოთხთა ხუროთ მოძღუართადმი, და აღაშენაცა მავზოლეის ზედა მაღლი ესე უკუე პირამიდი, და მას ზედა დადგა მარმარილოსაგან ქმნილი უკუე ეტლი, შებმული ოთხითა ცხენითა, მიზეზითა მით საფლავი ესე ირიცხებოდა სოფლის საკვირველებად, და ღირს სახსოვრად. ხოლო ოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხილა საფლავი ესე ფილოსოფოსმან ანაქსაგორმან, კლაზომენისულმან ჰსთქუა ესრეთ: აჰა მრავალნი უკუე თეთრნი გარდაქცეულან ქუებად.

---

ქრისტესიამ. ვინ აღაშენა ტაძარი იერუსალიმისა?

იოანე. სოლომონ ძემან დავითისმან, მეფემან ურიასტანისამან.

ქრისტესიამ. რომელსა ადგილსა ზედა იყო იგი აღშენებულ?

იოანე. მთასა ზედა, მორიისსა თჳთ ადგილსა მას ზედა, სადაცა მამამან მისმან, დავით მეფემან იხილა ანგელოზი აღმასრულებელი მართლ-მსაჯულებისა ღუთისა ხელთა შინა მპყრობელი გამშიშვლებულისა მახვილისა.

ქრისტესიამ. რაოდენსა წელსა აღშენდა ტაძარი იგი?

იოანე. შვიდსა უკუე წელსა.

ქრისტესიამ. როდის იყო შემთხუევა ესე?

იოანე. სოლომონ იწყო შენობა ტაძრისა ამის ორიათას ცხრაას, ოთხმეოცდა ცხრასა წელსა შინა, შექმნიდამ სოფლისა, ხოლო შობიდგან ქრისტესისა წინად ათის ხუთმეტსა წელსა, მეოთხესა წელსა შინა მეფობისა თჳსისასა იწყო შენობად.

ქრისტესიამ. რაოდენ ნაწილად შემდგარი იყო ტაძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ესე?

იოანე. ოთხ ნაწილად, გარნა ყოველნივე იყო შეცულ ერთითა უკუჩ ზღუდითა, პირველი შენობა საგრილობელი ანუ სადგური ერთა, ანუ წარმართთა, მეორე საგრილობელი იყო იუდიანთა. მესამე საგრილობელი იყო მღუდელთათჳს, რომელსა ეწოდა წმინდა. ხოლო მეოთხე საგრილობელი იყო წმინდა წმინდათა ესე იგი: სალმრთო ანუ უწმინდესი ადგილი.

ქრისტესიამ. მითხარ თჳთეულთა სადგურთათჳს, თუ რაოდენნი იყვნენ ზომით

იოანე. წარმართთა, ანუ ერთა მდაბალთა სადგური იყო მე[illegible]ონ იგერლივ ხუთასისა ნაბიჯისა, გარე მოცული მაღლისა მოაჯირითა, რომელიცა ჰსდგა მრავალთა მარმარილოსა სვეტთა ზედა, და აქუნდა ოთხნი უკუჩ კარნი, ანუ ბჭენი მიქცეულ ოთხთა კერძოთადმი ქუეყანისათა. ხოლო ამა წარმართთა სადგურიდამ შევიდოდიან. იუდიანნი საგრილობელსა თჳსსა, რომელიც იყო ფრიად დიდ და მშუენიერ, და გარე მოცულ ყოვლად მშუენიერითა მოაჯირებითა. იატაკი მისი იყო დაფენილ სხუა და სხუა ფერის მარმარილოთი. ზღუდენი მისნი იყვნენ მოოქროვილნი თჳთ უწმინდესისა ოქროჲთა, ხოლო კარნი ანუ ბჭენი ამისნი იყვნენ მოკრულნი ვერცხლისა ფიცრებითა·

ქრისტესიამ. ვითარი სიდიდე აქუნდა წმინდასა, ანუ საგრილობელსა მღუდელთასა?

იოანე. იგი იყო სიგრძივ ორმეოცი მწყრთა. სიგანით

ოცი მწყრთა: საშუალ სიწმინდისა ამის ჰსდგა საკურთხევე-
ლი თითბრისა ოთხ კუთხედი, თვითეულსა უკუჱ გვერდსა
აქუნდა სიგანე ოცი მწყრთა, და სიმაღლე ათი მწყრთა; ორ-
გნითვე კერძო საკურთხეველისა იყო ვიდრე ათი უკუჱ თი-
თბრისა ბარძიმნი შემკულნი ქერაბინთა, სახედ აგრეთვე ლომ-
თა, კუროთა, და დანაკის კუდთაგან, მარჯუენით კერძო
დიდი თითბრისა ბარძიმი, რომელიცა იყო დაპყრობილ ათე-
რთმეტთა თითბრისა კუროთაგან და ამა ადგილიდამ შესაძ-
ლებელ იყო შესვლად ტრაპეზსა მას შინა, რომელიც მექონ
იყო სიგრძივ ოცისა უკუჱ მწყრთისა, სიგანით ათისა. და
კუალად ამავე ადგილიდამ შესაძლებელ იყო შესვლად ტა-
ძარსა მას შინა, რომელი მექონ იყო სიგრძისა სამეოცისა
და სიგანისა ოცისა უკუჱ მწყრთისა. ორისავე მხრით ჰსდგა
ათი დიდი სასანთლე, თვითეული მათგანი მექონ იყო შვიდ
შვიდისა რტოსა. ესეოდენივე ფისონნი ათითარე ოქროსა
სტოლებითა, ანუ მაღალის ტაბლებითა. ხოლო უკანასკნელ
ამა ტაძრიდამ შევიდოდნენ წმინდა, წმინდათა შინა, ანუ ად-
გილსა უწმინდესსა, რომლისაცა სიგრძე და სიგანე თანასწორ
იყო ოც ოცი მწყრთა და ეს სახედვე სიმაღლეცა, და ად-
გილი ესე იყო ათი მწყრთა მოოქროვილი. ათი მწყრთა მო-
ოქროვილი და მოოჭვილი ძვირფასითა თვლებითა. იოსებ
ისტორიკოსი ურიასტნელი მოუთხრობს, რომელ იყო მუნ
ტაძრისა სამკაულნი ვიდრე ესეოდენნი, ოქროსა და ვერც-
ხლისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროსი.. . . . ვერცხლისა.

სასანთლე კელაპტრისა ათიათასი. . ოციათასი.

სტოლი ანუ ტაბლა ათიათასი. . .

ერთი დიდი სტოლი საკუთრად მასია-

ნურისა. . ერთი. . . .

წმინდის ოქროსაგან ქმნილის. . . . .

ქუაბები საარაყის ქვაბის ოციათასი. . . ასი ათასი.

ბარძიმი. . . . . . ასიათასი. . . , ორასი ათასი.

სინი, ანუ ლანგარი. .ოთხმოცი ათასი. . ას სამოცი ათასი.

ემბაზი, ანუ საბანელი ოთხმოცი ათასი. . ასი ათასი.

ტაკუკი. . . .ოცი ათასი. . .ორმოცი ათასი.

საცეცხური დიდი, ოცი ათასი. . .

საყვირი. . . . ორასი ათასი.

მოსაკრავეთა საკრავი ათი ათასი. . . ოცდაათი ათასი.

შესამოსელნი სამღვდელონი და ფილონი, ათასი ხელი მოოქვილი, ძვირფასითა თვლებითა და ოქროქსოვილის ფარჩებისა.

იქმნა ჯამი ერთობლივ ოქროს ჭურჭელთა: სამას სამოცი ათას და ერთი. ვერცხლის ჯამი იქმნა ერთობლივ: რვაას ორმეოცდა ათი ათასი, და ესე გვარ იყო შემკობილი ტაძარი იერუსალიმისა, დროსა მეფისა სოლომონისასა, ვითარცა ჰსწამებს ესე ზემოხსენებული იოსებ ისტორიკოსი.

ხოლო სხუანი მწერალნი, რომელნიმე უმატებენ სხუათაცა ჭურჭელთა, რომელთაცა რიცხვი შეადგენს ოთხას ორმოცი ათასსა ოქროს ჭურჭელსა, ხოლო ვერცხლისას, ერთსა მილიონსა და სამას ორმოცი ათასსა ჭურჭელსა.

---

ქრისტესიამ. რომელსა ქალაქსა შინა იყო აღშენებული, ტაძარი დიანასი?

იოანე. ეფესოს აზიის ქალაქსა შინა, რომელიცა იყო კარიის შინა.

ქრისტესიამ. ვინ აღაშენა იგი?

იოანე. რომელნიმე მომზრახეობენ, რომელ იგი დაწყებულ იყო ამაზონთაგან, ხუროთ მოძღვრებითა და ზედამდგომობითა კტეზიფონისათა, და წასაგებელითა სრულიად აზიელთაგან. ხოლო შენობამან უკუე ამა ტაძრისაგან განვლო ოთხასი უკუე წელიწადი, სიგრძე ტაძრისა ამის იყო ოთხას ოცდა ხუთი ფუტი; სიგანით ორას ოცი ფუტი; მას ედგნენ ას ოცდა შვიდი სვეტნი, შაბაქად მოჭრილნი, რომელნიცა იყვნენ სიმაღლით სამეოცნი ფუტნი თითოეული მათგანნი, რომელნიცა გაკეთებულ იყვნენ რომლისამე ხელმწიფისაგან წარსაგებლითა თვსითა, სახელი ხელმწიფისა მის არ არის ნამდვილ მოხსენებული. შენობა მისი იყო,

ნაძვის ხისაგან ბჭენი მისნი კიპაროზისაგან, ანუ (საროსაგან) ხოლო ეგო ტაძარი ესე მრთლად უფროს ოთხასისა წლისა ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის დრომდე, რომელნიმე სარწმუნო მეისტორიენი ჰსწერენ: ეროსტრატეს ვინმე სახელით წოდებულს, რომელმანცა წარუკიდა ცეცხლი ტაძარსა ამას და გარდა იქმნა ნაცრად, რათა მოხსენებითა ამით, დამთეს სახელი მისი და შთამამველობათა მისთა. ამასაც მოუთხრობენ ისტორიკოსნი, რომელ მას დღესა შინა დაიწო ტაძარი იგი, რომელსა დღესა შინა იშვა ალექსანდრე მაკ იდონელი. გარნა კუალად განაახლეს შემდგომ ტაძარი იგი ვიდრე შეიდ გზის.

---

ქრისტესიამ. მითხარ ვინ განაშუენა ბაბილოვნისა ქალაქი ანუ ვინ აღაშენნა ზღუდენი მის ქალაქისანი?

იოანე. ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან.

ქრისტესიამ: რაჲსაგამო იყო ესრეთ დიდებულ ქალაქი ესე ბაბილოვანისა?

იოანე. პირველად ზღუდეთაგამო ამა ქალაქისათა: მეორედ ტაძრისაგამო ბელსოვალ წოდებულისა. მესამედ სამეფო სასახლისა და ზედან დაშენებულისა ბაღებითა. მეოთხედ მოკირწყლულის ქუჩათა ფილაქნებითა და მდინარისა სანაპირ-

ოებითა: მეხუთედ, ტბებისა და დიდთა არხებთა შემოტანილობითა ქალაქსა შინა; მეექუსედ, დიდშენებულებითა, რომელთაცა კედლებთა სიგრძე იყო გალავნისა ოთხმეოცდა მეადი ფუტი, სიმაღლე სამოცდა ათუთხმეტი ფუტი: მერვე, სიმრგვლე მისი შენებულებისა იყო ოთხას ოთხმეოცი სტადიონი. რომელიცა შეადგენს, ოცსა უკუჱ მილსა (*)

ქრისტესიამ. ვითარ იყო დანაკვეთებულ ქალაქი იგი?

იოანე. ოთხ კუთხედ; რომლისაცა თვითეული უკუ ჱ გვერდი განვრცელდებოდა ასოც სტადიონად, რომელიცა იქმს თვითეული გვერდი სიგრძივ და სიგანით ხუთ ხუთასა მილსა: ხოლო თვითეულისა გვერდსა ამა გალავნისასა აქუნდათ ბჭენი ოცდა ხუთ ხუთნი: რომელიც ოთხასავე გვერდისა შეადგენს კარსა ანუ ბჭესა ასსა.

---

ქრისტესიამ. სადა იყო აღშენებულ ტაძარი იუპიტერისა

იოანე. მახლობელ ოლიმპიის ქალაქისა, სამთავროსა შინა.

ტაძარსა ამას შინა მეკრბულ იყო ურიცხვი უკუჱ სიმ-

---

(*) ერთი მილი შვიდი ვერსია, ერთი ვერსი ხუთასი საჟენია, ანუ ხუთასი მხარის სიგრძე კაცისა. აგრეთვე ერთი ვერსი, ათას ხუთასი ადლის რუსული. სიგრძე ქალაქისა მის, იქნებოდა, ოცდა ხუთმეტი ვერსი. ესოდენივე სიგრძე. სიმრგვლე ას ორმოცი ვერსი.

დიდრე მაზეზისა გამო მოგვთასა, ანუ ქურუმთასა, რომელ-ნიცა საღმრთოდ წინას წარმეტყველებდენ, ანუ წინადვე მო-უთხრობდენ; და აგრეთვე მუნ ერნი მროკველობდენ აღს-რულებითა ოლიმპიის თამაშობისათა. რომელნიცა აღასრუ-ლებდენ დღესასწაულსა ამას მახლობელ ამა ტაძრისა, პატ-ივისათვის ოლიმპიის იუპიტერისათა. ამა ტაძარსა შინა, ღი-რსი სახსოვარი და საკვირველი იყო კერპი იუპიტერისა გამო-ქანდაკებული ხელოვანის ფიდიისაგან; და კერპსა ამას რაც-ხდენ, რიცხვითა შორის შვიდთა სოფლისა საკვირველთა ა და ღირს სახსოვართასა, მწერალი უკუე ესე ვითართა შეხ-დომილებათა, რომელსა ეწოდა ყავზანი აღწერს ამისთვი შემდგომსა ამას: იგი მოუთხრობს, რომელ იუპიტერ ზის საყარძელსა ზედა ქმნილსა წმინდისა ოქროსაგან და სპი-ლოს ძვლისაგან შემდგარსა, რომლისა სახე იუპიტერისა მის-განვე გაკეთებულ თავსა ზედა მისსა, აღგას გვირგვინი ზეთის ხის ფოთოლთა და სტოებთაგან. ქმნილი, მარჯუე-ნესა ხელსა შინა უპყრიეს მას. კაცი სპილოსა ძვლისაგან ქმნილი რომელსა აღგას თავსა ზედა ოქროჲსა გვირგვინი და მარცხენსა ხელთა უპყრიეს სკიპტრაჲ ქმნილი ყოვე-ლთა გუართა მეტალთაგან, და წვერსა მას ზედა სკიპტ-რისასა არს არწივი მჯდომარე ფერხთა ზედა, რომელიცა აცვია ხამლნი არიან წმინდისა ოქროსაგან ქმნილნი და მა-ნტიაცა აგრეთვე ოქროჲსაგან ქმნილი ასხია მას. მანტიისა-სა ზედა არიან სხუა და სხუა გუარნი მხეცნი და ყუავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნი გამოხატულნი.

ტახტი მისი არს შემკულ სპილოს ძუალითა, და აბანოზის ხითა, ოქროჲთა და მრავლითა სხუათა და სხვითა შაბაქად მოჭრილის ნაკვეთებითა. — ოთხთა ფერხთადმი ამის ტახტისათა ქმნილ იყვნენ ოთხნი უკუჱ სახელნი მძლეველობისანი. ეგრეთვე კერპისა მის ორთავე ფერხთა ქვეშე ორნი ძლევანი პირის პირ იმა ტახტის ფერხებისა. ორთა წინა ფერხთათანა მის ტახტისათა იყვნენ ცალკერძად გამოქანდაკებულნი, სფინქსნი მიმტაცებელნი მცირეთა ყრმებთა ფივეელთა, ანუ თიველთა. ხოლო შეორით კერძო იყვნენ შვილნი ნიობისნი, მოწყლულნი ისრითა აპოლონისა და დიანასითა, შორის ფერხთა ამას ტახტისათა გამოხატულ იყვნენ. ფეზეი და სხუანი გმირებნი განმტერებელნი დროჲსანი ჰერკულისა ბრძოლისა შინა პირის პირ ამაზონელთასა და სხუ თაცა მრავალთა მორკინალთა და მებრძოლთადმი.

ადგილი ესე შემკული იყო ქარტინებითა (ანუ სხუა და სხუა სახეებითა მხატრობისათა, ანუ სურათებითა,) წარმომადგინებელი უჩინებულესთა ღუაწლთა ჰერკულესისათა, მოხსენებულთა ისტორიებთა შინა, ზემოკერძო ტახტისა მას ფიდიასი, რომელიცა წარმოადგენდა ერთ კერძოდ გრაციაებთა, მეორისა კერძოდ მთათა; ამად რომელ იგინი და მეორენიცა ირიცხებოდენ ასულებად იუპიტერისად, განზრახვისა მებრ მოლექსეთისა, საფეხურითა ზედა მის ტახტისათა, იდვნენ ოქროსა ლომები, სადაცა გამოხატულ იყო ბრძოლაჲ ამა-

ზოჳნელთა ფიზიისათანა: საფუძველსა მასსა ზედა წარმოდგენილ იყუნენ სხუა და სხუა უკუჱ გუარნი სახენი ოქროჲსა ნაკუეთნი, ესე იგი: მზე ალმომავალი ეტლსა ზედან თვისსა; იუპიტერ და ყრმები გრაციებნი, ესე იგი: მერკური, ვესტა, და ვენერა; მიმდევნელნი კუპიდონისა: გარდა ამათსა გამოხატულებასა კიდე, იპოვებოდიან მუნ კვალად მემდგომნიცა ესე: აპოლონ, დიანა, მინერვა, ჰერკულეს, ამფიტრიატრ, ნეპტუნ და მთოვარე. რომელიცა წარმოდგენილ იყო ვიაარცა მიმავალი უნეთა, ანუ (ცხენითა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტესიამ. რაჲ იყო კოლოსი, რომელსაც სოფელსა-შინა რაცხდენ შვიდს ღირს სახსოვრებაშია?

იოანე. კოლოსისა, იყო მსგავსი კაცის დადგმული და-აღმართული კუნძულსა შინა როდოსისას, ჩამოსხმული თი-თბერისგან კერპი აპოლონთა, რომელნიმე იტყვიან სპილენ-ძსა ესრეთ წმინდასა, რომელ შეესწორებოდა მდაბალს ო-ქროსა).

ქრისტესიამ· რაოდენი აქვნდა სიმაღლე?

იოანე. სიმაღლე მისი იყო ესეოდენი, რომელ ძველად-გან ამტკიცებენ, ვითამც დიდროანი ხომალდნი ლაჯთა ქვე-შე გაუვლიდენ აღმართულნი თვისითა აფრებით და დირა-გებითა, დამტკიცებულ ჰყოფენ, რომელ სიმაღლე მისი იყო სამეოცდა ათი მწყრთა, ანუ ას ხუთი ფუტი, კერპი ესე, ანუ ძეგლი აღმართულ იყო როდოსის კუნძულსა შინა რო-მელ არს ხომალდთა გასავალი, იწროჲ ადგილი, ანუ უვ-შარანი, რომელსა თათარნი უწოდებენ ბოღაზსა, პატივისა-თვის მზისა, და მიზეზითა ამით, რომელ ხომალდი ღამე არა ჰსძგერებოდა კლდოვანთა ადგილთა და არ შემუსვრილ იყო იწროთა იმა ადგი თა შინა, მას კერპსა ყელს ზედა აქუნ-და დაკიდებული ჯაჭვი კიბის სახედ ქმნული ზედან, ადვიდო-დიან და დაჰკიდებდიან მაშხალებთა, რომელ განენათლებინა ადგილი იგი და თავის უფლად განევლო ხომალდს მას

ქვეშე· იგი იყო ორის ფეხით გალაჯული, რომელსაც ერთი ფეხი გამოღმა ედგა კლდესა ზედა და მეორეს გაღმით და ქვეშე გაუდიოდა ზღვა იგი და ესრეთ განვლიდიან ქვეშე მისსა, და ამისთჳს იყო ესეც შერაცხილ საკვირველად და ღირს სახსოვრად სოფელსა შინა.

ქრისტესიამ. ვინ შთამოასხა ეგე კოლოსი?

იოანე. კარლოსმან ნინდსკსა შინა შობილმან, მოწაფემან ჩინებულისა მოძღვრისა, ანუ ხელოვანთ მთავრის ზიზიპპისამან, რომელმანც გაკეთებასა მას ზედა იმუშაკა ათორმეტი წელიწადი.

ქრისტესიამ. ღიდხანს იდგა იგი?

იოანე. ორმეოცდა ათექუსმეტი წელიწადი, მერე შეიმუსრა იგი, მიზეზისგამო დიდის ძვრისა, რომელმანც ამიზეზა დიდი მოოხრება აღმოსავლეთსა ზედა და უფრო საკუთრად კირიასა შინა, კუნძულსა როდოსისას, ხოლო ძვრაჲ ესე იქმნა ორას ოცდა ოთხის წლისა, წინად შობადმდე ქრისტესისა, რომლისგამო ჰსჩანს კოლოსის დაწყებაჲ უწინარეს ორას ოთხმეოცდა ათორმეტს წელიწადს შინა შობამდის ქრისტესსა.

ქრისტესიამ. ამა კერპისა ნამტვრევნი, იპოვესლა სადმე?

იოანე. შემდგომად, რვაას ოთხმეოცდა ათექვსმეტის წლისა, ჰპოვეს ამა კერპისა ნამტვრევნი თითბრისანი,

შვიდი ათას ორას. ცენტარნი, რომელიც შეადრგენს;

თითო ნაჭერი ას ფუნტსა: (*) რომელიც შემძლებელ არს მოცემად ჰაზრის საკვირველისათჳს. სიდიდისა ამის! გამოქანდაკებულის კერპისათა.

---

ქრისტესიამ. ვინ აღმართნა ეგვიპტეს შინა ესე მდიდარნი ღირს სახსოვარნი ძეგლნი ძველთა დროთანი?

იოანე. მეფეთა ეგვიპტისათა ფარაონთა, რომელიც იყვნენ აღმართულ დედა ქალაქის კაირიდამ ვიდრე ერთსამილსაზედა ანუ შვიდის ვერსით განშორებულ.

ქრისტესიამ. საიდამ უფრო იხილვებიან იგინი?

იოანე. არს ქალაქი მცირე ღეზიციად წოდებული, ოდესაც გახვალ გარეშე ქალაქიდამ, მყისვე დაინახავ იმა პირამიდთა, და რომელიც მორავს მათგან ორას მილსზედა.

ქრისტესიამ. რაოდენნი არიან მუნ ძეგლნი?

იოანე. სამნი, უკჳე დიდნი პირამიდნი, ერთი მეორისაგან მ ოშორებით, ვიდრე ორას ორას ბიჯითა.

ქრისტესიამ. შესაძლებელ არს კაცთაგან შესვლად ამა პირამიდებთა შინა?

---

(*) ესე ფუნტები შეადგენენ რიცხვით სულ ერთობლივ ნაჭერსა თვრამეტი ათასსა ოთხსა ფუთსა ქართულსა, ლიტრასა ოთხმოცდა ათ ა ათასსა.

იოანე. — შესაძლებელ არს შესვლად, მხოლოდ ერთსა ოდენ უდიდესსა შინა, რომელიც ჰსდგანს ჩრდილოეთის კერძოდ,

ქრისტესიამ. რაოდენი სიდიდე აქუს მას?

იოანე. სიმაღლესა მის ჰსდებენ, ვიდრე ექვსს ფუტად, და აგრეთვე ამისავე შესაფერს სიგგრგვლესა ოთხ კუთხეზედ დანაკვეთებულსა.

ქრისტესიამ. ვინ აღაშენა იგი, ანუ რომელს დროს იყო აღშენებული?

იოანე. რომელნიმე მომთხრობელობენ მისთჳს, რომელ იგი აღშენებულ არს შემდგომ სამიათასის წლისა დასაბამიდგან სოფლის, ეგვიპტის მეფისა მიერ კომფიისათა: ხოლო სხუანი რომელნიმე ჰგონებენ, რომელ იგი აღშენებულ არს, ხემნისის მიერ ანუ, ხეოპსოსგან.

ქრისტესიამ. უწყებულ არს, თუ საიდგან მოიღეს ესე ოდენნი დიდ დიდი ქუაბნი, და სხუანი მრავალნი?

იოანე. იტყვიან, რომელ იგინი მოღებულ არიან ადგილით ფიბაიდისგან„ ანუ ზემორე ეგვიპტისგან.

ქრისტესიამ. რაოდენსა დროსა აღაშენეს იგი, ანუ რაოდენნი მუშაკნი მუშაობდნენ მას?

იოანე. ოცდა სამს წელიწადს აღაშენეს იგი, ვითარცა უბნობენ. მუშაკნი რომელნიც მუშაობდენ მას ზედა იყვნენ რიცხვით სამას სამოცი ათასნი.

ქრისტესიამ. ვითარ დიდი იყო ხარჯი მასზედა?

იოანე. პლინიოს მოუთხრობს ამისთჳს, რომელ დახარჯულა მხოლოდ ხახვისა და ბოლოკსა ზედა, ათას ექვსასი ტალანტი ვერცხლი და ოქრო, რომელიც, შეადგენს ჩუენს თეთრსა ხუთ აბაზიანსა. ანუ ხუთსა აბაზსა ვიდრე ჯამით ოთხ მილიონსა და მიზეზი ხახვის დაბოლოკის ხარჯი ეს იყო, რომელ ეგვიპტელნი უფროსრე იხმევდნენ საზრდოდ ბოსტნეულთ მდელოთა, ვიდრე სხუათა საზრდელთა.

ქრისტესიამ. ვითარ შევიდოდიან შინაგან ძეგლისა ამის?

იოანე. კარი ამა ჩინებულის პირამიდისა. რომელსაც შინა შესაძლებელ არს შესვლად, არს ოთხ კუთხედი, სიმაღლით არის რაოდენისამე ზომითა უმფროს სამისა ფუტისა, ხოლო მოუთხრობენ მისთვის, რომელ იგი პირველ დახშულ იყო დიდითარე განწყობილის ლოდითა. ესრეთ, რომელ თუ არ მცოდნენი ვერა გააგნებდიან კარსა მას ოდეს დახშვიდია მას გამოჭყობილის მის ლოდითა.

ნაკვეთი პირამიდისა ამის იყო კუთხედი და თვით საფუძველისგან ძირს მიწის მოშორვებული და ზემდგომარე მექონარს იგი იმგვრლივ სისქისა ორი ათას რვაასისა ფუტისა ანუ ოთხასისა სამეოცდა ექვსისა ტოაზისა სრულიად და, ნაკვეთებულობაჲ მისი სიმაღლე და სიმგვრლე შეადგენს ოთხასი ათასსა კუბიერსა ტოიზსა.

ქრისტესიამ. ვითარი სიმაღლე აქვნდათ ქვებთა მათ, რომელთა შინაცა აღშენებულ არიან ესე პირამიდებნი?

იოანე. იგინი არიან სიმაღლით სამ-სამი ფუტნი და

სიგრძლივ, ანუ განზედ ხუთიდამ ექვსამდინ ფუტი, ესე პირამიდი არს ხარისხებად დაყოფილი ამ სახედ: რომელ ძირიდგან დაწყობილი ქჳაჲ რიგზედ მეტობს, მეორეს ხარისხის რიგსა, მეორისა და მესამის, მესამისა და მეოთხეს. ესრეთ უმორეს ვიდრე დასრულდებოდეს წვერამდის, რომელსა ზედა, დაიდების ერთი ქჳა, დაწყობილობაჲ ამა პირამიდისა შესახედავათ არს კიბის სახედ. და, გრეხილებით ხარისხსა და ხარისხსა შინა- ქვებნი გამოწეულნი, გარნა, ალსვლა მას ზედან შეუძლებელ არს, მხოლოდ ოდენ შეიძლება მსუბუქი კაცისგან აბობლებით ასვლაჲ ვიდრე წვერამდე ამა პირამიდისა.

ქრისტესიამ. სხუანი ორნი იგი პირამიდნიც არიან ამ სახედ თუ სხუებრ ქმნილნი?

იოანე. არა, იგინი არც ესეოდენი არიან სიმაღლით და არც სიზრქით და არც შესახედავით, მხოლოდ ესენი არიან უმფრორე ოთხისავე გვერდით სამკუთხედათ მოყვანილნი და წვერი წვრილნი შესახედავით.

ქრისტესიამ. რაჲსა სახმარისად ქმნეს ესე პირამიდნი?

იოანე. მოუთხრობენ მაგისთვის, რომელ იგინი მჴსახურებდენ ძეგლად საფლავთათვის მეფეთა ეგვიპტისათა ამად, რომელ გვამნი ეგვიპტის მეფისანი მუნ იყვნენ დასაფლავებულნი ვითარცა აკლდამათა შინა.

ქრისტესიამ. თუმც ზავირინდი არა არის ღირს სახსოვრის რიცხვებში, მაგრამ ბერძენთა მეცნიერთაგან ესეც მერვედ არის შერაცხილი და მითხარ თუ რაჲ იყო ზავირინდი?

იოანე. ზავირინდი, ანუ ბავირინდი არს ბერძული სიტყუა, რომელიც ნიშნავს ძნელსა გამოსასვლელსა ადგილსა, ანუ დაბნეულსა ადგილსა, მრავალთა გზებთაგან ქმნილსა და მიმოხრილსა ბილიკონებითა და დაკლაკნულსა, ესრეთ, რომელ შემსვლელნი მას შინა ძნელადღა შეიძლებენ პოვნასა გზისას გამოსასვლელად. ისტორია და მეტოლოღია წარმოგვიდგენს ჩუენ ოთხთა ჩინებულთა ზაბრინტთა პირველსა კრიტიისასა ქმნილსა დედალოსის მიერ, სადაც იყო პყრობილად მინტავრი და საიდგანც ღმერთი ტეზეი ვერაოდეს შემძლებელ იქმნა მუნიდგან გამოსვლასა, თვინიერ არიადნინიისა ძაფის ანუ ბაწრის კიდე, რომელიც გაბმულ იყო კარიდამ მის ადგილისა და ხელით მიყოლებით შევიდოდის და გამოვიდოდის იმა ადგილით. ზაბრინტი ესე იყო უდიდეს უფროს ყოველთა ქალაქთა ზედა, შენებულებანი იყო მას შინა უმრავლესნი, და სასახლენი მრავალნი, რომელ ერთისა სახლიდამ დაივლიდა მრავალთა სხუათა და სხუათა სახლებთა და შენებულებათა. გარნა ყოველნი გზანი იყუნენ ქუჩისა თუ სხუათა მიმოხრით ქმნილნი, რომელ ერთიდამ მეორეს ადგილსა ვერღარა მიაგნებდენ; ამა ადგილთა შინა იყო დიდროანნი ველნი და ტყენი, მშვენიერნი ბაღები· აგრეთვე

მცირე მდინარენიც და ტბებიც და რაჲცა ვჰსთქვათ ერთისა კარგის ქალაქისა მდებარეობა: ესე უკეთ იყო დიდებულ და უფრო მშუენიერ. მხოლოდ გზების კიდე, რომელ მას შინა ჰსწორესა უკუ გზასა ვერა ჰპოებდიან და ამისთვის იყო მუნიდამ გამოსვლა, რომელ ესე გზანი ერთმანეთს შორის მიმოხრილნი სხუათა და სხუათა გზებთა შინა განრთვიდენ კაცს და დაიბნეოდენ ამა ძებნასა შინა. უმეტესი აღწერა მისთვის იხილე ძველსა ისტორიასა შინა საზოგადოდ ქუეყნისასა.

მეორე ლაბირინტი იყო, მე როკსკისისა, ქმნილნი პსამმინტისისა მიერ მეფის ეგვიპტელთასა, რომელიც იყო შედგმული სხუათა და სხუათა შენებულებათაგან ვიდრე სამიათასლამდი, ამა აბირინტსა შინა იდგნენ კუალად რაოდენნიმე ტაძარი პატივისათვის ყოველთა ღმერთა წარმართასა. პლინიოს მოუთხრობს, რომელ იგი არსებობდა კუალად მისსავე დროსა მინა და რომელ მას დროსა შინა განვლო სამიათას ექვსას წელსა, აღშენებიდგან მის ლაბირინტისა. მესამე, ლაბირინტი ზემონიისა, რომელიც უწყებულ არს დიდ მშუნიერება მისი, და რომელსა შინა იდგნენ მრავალნი დიდ შუენიერნი და დიდროანნი სვეტებნი სხუათა და სხუათა გვართა ქუებთაგან. ხოლო მეოთხე ლაბირინტი ნეტერუსისა ქმნილი მეფისა ყროსუნიის მიერ, საფლავად თავისა თვისისა და შთამომავლობათა თვისთა. ესეცა იყო ფრიად მშვენიერ და დიდ. გარდა ამისა, შეანტომიენი, და ანატომიასა შინა

ჰსდებენ ლაბირინტად, ხვრელსა და შინაგანსა ადგილს ცარიელსა ყურისასა სხუა და სხუა გუარად მიმოხვეულსა გზასა სასმენელისასა, და უმტკიცესსა კერძოსა საფეთქლებისა ძვლებთა შინა მდებარეთა. ხოლო გუარით მუნ ალჴყუანებისათა ჰსდებენ ლაბირინტად, შეცთომილებასა საქმეთა შინა ანუ მოგზაურობათა შინა, და სიძნელეთა შინა შთაცვივნასა და დატყუევებისა და საქმის წარუმართეელობასა, რომლისაგანც ძნელად შესაძლებელ იყოს კაცის განთავისუფლებად თავისა თჳსისა. აგრეთვე აკეთებენ ევროპიულნი ბაღებთა ლაბირინტის სახედ მიმოხრილს გზებითა და დანერგულის განუვალის ბუჩქებითა და წვრილის დაკლაკნულის . ბილიკებითა და ესრეთ დასრულდა უბნობა, და დიდად მოეწონა ბატონსა. ქრისტესიამაც აქო იოანე და მოახსენა, როგორც საბერძნეთში გამიგონია ყოველივე ისე მოგახსენათ ამ იოანემაო. მაშინ ზურაბამ კარებიდამ მოახსენა ბატონს, ამ დიაკვანს ჩემი წისქვილი კი დარჩა განუმარტებლად და იმისი რატომ არღარა მოგახსენათ რა. ბატონმან ბევრი იცინა და შეიტყო მიზეზი მისიც, და უბრძანა: დავით მემკვიდრეს უბძანებ, გიხსნას სატანისაგანო.

---

და მერე წამოვიდა იოანე მხიარული შინა, ხოლო მეო-

რე დღე გათენდა კვირა და წარვიდა იოანე წირვაზედ სიონსა შინა, გარნა ეგეოდენი ხალხი მისულ იყო რომელ, იოანემ ვერღა შეიძლო შესვლად და დასდგა კარი ბჭესა შინა, იხილა მუნ იოანემ ერთს კუთხესა შინა, ოთხნი კაცნი უყურებენ ქაღალდსა და ერთმანერთს ელაპარაკებიან. იოანე მივიდა უკანით მათსა და მთახედა, რომელ სათამაშოს ქაღალდებს ჰსჩხრიკდენ და თამაშობდენ. იოანემ დაბლად ჰსთქუა: დიდი ვნება არ არის, რომ წირვის მოსმენაც ვერ მოუთმენიათ და აქ ყომარბაზობენ, შინ კი არ ეყოფათ ოცდა ოთხი საათი საყომარბაზოზედ. რა ესე გაიგონა, დიმიტრი თუმანის შვილმან, უკმოიხედა და იცნა იოანე, აგრეთვე იოანემან იცნა იგი და უთხრა იოანეს: ჩუენ ყომარზედ არ ეთამაშობთ. ამა ჩემთა ამხანაგთა წიგნი არ იციან და ამას ზედა ლოცვას ვასწავლით.

იოანემ. ვინ არიან ეგენი, რომ წიგნი არ იციანო.

დიმიტრიმ. ჯღერიაშვილიო! მკერვალიო სულეიმან, და ფეიქარი დავითა.

იოანე. განმიმარტეთ მე, თუ ვითარ ასწავებთ მათ ქაღალდით ლოცვასა. დიმიტრიმ, წირვას უკან ჩემთან მობძანდით და მე მოგახსენებ, როგორადაც ვასწავლი ლოცვას, რა წირვა დასრულდა, წარვიდენ დიმიტრის სადგომს დასხდენ და მოიღო დიმიტრიმ სათამაშო ქაღალდი, უთხრა იოანეს; აჰა ესე, ვასწავლი ამათ ლოცვას.

აიღო კუკო ქაღალდის და უთხრა იოანეს: ამა ერთიანის

ხალთას გამინჯვით წარმოვიდგენთ ერთსა ღმერთსა შემოქმედსა ცისა ქუეყანისასა, და დამბადებელსა ჩუენსა, და შევევედრებით მას და ვთხოვთ ცოდვათა მოტევებასა და წყალობასა.

ორს ხალიანს ქაღალდს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ იესო ქრისტესა, ორითა უკუე ბუნებითა, და შევევედრებით მას, ვინაჲდგან ჩუენთჳს გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა და მარიამისგან ქალწულისა განკაცნა და ჯუარს ეცვა, დაეფლა და აღსდგა, და გვიხსნა სიკვდილისაგან, მას ვევედრებით, რათა მოსცა სოფელსა და მერმესაცა შეგვიწყალოს ჩუენ.

სამს ხალიანს ქაღალდს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ წმინდა სამებას სამ გუამოვნებით და ერთ არსებით განუყოფელსა მამასა და ძესა და წმინდასა სულსა და შევევედრებით მას.

ოთხს ხალიანს, რომ ავიღებთ შევევედრებით ოთხთა მახარებელთა რომელთა აღწერეს სახარება და ვთხოვთ რათა მეოხ იქმნენ წინაშე ღვთისა. აგრეთვე ოთხთა მთავარ მოწამეთა, გიორგის, დიმიტრის, ესტატის და მერკვირის. ამათაც ვევედრებით რათა მეოხ გვექმნენ წინაშე ღვთისა.

ხუთს ხალიანს რომ ავიღებთ ხუთთა ანგელოზთა წარმოვიდგენთ, ესე იგი: მიხაილს, გაბრიელს, რაფიელს, ურიელს და ყოველს, და ვევედრებით მფარველად ჩვენდა დახსნად განსაცდელთაგან და საფრხეთა ეშმაკისათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექუს ხალიანს ქალალდს რომ ავიღებთ, წამრმოვიდგენთა ექუსსა დღესა ვნების კვირისასა და, შევევედრებით უფალს ჩუენსა იესო ქრისტეს.

შვიდს ხალიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათა ესე იგი: ამპარტავნებას, ანგარებას, მრისხანებას, მცონარებას. თუ ამას შინა რაჲმე ცოდვა შეგვემთხუევია ვევედრებით მისთჳს ღმერთსა რათა მოგვიტეოს შეცოდებანი ჩუენნი.

მერვეს ხალიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ იესოს ქრისტეს, მერვე დღესა რომ მოვიდა მოწაფეთა თვისთათანა და შევიდა კართა ხშულთა შინა და რქუა: მშვიდობა! რომ ჩუენ ყოველთჳს უხილავად გვრწამდეს და თაყვანის ვცემდეთ, რომე არა მოვაკლდეთ ნეტარებას რომელიც ბძანებს: ნეტარ არიან რომელთა არა უხილავ და ჰრწმენე.

მეცხრეს ხალიანს რომ ავიღებთ, მოვიხსენებთ ქრისტეს მიერ ბრძანებულსა ცხრას ნეტარებასა და ჩვენც შევუდგებით ცნებასა მისსა.

ათიანს ხალს რომ ავიღებთ, მოვიხსენებთ მოსეს მიერ ათის მცნების მოცემასა, რომელიც მოსცა ღმერთმან ფიცარსაზედა დაწერილი და ვმეცადინოებთ დაცვასა მისსა.

სალდათის სურათს, რომ ვიხილავთ, შევავედრებთ ღმერთსა მხედრობასა ჩვენსა და კეთილის მყოფელთა ჩვენთა. ოდესმე კაცთაცა წარმოვიდგენთ და ვთხოვთ

ღმრთისა ხსნასა მათგან ჩვენსას.

ბიბსა ანუ ქალიანს სურათს, რომ ვნახამთ, შევავედრებთ ღმრთისა დედოფალთა ჩვენთა, ვინაჲდგან საზოგადო დედა არიან ჩვენნი, და ვჰსწყევთ მაცთურთა და ავთა დედაკაცთა.

მეფის სახეს რომ ვიხილავთ, შევავედრებთ ღმრთისა მეფესა ჩვენსა, ვინაჲდგან საზოგადო მამა არს ჩვენი და ილვწის ჩვენთვის, სხუათა მაწუხებელთა ჩვენთა მეფეთა და ხელმწიფეთა სარკინოზთა და ულთოთა, ვჰსწყევთ და ვარისხებთ ღმრთისა მას ზედა.

დიმიტრიმ, კვალბად ეხმარობთ კალენდრად, ანუ წლის სათვალავად ამა ქაღალდს, ესრეთ: ეს ქაღალდი არის რიცხვით ორმოცდა თორმეტი. რომ წელიწადიც შედგება ორმოცდა თორმეტს კვირით. ესე თორმეტი სურათი ირიცხება თითო თითოდ თვეებად რომ შეადგენს ათორმეტს თვეს, უკეთუ განვამრავლებთ ამა ქაღალდის ხალებთა, მაშინ ვცნობთ წელიწადისა დღის რიცხვთა ესრეთ: ხელმწიფე რომ განვამრავლოთ ოთხით, რომ ხელმწიფე თითონ ნიშნავს ცამეტს რიცხვსა: შეადგენს, ორმოცდა თორმეტსა. ბიბი ოთხი გამრავლებული თითო თორმეტად, შეადგენს ორმოცდა რვას, სალდათი ოთხი, თითო თერთმეტ რიცხვად ჩაგდებული, და ოთხით გამრავლებული შეადგენს ორმოცდა ოთხსა: ოთხი ათიანი, ოთხით გამრავლეებული იქმს, ორმეოცს; ოთხი ცხრიანი, ოთხით გამრავლებული იქმს ოცდა თექვსმეტს: ოთხი რვიანი ოთხით გამრავლებული იქმს, ოცდა თორმეტს

ოთხი შვიდიანი ოთხით გამრავლებული იქმს, ოცდა რვას; ოთხი ექვსიანი ოთხგზის იქმს ოცდა ოთხს; ოთხი ხუთიანი, ოთხგზის იქმს, ოცს; ოთხი ოთხიანი, ოთხგზის იქმს, ათექვსმეტს; ოთხი სამიანი, ოთხგზის იქმს, ათორმეტს; ოთხი ორიანი, იქმს, რვას. ოთხი კიკო იქმს რიცხვის ოთხს, და ესე ყოველი ერთად შეკრებული რიცხვი იქმს. სამას სამეოცდა ოთხს დღესა. და ოდეს დღევანდლის დღიდამ რომე დღეს კვირა და შუადღე, ამ შუადღიდამ მომავალს წელსა ორშაბათის დღის შუადღისას იქმნების წელიწადი სახელი სამას სამეოცდა ხუთი დღე.

იოანე. დიალ მოიწონა, დაუთხრა: თუ როგორც ილაპარაკე იმ გულით მოიქცევით, ჰსწორედ ლოცვად შეგერაცხებათ: და თუ თავის სამართლებელად ანბობთ და მაშინ, რაღა მოგახსენო.

ჰკითხა იოანემ, რამოდენი გვარი იცით თამაშობისა, და ანუ რამოდენი არის თამაშობის გჳარი?

დიმიტრიმ. აზიური თამაშობის გჳარი და ჩჳენც რომ ვთამაშობთ ქაღალდს თუ სხვას რასმე სათამაშოს, არიან შემდგომნი ესე, ქაღალდში: 1) ფასი, 2) ნახჩი, 3) ბითური 4) აღება, 5) განყოფა, 6) ტალახი. ხოლო გამათლით სათამაშოთა, 1) პატარა ნარდი, 2) დიდი ნარდი, 3) უკვდავი ნარდი, ანუ შარსი 4) კამანო, აგრეთვე დიდი განჯაფა და თულფის თამაშობა. ხოლო კჳბლად სათამაშო კარგი და გამოსაცდელი არის, ჭადრაკი, ამასთან დამა. შლა-

ბალით ხალხთ უფრო სათამაშო არის, მარუქარი, უჩიგანა, ზუნთუ კ[illegible]ტი, თოხან ალჩუ, ორმოობა: სალაობა, აროლი ანუ ფულის ყრა: ნესვის ტკბილობაზედ დანაძლევება დაგაჭრა. კვერცხის ცემა ერთი მეორისგან და მოგება. აგრეთვე ყმაწვილნი ოთახოს და სხუათა თამაშობითა ითამაშებენ, ესენი სულ აზიურია; ხოლო ევროპიულნი არიან შემდგომნი ესე: 1) ბოსტონ, 2) ბანკი, 3) ფიქეთი, 4) დურაკი, 5) სვოი კოზირი, 6) გორვა, 7) ხლუსტს, 8) ციკვი, 9) ტრილოსტი, 10) სემლისტოკ, 11) ჩუხონი, 12) კოროლი, 13) ვისტი, 14) რუჩნოიბანკი, 15) ოტკუპი 16) ლაბლცვეი, 17 ზამუშ, 18) მაკაო, 19) ლოტო, 20 ბეზდენ, 21) ემოსკოვსკუიუ, 22) პონისკამ, 23) ეფოფან, 24) ლომბერი 25) ბილიერი, 26) ქაღალდის ფურცლებზედ ნუმრებით დასხმით თამაშობა, 27) ქვა გაქრასაეით ხით თამაშობა, ესენი სულ ვიცი და გამოცდილი ვარ.

იოანე. მართლა კარგად დალალულხარ ყომარბაზობაში, დიმიტრიმ გაიცინა, და უთხრა: თუ გნებავს, ყოველს გვარს გაჩვენეებ, როგორ უნდა თამაშობა; იოანეს იამა, და მოილეს ქაღალდი, გაუჭრეს იოანეს რა აჩვენეს უთხრეს: ფული ამოიღეს რომ ისე ანგარიში გაჩვენოთ. იოანემ ერთი ბაჯაღლუს ოქრო ამოიღო უბიდამ და დადო მუნ. მათ ფასის გვარი აჩვენეს და სხვათა ყოველთა სათამაშოთა, და მარალისათა, გაუადვილეს იოანეს თითო ბისტობით, უკანასკნელს ალურიცხეს, იოანეს წაეგო ბაჯაღლუ, მაშინ ჯლერიაშვილმან

აილო ოქრო იგი და წავიდა. იოანე იქმნა მწუხარე, მცირედსა ხანის შემდგომად მოვიდა ჯლერიაშვილი, მოიტანა ერთი დიდის ტიკჭორით ღვინო, ხორცი, პური, თევზი, და ესე ვითარნი და სთქო: ღმერთმან აშენოს იოანე, დღეს კარგად გვიმასპინძლია.

იოანე. ვაი ჩემ თავს! მე არა ვარ მასპინძელი და არც მიყვარს ამგვარი მასპინძლობა.

ჯლერიაშვილმან. ჩვენ ასე დავიხვედრიევ ვისაც ქალა-ლდის თამაშობას ვასწავლით: გაუშალა სუფრა, დასხდენ და იწყეს ლხინი, იოანეც იძულებით გაამხიარულეს, და უკანასკნელ დასრულდა სადილი. დიმიტრიმ რომ შეატყო დიაკვანს მწუ-ხარება ოქროსთვს, მოიტანა და ერთი საბერო შალის სახო-ხე აჩუქა, რომ ეს ჩოხად შეაკერვინე, მონასტერში კარგა გამოგადგება სამუშაოდ. სულეიმან მკერვალმან უთხრა: მე შეგიკერავ უხელ ფასოდ, დავით ფეიქარმან: მე საპერანგე ხამს მოგიქსოვ: ჯლერიაშვილმან: მე კი იქ მოგიტან სადაც დგეხარო.

იოანემ იანგარიშა და სთქო. კარგია, ერთ ბაჯაღლუთ ძლივ მომივიდოდა; მადლობა უთხრა და წარმოვიდა შინა.

ამჟამად გამარჯვებულნი მხედარნი და ბატონის შვილიც მოვიდნენ ქალაქს; ბატონს მიულოცეს და მერე მოქალაქეთა ყოველთა იმ ღამეს გაუკეთეს ჩირალდანი, და ვახშამიც პ ტივისთვს ჯარისა. რა შუადღიდამ მეცხრე საათი შეიქმნა ალანთეს მაშინ სანთელნი ყოველმან, ფასოსნი, ვითარცა რიგი

ჩირალდნისა და ყოველი ხალხი წარვიდა შესაქცევად და სანახავად.

იოანეც წარმოვიდა, იხილა გზასა ზედა მიმავალი ჩირალდნის სახილველად, ოდიშელი ბერი მწირი ვინმე ახალი მოსრული, უთხრა ვინ ბრძანდებით და ან სად მიხვალთ, მან უთხრა: ოდიშის მთით მონასტრით, სათხოვნელათ, წამოსული ბერი ვარ მწირი რომელს აცა მეწოდების ფუქურო. იოანემ ჰკითხა რა ბერის სახელია! ბერმან ეს დამარქვეს, თორემ სერაფიმ მერქვა! იოანემ ისევ ეგ უწოდე შენს თავს სახელად. მერე უთხრა მან ბერმან: თქვენ რაღა გეწოდებათ? დიაკვანმან, იოანე. მერე ჰრქვა ბერმან: შვილო იოანე, მე ამ ქალაქის საქმის არა ვიცირა და თუ ინებებთ მე თან გიახლებით ერთად ვიაროთ და გამაშინჯეთ რაღაც ჩირალდანია. იოანეს იამა დიაღ, და წარვიდნენ ერთად. მივიდნენ პირველად და იწყეს მეიდნიდამ წასვლა, შევიდნენ ხარასხანის ბაზარში, იხილეს მუნ ოქროს მჭედლები, მხსდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, ეგრეთვე ოქროჲს დაწყობილი და სხუა სამკაული, ჰსთქვა ბერმან: ამ ცოდ შვილ მკვდართ, ამდენი ოქრო დავერცხლი ჰქონებიათო, დია გაუკვირდა. მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი, სავსე ქოში ი და მაშიით, თქვა ამ ბერმან: გატონო, ამდენი ქოში რად უნდათ? ჰგავს, უქოშო ხალხს მოელიან საიდამე. რა წაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად, რა იხილა ბერმან ჰსთქვა: ბატონო, ბარე ყოველს კაცს გუაქს თითო ბაჩის იარაღი და

ამდენი რათ უნდათ? ჰგავს, უბელო ცხენიანს ხალხს მოე-
ლიან საიდმე. მერე იხილეს ყაზახები და თქუა ამ ბერმან:
ბატონო, ამდენი ძაფი და ზონარი რათ უნდათ, რა უნდა
შეკერონ ამდენი? რა გაიარა, იხილა ყაჯარდუზები და განკვი-
რდა ყაჯრეზზედ, თქვა: ნეტამც ერთს მაჩუქებდენო, მერე
მივიდა მექუდეებში, იხილა გაღმა-გამოღმა მრავალი ქუდი
შეკერილი, დაკიდებული, მიიხედ-მოიხედა ამ ბერმან და თქვა.
ბატონო! ბარე ყოველს კაცს თითო ქუდი ხურავს, ამდენი
ქუდი რაღათ უნდა, მგონია თავ მიშველა კაკებს მოელიან
საიდმე. მერე მივიდა ბაზაზებთან, იხილა მრავალი ფარჩები,
სხუა და სხუა გუარი და თქვა: ნეტამც ესენი ფილონებად
მომცაო, ზურაბამ უთხრა: საღ მეერეოდი ამდენს ფილონ-
საო? ბერი: ასე უზურგულებდი, როგორც რომ ყურძნის
გოდორსაო. რა გაიარეს იხილა მრავალი მოუდი და სხუა
ფარჩები და თქვა: ბარე აუკლიათ ქვეყანა, ამდენი სკალატი
და ჩითი, ან ლეინი საღ უშოვიათ. მივიდნენ, იხილეს მკე-
რვლები, განუკვირდა ბერს; ჰგავს რომ შიშველთ კაცთ მო-
ელიან საიდმე და ამდონი ტანისამოსი მისთვს შეუკერავთო.
უკანასკნელ მივიდნენ, ბაყლებთან, მეთევზებთან, იხილა ბაყ-
ლები, ნახა რომე გარეშემო, სულ სხვა და სხვა ხილი
უწყვიათ, თევზი, ხიზილალა, წელა, ბრინჯი, ერბო და სხვა
წვრიმალი, უყურა ამ ბერმან, ეგონა ხილს მითავაზებენო,
და რომ ხმა არა ვინ გასცა, თქვა: ბატონო! ეს რა ცუდი
ქასპინძელნი ყოფილან, არც არა თითონ ჰსჭამენ, არც სხვას
აჭმევენო, ნეტამც ეს თევზი. ხიზალალა და წელა მომცა'

ჩვენის მონასტრისთჳს, რომ ჩვენი ბერები გავაძღოთ ამითაო იოანემ იცინა ბევრი, და მერე იხილეს ყასბები და მრავალი ხორცი დაკიდებული ჩამგლებზედ და თქო ამ ბერმან: ბატონო, რა დაუშავებიათ ამათ, რომ რკინის ჩანგლებზედ დაუკიდიათ ეს კაცის ხორცებიო, ზურაბამ უთხრა: არა ბატონო, ეს გასასყიდელი ხორცი, ცხვრისა და ძროხის. ბერმან თქვა: ღმერთმან მამოროს, რომ მე ჩანგალზედ დაკიდებული ხორცი ვჭამო, ბარე ასე გამიგონია რომ თათრის ქვეყანაში ჩანგალზედ ჩამოჰკიდებენ კაცსაო. გამოიარა, იხლა მჩონგურები და საკრავის მკთებლები დუქნები, ნახა სავსე ჩონგურით და დაირითა, სთქვა: ბარე ეს ქალაქი ზედ მოსაკრავე ყოფილა თორე ჩუჩნში, ან ორს აქუს და ან სამს, რა არის ამდენი საკრავიო. იქიდგან მოვიდნენ ალაფეფშია, სადაც პურს ჰყიდდენ და აცხობდენ, ბარემ ამდენი პური რად უნდათ, ჰგავს მშიერს ხალხს მოელიან საითმე. მერე მოვიდა მეჭურჭლებთან, იხილა ესეოდენი ჭურჭელი, სთქვა: ბატონო ამდენი ჯამი, თეფში, რად უნდათ, ყოველ კაცს აქვს თავის სახში ჭურჭელი„ ჰგავს რომ უჭურჭლო ხალხს მოელიან საითმე. იხილა მერე ნალბანდები, განკვირდა და თქო: ბარე ამდენი ლურსმანი და ნალი სად მოუჭრიათ, ჰგავს რომ ბევრ ცხენს ელიან საიდმე ფეხმიმველაებს. მოვიდა მერე, იხილა სირაჯხანა დიდროანის რუმბებით და ტიკებით ღვინოები და არაყი, იკითხა: ამდენი კოლოტი რათ უნდათო? უთხრეს: ესე სულ ღვინოებით არის სავსე, თქვა, ბარე ყოველ კაც აქვს მარანი, ჰგავს რომ ღვინო ვისაც არ

მოზდის, მისთვის მოუგროვებიათ ესე ღვინოები. მოვიდა მე-ქვეებში, იხილა მრავალი ქვაბი და სპილენძის ჭურჭელი, და თქვა: ბარემ ყოველს კაცს თითო და ოროლი ქვაბი აქვს და ჰგავს უქვაბო ხალხს მოელიან საითმე. დაბრუნ-დენ მუნით, იხილეს ბარდანეებით ბამბება, თქვა: რომ ყოველს კაცს თითო ზუბუნი აქვს და ბამბა უძევ. აგრე-თვე საბნებს, რათ უნდათ ამდენი ბაღბა! ჰგავს, რომ უზუ-ბუნოს და უსაბნო ხალხს მოელიინ საითმე. მივიდა მერე ჩილინდრებში, იხილა კლიტეები და გასაღებნი მრავალი და სთქვა: ბარე ამდენა კლიტე რათ უნდათ, სად იშოვნიან ამდენ ზანტუკს რომ დაჰკეტონ. აგრეთვე სხვა საწრვიმალო გაუკვირდა. მერე მოვიდა ხარაზებთან, ნახა მრავალი წაღა, ჩექმა და სხვა ფეხთ საცმელი და სთქვა: ბარე ყოველ კაცს აქვს წაღები, ჰგავს რომ უწაღო კაცებს მოელიან სითმე. მერე მოვიდა, იხილა ქურქები ბეწვეული, და სთქო: ამ ცოლშვილ დახოცილთ, რამდენი მელი, მგელი, დათვი, კვე-რნა, ტურა უნადირნიათ; ბარე ამათთანა მონადირე ოდიშ-შიაც არვინ მინახავს. მაშინ ზურაბიმ, თქუენ ნუ მომიკვდები, ეს შარიმან და მელქუა ქურჩი მოფრინვალე ფრინველსაც არ დააცილებენ თოფს. ბერმან: ნეტამც ოდიშში იყვნენ ესენი, რომ ტურა ბევრი იცის და სულ გავაწყვეტინებდით, იცინეს და გაიარეს. მოვიდნენ ნახეს ლილახანა, დიდროანის ქვერებით სამსე, თქვა ამ ბერმან: ბატონო, აი კარგი მა-რანი ღვინისა ეს არის. ზურაბამ: ისემც კარგა ხარო, ბერმან: რავარ? ზურაბამ: ეს სულ ლილა არის, განკვირდა

ბერი და უთხრა, ბარე ჩუენში წამლათაც ძლივ ეშოვით, ეს როგორ იქნებაო. მერეთ აჩვენეს, და განუკვირდა და თქვა, ბარე მთლად შელებავს ამ ქალაქსაო. წავიდნენ მუნიდგან, მივიდნენ ისევ მოედანზედ, იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები და ხლმის მკეთებელნი, განკვირდა ბერი ესე და თქვა: ყოველს კაცს უკრავს თითო ჩახმახი თოფზედ და ყოველს არტყია ლეკური და აქვთ თოფები, ჰგავს რომ მოელიან საითმე უთოფოს და და უხლმოს კაცებს. მოვიდნენ მერე შუა ბაზარში მეწვრიმალებთან, იხილა ამ ბერმან საწვრიმალო, დია განკვირდა იმ გაწყობილობას და თქვა: ამ ცოლშვილ მკვდართ სად მოუგროვებიათ, ამდენი დანა, მაკრატელი, ნემსი, სარკე, ჭიქები, ამდენი სურნელი და სხვა ნამგლები და ესდენე შაქარი. იოანემ უთხრა: ასეა რიგი, რომ ქალაქში ყოველივე სავსებათ უნდა იყოს, რომ ერთი ქალაქის დიდება არის, და მეორე ქვეყანა გამდიდრდება, ვაჭრობით, ვისაც არა ექნება სახლში და ფული ექნება იყიდის ყოველს და თავის სახლს გაიწყობს. ბერმა ნეტამც ამ რიგს ჩუენს ქუეყანაშიაც მისცემდეს ვინმე. მერე დაჰპატიჟა ვახშმად იოანემ და წარვიდენ იოანეს სადგომს, მოილეს ვახშამი, და რა მცირედ შეექცნენ იმუსაიბეს.

---

ბერმან. ბატონო იოანე მიბძანეთ, ეს ჩირალოვანი ვისგან არი შემოღებული?

იოანე. ესე ჩირალოვანი, თათრულად ჩირალდანი, ესე

იგი მთებარე, ხოლო ბერძნებ ზისორენ; ლათინურად ლუმენაცია, რომელიც ნიშნავს ნათელ ბრწყინვალეს. ქართველნი ძველად ეძახდენ ლამპარ-მნათთა, ახლა ჩირაღდანს ხმარობენ.

ესე რომის კეისარმან განაწესა მიზეზითა მით, ოდეს ყოველს სოფელს იპყრობდა: სეკდენბრისთვს პირველს დღეს უწოდა ინდიკტიონი, რომელ არს ახალი წელიწადი, განყო თუთხმეტს წლად, და ეს ათუთხმეტი წელი სამად განყო, თვითეულს ხუთსა წელსა შინა ყოვლისა ქუეყნიდამ და ნათესავიდამ აღიღებდის ხარკს. პირველსა ხუთთა წელთ ლისოსენ უწოდა (რომელ არს ბრწყინვალე) რამეთუ მას ჟამსა შინა, ოდეს პირველს ხუთეულს წელს ხარკსა მიჰსცემდენ, მაშინ ლამპრებით განიხარიან, და ამას ყოველნი მუნ ცხოვრებნი ქალაქის ერნი ჰყოფდიან, და ესე რაზედ იყო ხარკი: პირველს უკუე რიცხვის ხუთს წლისას, სპილენძს და რვიანს უძღვნიდეს, მეორეს ხუთეულს წელსა, ვერცხლს, ხოლო მესამესა შინა ხუთეულს, ოქროს. მისთვს ათუთხმეტს წელსა, ინდიკტიონად იპყრობდეს, და კვალად პირველიდგანვე იწყიან, ათუთხმეტად აღასრულიან. ხოლო რიცხვი ესე წელთანი, ვიდრე დღედმდე იესოქრისტეს საცნაურ იყო წელსა შინა პირველს დღესა სეკდემბერის თვისას. მეფე ჩუენი შევიდა ტაძარსა პურიათს და იკითხვიდა წიგნს ისაია წინას წარმეტყუელისას, სადა იგი წერილ არს ესრეთ, ვითარმედ წელიწადი უფლისა მეწყნარებული და სხუანი. მისთვს დღესასწაულობს ეკკლესია პირველსა მას დღესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდიკტიონისას, რამეთუ მას დღესაშინა შევიდა ქრისტე ეკკლესიასა და გამოუჩნდა მუნ მყოფთ, მასვე დღესა შინა ეკლესია ქრისტესი მადლობასა შესწირავს ღუთისა, ნაყოფთა მიერ მას წლის მიღებულისთვის, და მომავალთა წელთათვს ევედრების რათა ქუეყანამან გამოსცეს ნაყოფი თვისი.

ხოლო უკანასკნელ განაწესეს ჩირაღოვანი, სხუა და სხუა შემთხუევისთვს, ესე იგი: გამარჯვებისთვს მტერთ ზედა, მეფეთ კურთხევის და ტახტის ასვლისთვს. ეგრეთვე მეფეთა და ხელმწიფეთა ქორწინებისთვს და შვილის მიცემისთვს. ანუ დაბადების, დიდის ხელმწიფეების ერთმანერთში მშვიდობისა, შერიგებისთვს ჟამსა აშლილობისას, ეგრეთვე ერთმანერთან წვევისა რომ ერთი ხელმწიფე მეორე ხელმწიფეს ეწვიოს, ესე ვითარცა, დღესასწაულთა შინა, შობას, ახალ წელიწადს, აღდგომას, აღანთებენ სამჯილთა, ყოველნი ქრისტიანენი თვსთა ეზოებთა და ქუჩებთა ზედაც, ესე ჩირაღოვანნი ვის როგორ ძალუძსთ იმ სახსედ წარმოადგენენ, ბეწვირლის ბროლისა კანდლებით დამოკიდებით ქონითა, ანუ ზეთით ანთებულთ, რომელნიმე ვარსკვლავების სხივის სახედ, რომელნიმე, გზის სახედ, რომელნიმე სამკუთხედებად და რომელნიმე მთოვარის სახედ, ერთის სახლის თავიდამ, ბოლოს დასასრულამდე, აგრეთვე დახატვენ ტილოთ და წმინდათა მამებთა ზედა ფერადად რაც საქმეს უწარმოენია იმ შემთხუევლებისას, ანუ შემჳსგავსებით, მეტოლოლიურის და დაჰსდგმენ ქუჩათა შინა და უკან აღუნთებენ ფი-

სოსთა, იგი წარმოდგენილი ყოველთათჳს იქმნების სახილველ ხოლო ეს გუარნი ჩირაღდანნი, და ხშირად უფრორე იციან ევროპიელთა.

ხოლო აზიელნი ესე გუარ ვითარცა ვიხილეთ განაბრწყინვალებენ ყოველნი ხელოსანნი თვისთასა დუქნებთა, და თავისა სავაჭროს მუნიდამ ჰსდებენ და დაიწყობენ გაიკეთებენ ვახშამს ალანთებენ მრავალთა სანთელთა და საკრავითა და სიმღერითა, და ლხინით ისე განატარებენ იმ ღამეს.

აგრეთვე ესეც ჩაიგდება ჩირაღდანთა რიცხვთა შორის რომელ, ოდეს ხელმწიფე, ანუ მეფე, მივალს ერთს ქალაქიდამ მეორეში, ანუ სატახტოს ქალაქს საკურთხეველად, რომელსაც ქუჩაზედ განივლის იგი, მუნ მოსახლენი და მესადგურენი გაღმით და გამოღმით გაალებენ ფანჯარათა და ძვირფასს ფარჩებთ, გარდმოჰკიდებენ ყოველს ფანჯარაში, მუნიდგან ხალხნი სალამს მიართმევენ. ესე უფრორე იციან ევროპიელთ, ვიდრე აზიელთ: და აზიელნი ოდეს ხელმწიფე, შევა ერთს ქალაქიდამ მეორეში, მაშინ მუნებურნი ვაჭარნი, ფარჩას გაუღიან შესავალს ქალაქის ბჭეშია და ზედან გარდაუვლის ხელმწიფე თუ ხანი, ამას უწოდებენ ფიანდაზს და მას ფარჩასა, შათირნი წაიღებენ თავისთჳს.

შემდგომად მისა, მოიღეს ფლავი, მიართვეს იოანეს და ამ ბერსაც, რა იოანემ ხელი მიჰყო და დაუწყო ჭამა; ამ ბერმან: ბატონო, რასა იქმთ მაგას? ჭინჭლის კვერცხს ვითარ ჰსჭამთ, დათვი ხომ არა ხართ? ეს რა ვნახე! რა სცოდნიათ ქართველთ?

იოანე· არა მამაო, ეს ბრინჯი არის, ფლავს ვეძახით, დია კაი საჭმელია.

ბერმან. მართალს უბნობთ? ნუ თუ ბრინჯია ასე გაკეთებული!

იოანე. მერწმუნეთ, უთხრა, მცირე ნახეთ გემოთ.

ბერმან. ბატონო, არ გამხეთქოს, ამ ჭინჭლის კვერცხმან.

იოანე. მერწმუნე არ მოგატყუებ. მაშინ ბერმან აიღო სამიოდ მარცვალი და ცერცვიეით შეიყარა პირში და უთხრა: ბატონო, მართლა გაელექო? ზურაბამ, არ იქნა, ბერი გატყუებს არ გაგხეთქოს?

ბერმან.. ვაი ჩემ თავს! გამოფურთხა. ბევრს ეცადნენ და ვერღა აჭამეს, უთხრა მან ბერმან: ბარე დათვებივით დაჩვეულნი ყოფილხართ ჭინჭლის კვერცხის ჭამას? და თქუენ მისთვის ჰსჭამთ, თორემ ქრისტიანე კაცისგან ვითარ იჭმება ეგე! ესრეთ სიცილით დაასრულეს ვახშამი, იმ ღამეს იქ დააძინა ის ბერი იოანემ. ხვალისა დღე დილით, წავიდა იოანე აბანოში და ეს ბერიც წაიყვანა.

რა აბანოსა შინა მივიდნენ, განიხადეს ტანი და ამ ბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც გახადეს, და შევიდნენ შიგნით აუზებთან, რა ამ ბერმან იხილა აუზნი სავსენი ცხელის წყლით და ოხშივარნი ალმავალნი, ჰსთქვა: ჩვენში თუმც იციან მცირე ქვაბებით მდუღარე, რომ შეწამებულს კაცს ხელს ჩააყოფინებენ იდაყვამდინ, და იქიდამ ჯვარს ამოაღებინებენ ჩადებულს მას შინა რკინისას და თუ არ დაეწოს მკლავი მართალი იქნება და თუ დაეწოს მტყუანი, აქ ბარე საკვირველათ დიდი ქვაბები ჰსცოდნიათ, ამაში მგონია კაციც მოიხარშოს.

იოანემ. უთხრა; მაგ ერთს აუზში თქუენ ჩადით და მაგაში იბანეთ.

ბერმა: ბატონო, რავარ ჩავიდე ამ მდუღარეში, რის დანაშაულისთჳს? ამორომს, გეტყვი, რომ არა შომეპაროს რა.

იოანე. არა მამაო. ისე მოგახსენებ ჩაბძანდით მაგ აუზში.

ბერმან: შენ ნუ მომიკვდე, რომ არ ჩავიდე და ამორამც არის ღმერთი, რომ სიავკაცე არა მიქნიარა და რისთვის მაგდებთ ამ აუზში, თუ არ დაიშლით, ბარე ჩუენებური ქვაბის ოდენ ქვაბი მოატანინეთ, და იმაში ჩადევით ეს ჩემი სპილენძის ჯვარი და ეს მდუღარე წყალი იმაში ჩაასხით და ამოვიღებ ჩემის გულის სიმართლით და მაშინ ჰსცნობთ ჩემს ჭეშმარიტებას. იმა ლაპარაკსა შინა რომ იყვნენ, მოეპარა ზურგიდამ ზურაბა, ჰკრა ხელი ამ ბერს და ამა აუზსა შინა შთააგდო. ერთი დაიყურყუმალავა ამ ბერმან და მერე ფეხზედ დადგა და უთხრა: ასემც შენი ცოლ-შვილი დაიწოს,

რავარც მე გამფუფქეო და, ამოვიდა აუზიდამ, ნახა რომ არა ენებოდარა და კარგა თავისი სიმრთელე გა-მოსცნო, ჰსთქვა მერეთ აკი მოგახსენე: ბატონო, რომ მარ-თალი კაცი ვარ და ნახეთ, თუ რავარ მთლად ალმოველ, ახლა მაინც დაიჯერეთ. რა იოანემ იხილა მისი იმ გვარი სიმარტივე; უთხრა: დაბძანდი ამ ტახტზედ ტანი დაგბანონ, მისცა საპონი, მოვიდა დალაქი მეაბანოვე. იოანემ უთხრა, ქისა წაუსვი მაგ საბრალო ბერს და კარგად აბანეთ. მაშინ მიჰყო დალაქმა ხელი და რა ქისის სმა დაუწყო ამ ბერს, ჰსთქვა ამა ბერ-ან,-ბატონო იოანე, ეს ცოლიშვილ მკვდარი დალაქი რას მიქამა-ნჩებს ამდენს, ბარე შენ ნუ მომიკვდები ტყავი გუდასავით გამაძ-როს. იცინა იოანემ და უთხრა: აჰა, მიყურე მეც მაგვარ მაბანებენ და უკანასკნელ იოანეც რომ ჩავიდა აუზში, და მთლად ამოვიდა ამ ბერმან უთხრა: ბატონო, თქვენც მართალი კაცი ყოფილხართო, რომ მაგ მდუღარემ არ დაგწოთო. იოანემ უთხრა. არა ძმაო, ეს წყალი არ დასწოამს კაცს, ეს საბანებელი წყალია.

ბერმან. ბატონო, ამ სიდიდე ქვაბებს სიდგან უკიდია ცეცხლი, და ან რავარ ათბობენ ამდენს წყალს, ვინ მისცათ ამდენი შეშა?

იოანემ უთხრა: ესენი არ არის ქვაბები, ეს ქვით და კირით აშენებული აუზებია, ეს წყალიც თვითონ ბუნებით თბილი წყალია.

ბერმან. მართლა უბნობთ ბატონო. რავარ თბება თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად ეს წყალი. იქნება ჯოჯოხეთში ეშმაკები ათბობდენ ამ წყალს და იქიდამ, მომდინარეობდეს.

ზურაბამ, ეშმაკები კი არ ათბობენ მაგ წყალს: ეგ წყალი ეშმაკების შარდია.

რა ესე მოისმინა ბერმან, ჰსთქვა: კი შენ ნუ მომიკვდები, სუნიც სწორედ ფსელს უგავს და ადგა, დაჰთქვა: წავალ ჯვარს გავავლებ მტკვრის წყალში, და ხელ ახლა მოვინათლებით. და წასვლა დააპირა. იოანემ უთხრა. უი ჩემ თავს, რასა იქ ბერო, გატყუებს ეგ კაცი, საღ იქნება ან ჯოჯოხეთის წყალი, და არცუ ეშმაკების შარდი: მე გეტყვი როგორც არს, შინ რომ მივალთ, და მერე რისყოფით დაბანეს ტანთ და გამოვიდნენ, შთაიცვეს ტანსა და წარვიდნენ სადგურს თვსსა. რა შინ მივიდნენ, ბერმან, ბატონო, მიბძანეთ თუ რაგვარ არს იმ წყლის საქმე და ან ვისგან თბება, და აქამდინ რით ვერ გაცივდა.

იოანემ. წყალნი მრავალ რიგათ განიყოფებიან, რომელსაც რაც ჩვენ ექვს გვარად: 1) არის წყლად ჩაგდებული, რომელიც ჩვენს ატმოსფერის ფოსფორთაგან გადმომდინარდებიან, ანუ ჩვენის ჰაერისგან, ესე იგი: წვიმა, თოვლი, სეტყვა. 2) არის წყალი წყარონი, 3) მდინარენი, რჯანი. 5) ბალყუმი ანუ ჭაობიანნი, 6) ზღვისა, და ამათ გაყოფით ჰსცნობ შემდგომად, ვინადგან მე არა მაქვს ამ ჟამად მოცალება ყოველთა თქმად თვითეულად, ხოლო თბილის წყლისთვს იმცენ ესრეთ, რომელ: ოდესაც წყალი მომდინარეობს მიწასა ანუ

კლდეთა შორის, და რომელსა შინა არს, რკინის მადნის სახედ და მასთან შერეული გოგირდი, ესე გჳარსა ადგილს შინა მომდინარე წყალი იქმნების თბილი, ანუ ძლიერ ცხელი და კვალად მიზეზითა მით რომელიც ხვრელთა შინა გამოსადენ-თა წყალთა შემჭიდროებით გამოვალს წყალი. მაშინ ესე თავის-თავად შეიქმნების ცხელი. და ესე გვარნი არიან ეხენივრნი წყალნი. ესრეთ დასრულდა უბნობა. ბერი მადლობელი იოა-ნესი წარვიდა თვისთა ამხანაგებთათანა, ხოლო იოანე სახვა-ლიოდ განემზადა სომხეთისკენ.

---

ხოლო ხვალისა დღე, ალკაზმეს ცხენები და წარვიდენ ზურაბა და იოანე სომხეთში, რა გასცილდენ სეიდაბადის ბალებს, იხილეს მუნ მიმავალი ერთი ცხენოსანი კაცი და რა მიუახლოვდენ, იოანემ და ამა კაცმან ერთმანერთს ცქე-რა დაუწყეს და კარგა ხან შინჯეს ერთმანერთი. მაშინ იოანემ უთხრა: მამაო, მეცნობით, ამ სამის წელიწადის წინ გიხილეთ თელავს, და ველარ მოვიგონე სახელი და გჳარი თქჳენი. მან კაცმან უთხა: ბერო, მე შანშია-შვილი ვარ გვარით, მამა ჩემი ბატონის მოლარე არის გოგია, მე იმისი შვილი ვარ იარალი და თქჳენ ვინ ბძანდებით? ბერმან: მე ხელა-შვილი ვარ, იოანე ბერი, თელავს დავით რექტორს ვებარე, იარალის; დიაღ, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდჲენვია და აკოცა, მოიკითხა და მერე ჰკითხა: საით აპირებთ მგზავრობას? იოანემ: სომხითს და მისს გარეშემო ადგილთა შინა. იოანემ. მართლა კარგს დროს აპირებ სიარულს, ბატონის შვილი დავით, ამ ორ სამს დღეში, ბოლჩალოს მისძანდება ალექსანდრე ბატონის შვილი და შულავერს; ფარნაოზ, ბატონის შვილი, დემურჩასალში. უთუოდ კარგად იმოგზაურებ, მეც ბოლნის მივდივარ, და თუ მე გამომყვებით, სადილად მარაბდას მივიდეთ, ზაალ მდივანბეგი საამის შვილი იქ არის და ვახშმად ჩემსას მოდი და მერე იქიდამ შულავერს მიდი. იოანეს დიაღ იამა, მადლობა უთხრა, და წარვიდნენ ერთად.

სადილის დროს მიეიდნენ მარაბდას, იარალი ჩამოხტა ცხენიდამ, მივიდა ზაალ დივანბეგთან, და იამა ზაალს მოიკითხა, ამბავი ჰკითხა, იარალიმ მადლობა მოახსენა, და სხვაც რაც იცოდა ამბავი უთხრა, მერე მოახსენა: აქ ქვაბთახევიდამ ბერი გახლავთ, სომხით და თათრებში წამოსული სათხოვნელად. ზაალმა მაშინვე მიაყვანინა იოანე. რა იოანემ ზაალი იხილა, მოახსენა: მშვიდობა თქვენდა, მდივანბეგ ყორა-იასაულბაშო?

ზაალმან. სულისაცა შენისათანა უკურთხო დიაკვანო!

იოანე. ჳი ჩემ თავს, რად მკიცხავთ?

ზაალმან. ჩოხა ნაკურთხი ხარ თუ არა?

იოანე. დიაღ.

ზაალმან. მაშ ახლა ნაკურთხს დაგიძახებ.

იოანე. მსაჯული ბძანდებით და როგორც გინდათ ისე ინებეთ.

ზაალმან. სჯულს გარეთ ვერას ვიქთ, თორემ ეს წისქვილი მე უფრო მეკუთნის ამ ჩემის სახლის კაცებისგან და ჯერ არც კი მაძლევენ დავჰფქვა რამე ჩემთჳს, და წარვიდა წისქვი-ლისაკენ, იოანეც თან წაიყვანა. შევიდნენ ამა წისქვილში, ნახეს ათთორმეტი ტომარა ხორბალი სულ სხვისა და სხვისა და ყოველი კაცი ცდილობს უწინ დააყარონ ხვიმირს, ამაში აბნევენ და ჩხუბობენ: არა მე უწინ დავფქვავ და არამედ, ამაში ებნეოდათ ბევრიცა.

იოანემ უთხრა: ბატონო ბარათაანო, რიგ რიგით დაფქვით, არც შფოთი გექნებათ და არც პური დაგებნევათ.

კიკოლა თაყამეილმან. ბატონო ბერო, გემიან, დროზედ მინდა დამეფქვას პური.

იოანე. ამ ჩხუბში უფრო ხანი გამოდის, და როგორ მა-ლე დაფქვავ.

კიკოლამ. შენმა მზემ თავრიზში უფრო ჩქარა ვფქვე-ვდი.

იოანე. თუ იქიც ასე ფქვევდი მაგდენი ფქვილი არა გექ-ნებოდარა.

კიკოლამ. ბრინჯი ბევრი მქონდა.

იოანე. ბრინჯი უერბოლოთ არ ვარგა.

იოანე. კოვზით ჰსჭამდი, თუ ხელით, თუ პირით?

კიკოლამ. აი ასე ვჭამდი; ერთი თიხა ფქვილი აიღო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირში ჩაიყარა, ეს ფქვილი მიეკრა ხახაში, დაიწყო ფურთხვა და სულ ტანისამოსზედ გადაედინა. მაშინ

ზურაბამ. ახლა ხარ ჰსწორეთ შეწისქვილე და იცინეს ყოველთა. და მერე იოანემ მოახსენა მდივანბეგს: ბატონო, ან ასე ინებეთ ყოველმან კაცმან, თითო ოროლი ლიტრა დააყარეთ ამ წისქვილსა ხორბალი და როცა დაიფქვას როგორც გაგხვდეთ ფქვილი ისე გაიყავით, რადგან გაკლიათ ფქვილი.

ზაალიმან. ვაქო, უცხო სამართალი გაგვიჭერ და ამით მორიგდენ. მაშინ ზაალმან მოალებინა სადილი და დასხდნენ იმ წისქვილის მუნ პირზედ ჭანდრის ქვეშ და რა კარგად შეექცნენ, ზაალმა უთხრა იოანეს: მე რუსეთში ნამყოფი ვარ და იქ ხმარობდენ ხშირად ლექსსა ამას „მჰსაჯულთ ხელქვეშეთნი" იურისპდუდენციაა, და ვერ მივხვდი თუ რამ მნიშვნელობა აქუს.

იოანე. ეგე ლექსი ნიშნავს, — ჰსჯულებთ გამოცდილებასა.

---

ზაალს იამა და უთხრა: რაჲ არს სჯულის გამოცდილება?

იოანე. სჯულის გამოცდილება არს ჰსწავლა, ჰსჯულ-

თავის ჩვეულებათა და საზოგადოდ დაწესებათა მათ რომე-ლნიც ხმარობენ მიზდა, რათამცა ყოველთა უკვე წევრთა საზოგადოებასა შინა მიჰსცენ მსჯავრი და სამართლი.

ზაალმან. რაოდენ გუარად ჰსდებენ ჰსწავლასა ამას?

იოანე. სამგუარად უფროჲს: ესე იგი, სამართალსა ზედა ბუნების, სამართალსა საეროსა და სამართალსა სამოქალა-ქოჲსას.

სამართალი ბუნებითი არს იგი, რაჲსაცა შეამცნებს ანუ შთააგონებს კაცს ბუნებაჲ და მრთელი ჭკუჲ სამს ჯელო-აჲ: ესე ვითარნი არიან სხუათაც შორის მემდგომნი ჭკუჲ სამართალნი: არა ქმნად მისა სხუათადმი, რაჲსაც არა ვის-ურვით თავისთვს ჩუჱნისა; ეგრეთვე მოგერებად პირის პირ ჩუჱნსა მტერნი ანუ ესე გვარნი ჭკუჲ კაცნი, რომელნიც გუჱუსამართლოებიან, და არა მართლიად გვდევნიან ჩუჱნ: ეს სახედვე მშობელნიც მექონარიან სამართლის ჱიცემუ-ლისა მათდა ბუნებისგან შვილთა ზედან თჳსთა და სხუანი.

სამართალი სახალხო ანუ საერო, მდგომარეობს რომელ-თამე დაწესებათა და ჩუჱულებათა შინა, შეჰმზგავსებულთა სამართლისადმი ბუნებითისა, და მიღებულთა ყოველთა ჰსწა-ვლულთა ერთაგან: ხოლო ესე გუარნი ჭკუჲ დაწესებანი, აღკრძალვენ და დააყენებენ ურთი ერთისადმი ერთაგან ზედა-დასხმასა, უსამართლოებას და მძლავრობას. აგრეთვე განა-ჰფრთხილებს შეურაცხყოფას და შეწუხებასა სტუმართა და-

უცხო, კაცთ აგრეთვე დაცულ ჰყოფს საქმეთა შინა მყოფთა დასხმულთაც, რათა არა ერთის ხელმწიფის, ანუ მეფის გინა სხვისა საზოგადოებისა, წარმოვლენილისა დესპანისა ანუ ელჩისა, არვინ ექმნეს განმარისხებელ და შემაწუხებელ.

სამართალი, სამოქალაქო დაფუძნდების ჰსჯულთა მათ ზედა, რომელთაც აღირჩევს თვთეული უკუე საზოგადოებაჲ, რათა იქმნენ მათმიერ წარმოებულნი:

ზაალმან. საჭირო არს, რათა უწყოდენ კაცთა ჰსჯულნი მამულის თვსისანი?

იოანე. იგი ფრიად საჭიროარს ყოველთა კაცთათვს რათამცა უწყოდენ მით, რამეთუ ჩუენ ყოველნივე ვართ და ვიქმნებით მცხოვრებელ ჰსჯულთა ქუეშე. უმეტეს უფრორე საჭიროარს უწყებად ჰსჯული ესე მათთვს, რომელნიც მეცადინეობენ დაპყრობად ვითარისამე გინდ იყოს ადგილსა სახელმწიფოსა შინა ამად, რომელ, დამწყებნი თვთ მდაბლისა ხარისხისა ანუ თანამდებობისგან, ვიდრე აღსვლადმდე უმაღლესის ხარისხისადმდე მიწევნილი მასშინა, ვერა ოდეს შემძლებელ იქმნების ტვირთვად პატივთა და სარგებლობათა, უკეთუ არა მეცნავ იყოს ჰსჯულისა გამოცდილებისა დაჰწვალთა მისთა.

ზაალმან. ჩუენს ქვეყანაში, რაოდენ გვარს სამართალს ხმარობდენ ძველად?

იოანე. ძველადგან რომ გავსინჯოთ, არსადა ჩანს წერი-

ლი რომ ჰქონოდეთ სრული სამართლის წიგნი, გარნა რომელიმე ჩანს-ვითარცა ჰსწერია ქართლის ცხოვრებაში, ფიცი, სადაო საქმეზედ, შეწამებისთჳს, ცხენებით გასვლა, და ერთმანერთის ბრძოლა, ვინც ჩამოვარდებოდის, ის გამტყუნდებოდის. აგრეთვე სიკვდილიც, აგრეთვე დაბრმავებაც; აგრეთვე შეწამებულის, შანთის გაგდება, მდუღარეში ხელის ჩაყოფა. და რკანის ამოღება, სისხლიც ვინვის მოჰკლავდეს და სხჳანი.

ხოლო ოდეს მიიღეს ბერძენთ სარწმუნოება ქართველთ, მაშინ უფრო ბაძვიდენ ბერძენთ ყოფა-ქცევას, გარდმოიღეს მოსეს სამართალი, ბერძენთ კეისრების სამართალი, სომეხთ მეფეთ სამართალი. აგრეთვე ალბულაჯაყელის ათაბეგის ახალციხელისა. ეგრეთვე კათოლიკოზის და მერე კიდე გააკეთა და უფრო შეამსუბუქა ვახტანგ მეფემან, რომელიც ახლაც უფროორე იმას ხმარობენ. ესენიც თქჳნც გეცოდინებათ, მ არღა გავაგრძობ. ლუთის კაცთა იციან ბჭეები, ისინი ვითარ გასჭრიან სამართალს ორივე კერძო დასჯერდება და მათ ჩჳეულებაც სხჳა არს.

ზაალმან. კარგა თქვი და მითხარ მდივანბეგი ანუ მ[illegible]საჯული ვითარი გჳამი უნდა იყოს?

იოანე. უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ერდგული. მეო[illegible]ე, დიდის კაცის შვილი, რომ არ ვისი ეშინოდეს, მესამე ჰსწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არა ქნასრა. მეოთხე, მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს.

მეხუთე, პირ უთნებელი. მეექუსე ჭკვიანი. მეშვიდე, არა ქრ-თამის მოყვარე. მერვე, საზოგადო გულისა, რომ თვის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს, და იმის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი, მეცხრე ღუთის მოყუარე.

ზაალმან. ბერო, სულ სამართლით რომ იარო მაგი-სთანა კაცს ვერ იშოვნი ჩუენში.

ზურაბამ. ბატონო მდივანბეგო? როგორც ასე შემკობილ'ს კაცს ვერ ვიშოვით, კიდეც იმისთვის გუაქვს სწორე სამა-რთალი.

ზაალმან. ასე თქმული ქართლში სამართალი არც ქნი-ლა არც იქნებაო.

იოანე, უი ჩემ თავს! მაშ ტყუილად გრქმევიათ მდივან-ბეგობა?

ზაალმან· ვაქო, სარჩოს გულისთჳს დამარქვეს მდივანბე-გობა, თორემ რაც შენ მოთვალე, არც გამიგონია, არც წარმიკითხავს.

იოანე, მაშ მოგაგონდებათ ისე გასჭრით სამარ-თალს.

ზაალმან. ჩუენ სულ ეგრე ვსამართლობთ. ახლა რაც გინდა ჰქმენ და მერე დასრულდა სადილი. იოანემ გამოესა-ლმა და იარალიც, გაემართნენ ბოლნისისკენ.

რა ბოლნის მივიდნე იქრალიმ იოანე მიიყვანა და იქა-ურის გზირის სახლში ჩამოახდინა, თითონ წავიდა სანახავად თავის ბალის და ძროხების და გუთნეულის და ვახშამი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამზადებინა. იოანეც დაბინავდა, რა ვახშმის დრო შეიქმნა იარალი მოვიდა, ვახშამი მოალებინა და დაიწყეს ვახშამი, სხვა და სხვა ჭაშნიკები აჩუენა. იოანეს დია მოეწონა და სთქვა: კარგი ღვინო ჰსცოდნია ამ ქუეყანას, იარალიმ: ძველად ამდენი ღვინო ყოფილა აქ, რომ თითქმის სომხითში აქედამ ყიდულობდენ; ასე გაშინჯეთ, რომ მვიდასი საპალნე ღვინო ჩუენს ზვარს თურმე გამოუვიდოდა და ახლა ათი საპალნეც არ მომდის მტრის გამო. იმ ლაპარაკში რომ იყვნენ, მთის ყარაული მოვიდა იარალისთან და უთხრა: ბედენს მოვიდა ლეკის ჯარი ახალ-ციხიდამ, ბინდი იყო, კარგა ვერ გავშინჯე, მაგრამ დიდ ჯარს ჰგავს, და გავფთხილდეთ აქ არ მოგვიხდეს. სხვაგანაც გავგზავნე ჩემი ამხანაგები და შევატყობინე. იარალიმ დაუმადლა იმა კაცს დასოისიც, ვახშმად და სოფელი გააფთხილა. მაშინ გზირმან ჰსთქვა: ნიკოლაოზ ყაფლანის შვილ სარდალი, ემ ვაზელოში დგას და ვისი გვემინიანთ.

იოანემ უთხრა: გზირო, ჯარი ჰყავს თუ არა ნიკოლაოზს?

გზირმა. თავისი ამალა ჰყავსო.

იოანე. მაშ შვილო მაგას ნუ მიენდობი, ამალამ ფთხილად ვიყვნეთ, რა ვახშამისგან მოიცალეს, ყველანი თავ-თავის ბინაზედ წავიდნენ; იარალი და იოანე იმავე სახლში დარჩნენ და მერე დაიძინეს. რა შუაღამე გარდავიდა, ამა სოფელში ერთი კიჟინა და ხრიალის ხმა მოესმათ და მერე შეიქმნა

ყვირილი, არ იქნა ლეკი მოვიდა. ამაობაში წამოხტა იო-
ანე ბლილო, თოფი ზურაბისი და იარალი და კარებს მოუჯ-
და, იარალის უთხრა: შენ ბანს უყურე, მაგ ბოგას მოეფა-
რე და თოფი მარჯვედ იქონიე. იმ გზირსაც უთხრა იარა-
ლიმ: თოფი აილეო. იმ გზირმან, თავის ცოლს დაუძახა: დე-
დაკაცო, თოფი მომიტანეო. დედაკაცმან, სად დააყუდე შენი
თოფიო. გზირმან ქათმებს უძევს თაროზე, ჩამოიღეო, იოა-
ნე გაუჯავრდა: ჩუმად იყავ რას ანზობ? ლეკებმან არ გაი-
გონონ. ამ ქამად მიუხდენ კარებს, იოანემ ესროლა თო-
ფი და გააბრუნა; სამჯერ იერიში მოატანეს და სამჯერვე
უკან აქციეს, და ამ სახლს ველარ მობედეს ლეკთა. სხუა
ირიქ-რაქა და გავიდნენ სოფლიდამ. იოანეს ენება კარი
გაეღო: გზირი ეხვეწება ნუ გაალებ სახლში არ შემოგვიც-
ვიდენო. იოანემ, რას ამბობ, ლეკები აღარ არიან ამ სოფე-
ლში. და მერე გაალო, გავიდა თოფით იოანე, ნახა სოფლ-
იდამ ჯარი გასულა და ნელ-ნელა მიდიან: ამ ქამად ნიკო-
ლოზ ყაფლანის შვილი, მოაქენებს ცხენს, და რამდენიმე
კაცი მოსდევს თან და იძახიან: მდევარს: პეპან, საფაკოფ,
არუთინ, გასპარ, გამოდით! მდევარის სარდალი რომ მოვიდა
მაშინ იოანემ უთხრა: ჰეი სარდალო, ნიკოლოზ უბძანეთ ნუ ეძა-
ხიან ამ სომხის სახელებს, თუ გაიგონეს ლეკებმან უთუოდ გა-
მობრუნდებიან და რაც გარდარჩათ იმასაც წაიყვანენ, ასე
დაიძახეთ ბაიდრელნო, ბორჩალოელნო, დემურჩასანელნო? გა-
მოდით! რომ შეშინდნენ მდევრისგან, თარე პოლოსაგან და

ნიკოლოსიაჯგატ ვინ შეშინდება! ვაჟო, ეს ვილაც არის, ჰსწორეს ანზოზს და ჩამოხდა ნიკოლოზ ცხენიდამ. იოანეც მივიდა ახლოს ნიკოლოზთან. ვაჟო, შენ ბერსა გევხარ და აქ რასა იქ? ამ ჟამად იარალი მოვიდა და უთხრა ნიკოლოზს: ღმერთმან დაუშალოს, ამ ბერმან მოარჩინა ეს სოფელიც და მეც, თორემ თუ არ დაგვწრებოდა სულ დავილუპებოდით.

ნიკოლოზმან. მართლა შენ კი გეტყობა შემინება.

იარალიმ. ბატონო, ალამამათხანის დროს გამოვიცადე, ტყვეობას თუ რა აქვს.

ნიკოლოზმან. ვინ არის ეგ ბერი?

იარალიმ. ქიზიყელი ხელამვილი, და ახლა კაცთის ხევს ძცხოვრები.

ნიკოლოზმან. მალ ეჭვი აღარ უნდა კარგი ვაჟ-კაცი უნდა იყოს და მერე მოიკითხა იოანე და მადლი უთხრა: წირვის დრომდინ ძლივ მოუგროვდა ასი კაცი ამ ნიკოლოზს და შესხდენ ცხენს და ამ ლეკებს გაუდგნენ. იოანეც თან გაყვათ, რა საზოზკურის სოფელს მივიდნენ, გარდახდა ნიკოლოზ ცხენიდამ და თქვა: აბა, უნდა ჩვენი ჯარი დავთვალოთ, და მერე შევებათ ლეკებს.

ზურაბამ. ბატონო სარდალო? მართალია რიცხვს ვერ აუხვალ ამ შენის სასარდლოს ჯარისას, რა დათვლა უნდა ასი კაცი ძლივ არის და ან ამით როგორ იქნება რამდენიმე ათასის ლეკისა.

ნიკოლაოზმარ. არა შენ გიყო ლამბარაშვილო, შენ უნდა მასწავლიდე სარდლობას?

ზურაბამ. მე მაგას არ მოგახსენებ, მაგრამ მეც ბევრჯელ გხლებივარ ამილახვართან მდევარში.

ნიკოლოოზმან. მაშ, დაგეჯერება, რადგან გორელი ხარ. და არლა შეებნენ მტერს, მერე მივიდნენ ერთი კარგი წყარო იყო მუნ დასხდნენ. ნიკოლაოზმან სადილი მოალებინა და რა კარგა შეექცნენ, იოანემ სთქვა: ესე ადგილი დიალ კარგი სოფელი იქნებოდა ოდესაც შენალ იყო.

ნიკოლაოზმან. ოლონდაც მეტის გამო საბოსკვერო ეწოდება და ამაზედ მეჩხუბება ჩემი სახლის კაცი ზაალ ყაფლანიშვილი, მაგრამ მე არ ვანებებ.

იოანე. მაგ სახელის წოდების თვს ქება არ მიეწერება ნასოფლ არს; და არც უნდა ჩხუბობდეთ ბოსკვრობის თვს.

ნიკოლაოზმან. ვგონებ შენიც რომ იყოს. არავის დაანებებ ამ სოფელს.

იოანე. ჩემი რომ იყოს, სახელს გამოუცვლიდი; ანუ გაუცვლიდი ვისმე: დარატომ თქვენ არ გაუცვლიდით უფრო პატიოსნური სახელიანი სოფელი გამოართოთ ის უმჯობესი იქნება.

ზურაბამ. ბერო? ზაალ აძლევს სამაგიეროდ ამ ნიკოლაოზს სიქიმხანს სოფელს და არა ჰჯერდება.

ნიკოლაოზმან. გაიცინა. უთხრა: ბერო თათრული ენა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გცოდნია თორემ უფრო ცუდი სახელი ეწოდება იმ სოფე-
ლსა; და განუმარტა კიდეც.

იოანე. უი ჩემ თავს! როგორიც ყოფა ქცევა ჰქონიათ

იმ გუარი შეჰსმგავსებული სახელებიც უწოდებიათ სოფლე-
ბისთჳს. შეგიძლიანთ რომ გამოუცვალოთ სახელი?

ნიკოლაოზმან. შენ რომ ეკურთხები, აქაურს, არქიმანდ-
რიტობას გაგირიგებ, და მერე შენ გადანათლე ეს სოფლე-
ბი და სახელიც შენ უწოდე.

იოანე. არა ბატონო. სანაძლეოა. თბილელი მე არ
მომცემს ამის არქიმანდრიტობას.

ზურაბმა. მართლა საფერი სამწყსო ჰყოლიაო: და მრა-
ვალი იცინეს: და მერე უთხრა ნიკოლაოზმან. მიბძანე იო-
ანე, გამიგონია მეცნიერი კაცი ხართ და სარდლობა რა
არს, და ან რა უნდა იცოდეს სარდალმან, და ან როგორ
უნდა იყოს სარდალი?

იოანე. სარდალი ხომ სპარსული ლექსია (ჯარის თავი)
ანუ მეთაეჲ ქართველნი სპარსალარს ეძახდენ. აგრეთვე მხედ-
რთ მთავარს, ხოლო სარდალნი რომელნიმე არიან, უფრო
ჯარის უფროსად, რომელნიმე დიდის ჯარისა, ესე ვითარი
ნებაჲს მებატონესა იმაზედ არს დამოკიდებული: თუ ვიტყვით
რომ სარდალს რაუნდა ჰსჭირდეს. სარდალი უნდა იყოს,
ჰსწავლული წერილში, უნდა იცოდეს, ისტორიები. და ქვე-
ყნის გეოგრაფია, და მის ქვეყნის მზერაობის მოძრაობის

საქმენი და ძალნი: აგრეთვე უნდა იცოდეს, მათემათიკა, რომელიც ამა მათემათიკის ნაწილები არიან, არიხმეტიკა, ღეომეტრია სტერეომეტრია, ტრიღენომეტრია: ღეომეტრია ანუ ზესთა ღეომეტრია: ალღებრა, ყლანომეტრია. ზონიმეტრია, ფორტუფიკაცია, არტელერია. და ჩაკტა. თუ ზედ მიწევნით ვერ იცის მაინც უნდა იცოდეს ამდენი რომ შეატყოს პლანსა, ადგილის მდებარეობას. რომ არ შესცდეს დაბანაკების დროს, თუ შებმის დროს ამასთან უნდა იყოს ქკვიანი, ომში უნდა იყოს უფრო ცივი სისხლისა, ესე იგი არა ფიცხელი და გამშინჯველი: მამაცი, არა მცონარი: ამას თან უნდა უყვარდეს თავის სამხედრო კაცი, და თითონაც შეაყვაროს თვისსა ხელ ქვეშეთთა თავი: უნდა იცოდეს, თუ ან რა სურსათი მოუნდება; ანუ ტანთა და ფერხთა ჯარსა: ან ტყვია, ან წამალი, ან ცხენი, ან იარაღი და სხვა საჭიროება. უნდა აქუნდეს ზომა თუ რაოდენის კაცით, შემძლებელია წინა გამწყობად თვსთა მტერთა, ან გამაგრებად ციხისა, ანუ შემოდგომად და აღებად ციხე ქალაქთა და სხვა რაც საჭიროება არს ჯარის ცხენთა ხორაგის, ნალის, იარაღის და სხვათა. ასე უნდა იყოს ჰსწავლული რომ, თითქმის უსაშუალოდ იცოდეს ყოველივე, რომ მისთა ხელ ქვეშეთ არ შეეძლოთ მოპარვა რისამე და შეცთუნება მისი საქმისა, და ანგარეშესა შინა. აგრეთვე უნდა თვს დროს იცოდეს ყარაულთ გამოცვლა დაყენება გეზმანქეშიკებისა. რიგზედ, დაყენება, რომ მტერი უცებად ვერ დაესხას, და აღრიან

შეუტყოს დაგანეშჳდოს. აგრეთვე იცოდეს, დროზედ ჯარის თამაშობა, ვარჯიში, თოფთა სროლა ნიშნისა რომ ავარჯიშებდეს ჯარს, ცხენიანსაც დაქვეითასაც: აგრეთვე იცოდეს დასტების რიგზედ დაყენება: მოკინკლავები, მიმშველებელნი, შემტეველნი. დროზედ სად ეჭირება ზარბაზნების მიშველება, იერიშის მიტანა, ვიწროს გზაზედ ვითარ გაიყვანოს ჯარი. ანუ ხიდზედ, ანუ თუ შეატყოს რომ იძლევა და დამარცხდება ვითარ გამოაბრუნოს ჯარი რიგიან და მშვიდობიანად რომ ბევრი კაცი არ დახოცონ, თუ დაამარცხოს ვინმე უნდა მისცეს გზაჲ გასაქცევი მტერს რომ გაჭირებული კაცი მერე თვით გამოიმეტებს თავსა და იქნება დიდი ზარალი მისცეს ჯარსა, და ამისთჳს თქმულა, თუ მტერი გამექცევაო, ოქროს ხიდს გაუდებო და ესე ვითარნი, ეს კმარა თუ ისწავლის ვინმე სარდლისათჳს.

ნიკოლაოზმა. მითხარ მამაშვილობას, რაჲ არს მათემათიკა?

იოანე. მათემატიკა არს სწავლა, რომელიც მოგვართმევს მცნობელობას, რაოდენობათა და ზომათა სხეულთა შორის, იგი არს პირველი და უმთავრესი ჰსწავლაჲ ყოველთაგან სხვათა ამად რომელ იგი მდგომარეობს მხოლოდ ოდენ ერთსა დამტკიცებასა შინა.

ნიკოლაოზმან. ვითარ სარგებლობასა მოგვართმევს ჩვენ მათემატიკაჲ?

იოანე. იგი განამტკიცებს და განხმურ ჰყოფს გონებას

ჩვენსა, რომელსაც ნანდვილ შევეცნებით მას და გვაჩვენებს ყოველსა გვარსა მხაზველობისა რიცხვისა ნანდვილობითა და ჭეშმარიტისა სისწორობითა·

ნიკოლაოზმან. ვითარნი არიან ნაწილნი მათემათიკისანი?

იოანე. შემდგომნი ესე: არიხმეტიკა, ღეომეტრია, ტრიღონომეტრია და ალღებრა. ნაწილნი ესე შეადგენენ წმინდასა, მათემათიკასა და სხვანი. ოდენ მიეწერებიან შერევნილსა ესრეთ ვითარცა ასტრონომია, ინომონიკა, ოპტიკა, ღიდროსტიკა, მეხანიკა, ღიდრავლიკა, ნაღვიცია, ხრონოლოღია, არხიტეკტურა და სხვანი, ნოტი, საკრავთა, ანუ მგალობლობისა და სიმღერისა.

---

ნიკოლაოზმან. რაჲ არს არიხმეტიკა?

იოანე. არიხმეტიკა არს ჰსწავლა მრიცხველობის, მიმცემი ადვილი და მსუბუქადრე კანონისა ჟამსა რიცხვისასა.

ნიკოლაოზმან. რაოდენნი არიან კანონნი, ანუ ნაწილნი არიხმეტიკისანი?

იოანე. ოთხნი, ესე იგი: აღრიცხვა, ანუ შეკრება, გამორიცხვა, ანუ გამოკრება, განმრავლება და განყოფა, სხვანი უკუჱ არა სხვა რაჲმე არიან, რა გუარადაც განსხუავებულნი შეთანასწორებანი მათდამი.

ნიკოლოზმა. რაოდენი ასო მოქმედებს, ამის სწავლასა შინა და ანუ რაჲ ეწოდებათ?

იოანე. ასოთა მათ ეწოდება ციფრი, იხმარება ცხრა უკუწ ასოჲ და მეათე ნოლია ამ სახედ:

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0. თვითეული ასო ნიშნავს, თითეეულად თვლასა: პირველი, ერთს, მეორე ორს, მესამე სამს; მეოთხე ოთხს; მეხუთე ხუთს; მეექვსე ექვს; მეშვიდე, შვიდს: მერვე, რვას; მეცხრე, ცხრას; ნოლი არა რას. ოდეს გინდა და დასვამ, 10. ერთსა მარცხენით და მარჯვენით მოუსვამ ნოლსა. მაშინ იქმნების ათი, უკეთუ ორჯერ დასვამ ერთსა, იქმნების თერთმეტი და თუ ერთს მოუსვამ ორსა, იქმნების თორმეტი, და თუ ერთს მოუს-ვამ სამსა, იქმნების ცამეტი. ესრეთ უმორჯს, და ოდეს ორს დასვამ და მოუსვამ ნოლს, მაშინ იქნების ოცი. თუ სამს მოუსომ ნოლს იქმნების ოცდა ათი, და თუ ოთხს მოუსომ იქმნების ორმოცი, ესრეთ თვითეულს ციფრსთან თვითეუ-ლი მჯდომარე ნოლი, ყოველთვს ათს მოუმატებს და აღევალს ასზედ: ოდესაც ერთს ციფრს მოუსომ ორს ნო-ლსა, მაშინ იქმნების ასი. და თუ ორიანს მოუსომ ორსა, მაშინ იქმნების ორასი და ესრეთ უშორეს. და ოდეს ერთს ციფრს მოუსომ სამს ნოლსა, მაშინ იქმნების ათასი. თუ ოთხს ნოლს მოუსომ, იქმნების ათი ათასი. თუ ხუთს ნოლს მოუსომ, მაშინ იქმნების მილიონი. აგრეთვე სხვათა ციფ-რებთა იმცენ აღსარიცხველად; ესრეთ უნდა აღრიცხო.

ბოლოს ნოლიდამ ესრეთ: ერთი, ათი, ასი, ათასი, ათიათასი, ასი ათასი, და მილიონი: 1,000000. ამა ალრიცხვამი ნოლნი არიარს ნიშანნი, მხოლოდ ციფრი იქმნების შენიშნული. ესრეთ იხილეთ არიხმეტიკის წიგნთა შინა და მუნიდგან ისწავეთ.

ნიკოლაოზმან. ალრიცხვას მივხვდი. მიბძანე შეკრება თუ რაჲ არს?

იოანე, შეკრება არს შეერთება მრავალთა უკუჱ რიცხვთა ერთისა როდენობისა, ანუ ჯამსა შინა, მაგალ: დავსხათ, მერე მოუსხათ თერთმეტი ძირს, მერე ოცი, მერეთ ოცდა ოთხი, შეკრიბეთ ჯერ მარცხნის ციფრი, ოთხი და ხუთი, იქმს ცხრასა და დასვით: ცხრა მარჯვნივ და მერეთ შეკრიბეთ მარცხენის ციფრი: ორი, ორი, ერთი და ერთი იქმს ექვს და დასვით მარცხნივ, მერე თქვით მარჯვენიდამ: ერთი, ათი, ერთხელ ცხრა, ცხრა და ექვს ჯერ ათი სამოცი. ორნივე იქმონენ, სამოცდა ცხრას, ამ სახედ ჰქმენით: იმ სახედ შეკრიბეთ ვითარცა დავსწერეთ შეადგენს: სამოცდა ცხრასა.

10
15
20
24
——
69 აჰა,

სამოცდა ცხრა! ნოლი შეკრებაში არ იხმარება ოდესაც ციფრი ზის და თუ ციფრი არა ზის, მაშინ ნოლებიც იხმარებიან ესრეთ: 200 ეს გჳარ დასხმული და შეკრებული იქმს ცხრაასსა.

200
400
300
——
900 აჰა, ცხრაასი და ესრეთ უმორეს

ესე ყოველნი საზოგადო რიცხვები, ამ სახედ შეკრებულნი იწოდებიან, რიცხვებთა ჯამად.

ნიკოლაოზმა. რაჲ არს გამორიცხვა, ანუ გამოკრება?

იოანე. გამორიცხვა, ანუ გამოკრება, არს ესე ვითარნი კანონი, რომელიც იჩუენებს, თუ ვითარ დიდისაგან ჟუჟშ რიცხვისა ჯერ არს მიღებად მცირისა, რათამცა ვჰსცნათ თუ რაჲ დაშთების, მაგალ: სამოცი თუმანი მიაბარეთ ვისმეს, იქიდამ დახარჯეთ, ოცდა ათი თუმანი ოდეს გამორიცხავთ, ოცდა ათს თუმანს, კვალად დაშთება სამოციდამ, ოცდა ათი თუმანი. აგრეთვე ოცდა ათიდამ დახარჯეთ თუთხმეტი თუმანი. კვალად დაშთება ოცდა ათიდამ, თუთხმეტი თუმანი

| | | |
|---|---|---|
| ეს სახედ დასხით: | 60 | 30 |
| და გამოკრიბეთ. | 30 | 15 |
| | 30 | 15. |

აჰა ძიებულნი რიცხვნი.

| | | |
|---|---|---|
| ასე იქმნენით: | 60 | ნოლის მაგიერ ერთი ნოლი დას- |
| | 30 | ვით ხაზ ქვეშეთ, ექვსიდამ გამო- |
| | 30 | დით სამს დანახარჯს, დარჩება სამი, |

და გამოუსვით ნოლს, კვალად და-შთება ოცდა ათი. ვითარცა ზემორე დავსწერეთ, მეორე დასვით, ოცდა ათი, იმ სახედ, როგორც აქა: 30 ქვეშ დაუსვი, თუთხმეტი დანახარჯი გამოდი 15

15

ამ სახედ, ნოლს დაადე ერთი რიცხვი სამიდამ, რომ იქმს ათისა და ერთიდამ, რომ ხუთს

გამოხვიდეთ დარჩება ხუთი, დასვი ხაზ ქვეშე და მერე სამიდგან გამორიცხე ერთი ამისთჳს, რომ სამიდამ როს ისესხე ერთი დაშთა ორი, ამა ორიდამ ერთი გამოიღე და დასვი ხუთთან ერთი, იქმს თუთხმეტს და ოცდა ათიდამ თუთხმეტი რომ დაგიხარჯავს, თუთხმეტი კიდე დაშთება და სხუანი.

ნიკოლაოზმან. რაჲსა შინა მსახურებს განმრავლება რიცხვთა.

იოანე. იგი გვასწავებს განმრავლებასა ორთა მოცემულთა რიცხვთა ურთიერთისა შორის, ანუ ერთი მეორესა ზედა რათამცა ვიპოვოთ მის მიერ მესამეჲ ესე ვითარი რომელსაც შინა ერთი მოცემულთა რიცხვთაგანი იპყრობებოდეს ესეოდენ გზის, რაოდენიცა მეორესა შინა მოცემულსა, იპოების მხოლოჲ, რიცხვი მაგალ: ოდესაც გნებავს, თუთხმეტის რიცხვისა ოთხით გამრავლება და ოთხით გაამრავლებ თუთხმეტსა, მაშინ იქმს ჯამი რიცხვსა სამეოცს ანუ ესრეთ გაამრავლე: 15 ოთხ ჯერ ხუთი იქმს ოცსა, დასვი ნო-
4 ლი და ორი შეინახე გონებაში.
60

და მერე სთქვი ერთხელ ოთხი, და ორი ერთად შეკრებული აქუს ექვსსა, დასვი იმ სახედ ვითარცა ჩამს და იქმნება სამოცი.

და ესე განმრავლება ყოველს საზომსა და აღწონასა შინა სახმარი, რომ მცირეს რიცხვით შეეიტყოთ ბევრსა,

მაგალ: ამა სოფლიდამ არის ეჰსთ ქვათ, კოდამდინ ხუთი საათი საველელი. ერთი საათი იპყრობს თვის შორის, ხუთს ვერსსა. ერთი ვერსი ათას ხუთასსა ადლსა. მინდა შევიტყო ს აქედამ რამდენი ვერ'ია კოდა, და რამდენი ადლია დასხვა ამ სახედ: 5 გაამრავლე ხუთად იქმს ოცდა ხუთს ვერს.

5

25

---

ნიკოლოზმან. რაჲ არს ღეომეტრია?

იოანე. ღეომეტრია არს ჰსწავლა რომელიც გუასწავებს განზომასა და შეთანასწორებასა ყოველისა რაოდენობისასა, სიგრძისა, სივრცისა, სიმაღლისა და ანუ სიღრმისასა.

ნიკოლოზმან. რასა უკუე ნიშნავს ლექსი ესე ღეომეტრია?

იოანე. იგი ნიშნავს განზომასა მიწისა, ანუ ადგილისა, გინა ხელოვნებასა განზომად ადგილისა. ხოლო ღეომეტრიისა ხელოვნებაჲ მოპოებულ არს ეგვიპტელთაგან მიზეზითა ამით, ვინაჲდგან მდინარეჲ ნილოსი (მილი მუმბრაქი) ყოველ წლივ ორ გზის გარდმოვარდნითა ხმელსა ზედა ამიზეზებდა და წარიღებდა მიჯნებთა და უწესოდ წალეკდა მო-

საველთა, ამისთვის მოიგონეს ხელოვნობაჲ ესე და ამის ძლიით შეამუსრეს ფიცხელი მომდინარეობაჲ მისი და მოიყვანეს წესსა შინა.

ნიკოლაოზმან. რაოდენ ნაწილად განიყოფების ღეომეტრია?

იოანე. სამთა უმთავრესს ნაწილად, ესე იგი: ზინემეტრიად, ანუ განხომად ხაზისა, ანუ სიგრძისა თვინიერ სივრცისა, რომელსა ბრძენნი უწოდებენ ზონლი ეეტრიას, 2) პლანომეტრიად, ანუ განზომად ზემო პირისა და ანუ ჰსწავლად რაჲცალა ქარტათა; ანუ სხუათა ადგილთა ზედა ხაზთაგან შეიცვიან ბპითანიანნი, ანუ განფენილებანი, 3) სტერომეტრიად, ანუ ჰსწავლად განზომილებისა რომელნიც არიან მყარნი სხეულნი.

ნიკოლაოზმან. ვითარსა უკუე სარგებლობას მოგუართმევს ჩუენ ღეომეტრია?

იოანე. იგი განამტკიცებს განჰმსჯელობასა ჩუენსა, დარაჲცა ნაკუეთნი დაიდებიან წინაშე თუალთა ჩუენთა, მათ ცხადად განმარტებს უპაიქროდ დამტკიცებით.

ნიკოლაოზმან. შესაძლებელია ჰსწავლად ღეომეტრიის ხელოვნებისა თვინიერ ცოდნისა არიხმეტიკისა?

იოანე. შეუძლებელ არს, მით რამეთუ უკეთუ არა იცის გუარნი რიცხვთა, ანუ გამორიცხვათა, მაშინ ვერა შემძლებელ იქმნების ჰსწავლად ღეომეტრიისა, ვინაჲდგან საკუთრად არიხმეტიკა არს ჰსწავლად და მაჩუენებელი ყოველ-

თა რიცხვებთა, ანუ ანგარიშებთა.

ნიკოლაოზმან· რაჲ არს ტრიგონომეტრია?

იოანე. ტრიგონომეტრია არს ხელოვნება, ანუ ჰსწავლა მექონთვჳს შორის საზღუართა, სამთაგან მოცემულთა და რიცხვებთა გამოხატულთა კერძოთა სწორეჲსა ხაზთასა სამ კუთხეთასა და განსაზღვრებად კუალადვე სამისა მისისა კერძოთა.

ხოლო ხელოვნებაჲ ესე თუმცალა მრავალ გუარად განიყოფების გარნა ძალი ამის უმფრორე არს, განზომად მაღალთა ადგილთა და შენებულებათა სივრცეთა ადგილთა, მდინარეთა და ტბებთა და სხვანი.

ნიკოლაოზმან- რასა გვასწავებს დიფფერენცია?

იოანე, იგი გვასწავებს, ყოველსა გვარსა დიდისა ნივთისა შემეცნებასა, ესრეთ რომელ: ყოველი სიდიდე იპყრობების თჳისსა საზღვარსა შინა, რომელიც იწოდების სიდიდე განსაზღვრებულად. ხოლო წინააღმდეგ ამისა იზედ წოდების სიდიდე დაუსრულებადისა სიდიდით და დასრულებით უმცირეს ყოველი იგი რომელი, დაიდების უდიდეს, ანუ ემცირეს უშორესსა ყოველსა შინა საზღვარსა.

ნიკოლაოზმა. რასა შეგვამცნევს უმაღლესი, ანუ ზეზთა ღეომეტრია.

იოანე. იგი გვასწავებს განყოფით, სხვითა და სხვითა სახითა განკვეთად ხაზებით სიმგვრლეთა და სიბრტყეებთა ნაკვეთთა და ადგილთა.

ნიკოლაოზმა. რაჲ არს ფორთეფიკაცია?

იოანე. იგი არს ხელოვნება ხუროთ მოძღრული, რომელიც უმფრორე სახმარ არს სამხედროსა საქმესა შინა, აღსაშენებელად სიმაგრისა ქვათაგან, ანუ ბელტებთაგან, ანუ გოდორ კურებთაგან, ანუ ლოგურევთაგან, თუ ვითარ რა დროს დაჟირების მხედრობათა, ესე გუარ ქმნად რათა მცირითა კაცითა, ამის ძალით შეუძლოს მრავალთა მტერთა წინა განყოფად. გვარი ამა შენებულებისა დიად მრავალ სახე არს და იხილე ესე ქოველნი თვის-თვისა საკუთართა წერილობათა შინა.

ნიკოლაოზმა. რაჲ არს ტაკტიკა?

იოანე. იგი არს სამხედრო ხელოვნება და გამოცდილება დაწყობად ჯარებთა, ანუ მხედრობათა გუართა ზედა, დასხუა და სხუად დასტებად, ანუ კორპუსებად, განკარგულება ყოვლით წესიერებითურთ ჟამსა ბრძოლისასა, ანუ ზედა დასხმისასა, და ესე სახედვე აღრჩევად ადგილსა სადაც უნდა ებრძოდეს მტერსა და უწყებად ზედ მიწევნით მოძრაობათა თვის-თვისსა ჟამთა ზედა, და მოყვანებად მათი წესსა შინა, და ჰსწავებად რიგზედა მხედრობათა თვისთა

ნიკოლაოზმან. რაჲ არს არტილერია?

იოანე. არს ხელოვნება ცეცხლთა სასროლთა საჭურველთა და განკარგულება ცეცხლთა სასროლთა საჭურველებთა, რომელ არიან შემდგომნი ესე: ზარბაზანი, იედინაროლი ანუ მარტოქა ზარბაზანი ყუმბარა, მორტირი, ლეტა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რდი, მუშკეტი, ჯაზაირი, ნასირი, ზამბულაკი, ყარაბინა, თოფი,
დამბაჩა, ტყვია, საფანთი, წამალი თოფისა, ჯაჭვი სასრო-
ლი ზარბაზნით, ხანჯალი, ანუ სატევარი, ხმალი, შუბი
მშვილდ ისარი და სხვა იარაღნი, ესე ყოველნი იწოდებიან
არტილერია და ამის ხელოვნებაც ისწავეთ ამა მცოდნეთა-
გან.

ნიკოლაომან. ვაქო, დიდი საქმე ჰწოდებია სარდალს რაც
შენ ილაპარაკე, აზიაში არც კი გაუგონიათ, მაგრამ სარდ-
ლობენ კი.

იოანე. ზოგთ უცოდნართ ნიჭადაც მიეცემათ სარდლობის
მადლი, და ბედნიერნიც იქმნების ომში, მაგრამ ჰსწავლაც
რომ ქონდესთ, ის უმჯობესი იქნება: აჰა მე თჳთ მსმენია
ღვთისადმი განსვენებულის ძმის თქჳენისა დავით სარდლისაგან,
მრავალი სახელოვანი საქმე: რომ თვით კურთხეულმან მე-
ფემ ირაკლიმ ასეთი ქება მიაწერა ასპინძის ომში გარჯის-
თჳს რომ ვინც მიულოცეს ძლევა მეფესა, მეფემ უბძანის.
მე ნუ მომილოცავთ, ამ ჩემს სიძეს მიულოცეთო, აგრეთვე
დიდის ერევნის ომში, თუ სასახელოვნად მოიქცა, ან კიდევ
სხვა ადგილთა შინა ყოველთვის ქებას მიაწერდის და ან ვი-
თა ერთგული იყო თავისის მეფის და ქჳეყნისა ნეტავი
მესამედი მის 'შვილს, იოანეს გამოჰყოლოდა; აჰა ნიჭი, და
თუ ჰსცოდნოდა რაც მე მოგახსენე, ვგონებ ევროპიაში სა-
რდლად ვერ ვინ ემჯობინებოდა.

ნიკოლაოზმან. ღმერთმან იცის მართალს ამბობ: მაშინ ზუ-

რაბამ, ბატონო სარდალო. თქუენ ხომ გასწავლათ ამ ბერ-მან. და ამას იქით ლეკებს ნუღარას წაახდენინებთ, ეს ლე-კები ხომ ამ ლაპარაკში ახალციხეს ავიდნენ, ჩვენც მოურ-ჩით ამის რჩევით და ერთი ძროხა ერგება საოსტატოში, მონასტრისთჳს: მამინ ბევრი იცინეს: იოანეს ძროხა უბო-ძა ნიკოლაოზმან როდისაც მოხვალ კოდაზედაო. და მერე დაიშალა ეს ჯარი, იოანე გამოეთხოვა, წავიდა შუ იავრისკენ. იარალითურთ, დანიკოლაოზ კოდისკენ.

---

მისრული იოანე მულავერს, გარდახდება ერთის გლეხის კაცის სახლთან, და იარალის ეტყვის სახლის პატრონი ბატონის-შვილი ალექსანდრე ამ დილას მობძანდა, რომლისამე საქმისთჳს. იარალიმ ესე ყოველი უამბო იოანეს, და რქვა დიაკვანმან: წარვედ ბატონისშვილთან ჩემ მაგიერ ლოცვა კურთხევა მოახსენე და სადგომიც ჰსთხოვე. იარალი მისრული ბატონ-ის შვილთან ხელს ჰკოცებს. ბატონისშვილმან მოიკითხა და გამოჰკითხა ამბავი, იარალიმ ყოველივე მოახსენა, და იოანეს მაგიერ სახლი ჰსთხოვა, ბატონისშვილმან უბოძა; სახლი, და უბძანა: ახლა მცირე საქმე მაქუს და ვახშმის დროს ჩე-მთან მოიყვანე იოანე: იარალი მოვიდა, წაიყვანა დანიშნულს სახლში იოანე, და დაბინავდნენ; რა ვახშამის დრო მოვიდა

იოანემ ტანთ გამოიცვალა, ახალი ანაფორა ჩაიცვა, და წავიდნენ ბატონიშვილისკენ: რა სახლის კართან მივიდნენ, იხილა იოანემ გარეთ ტახტზედ მსხდომარენი ექვსნი კაცნი, მეფობის საქმეზედ ლაპარაკობდენ, რადგან მეფე ავად არს იმისი მემკვიდრე ვინ უნდა იჯდესო. მერე აქეთი მხარე ამბობს არა ან ამისი უფროსი ძმა, ან ეს ალექსანდრეო, და დიდებაში არიან, იოანე დგას ისე და უყურებს, და სთქვა: ესენი ვინ არიან? სამეფო სახლს ორბელიანნი, ანდრონიკაანნი, ამილახვრიანნი, ჩოლოყაანნი, ციციანნი, ერისთვიანნი უნდა არიგებდნენ, მითხარით: ესენი იმათი შვილები არიან თუ ვინ არიან. მაშინ იარალიმ უთხრა: ეს სამნი დავითის ვეზირნი არიან. ხელოქა, ნონია და სლუშამი ბოლდასარ ალექსანდრესი, თავბერა, ბააკა და პეპანა. დიაკვანმან: ოი ჩემ თავს! არ გაუგონიათ ეს ლექსი.

თუ ღმერთი კაცს არა ჰსწამს ამაოდ რასმე იჭირვის
უწყლოდ, ულვინოდ, უპუროდ, ჯამი არაოდეს იწირვის.
არცა ქინძრაქას ჭანგითა არწივი არ დაიჭირვის და მხითარ
მიკინტრიჩითა მეფობა ვით დაიჭირვის.

რომელთამე გაიგონეს ეს თქმა დიაკვნისგან. მოახსენა ბატონიშვილსა, დაფიქრდა და ბძანა მეყვანება იოანესი. რა დიაკვანი მივიდა მოახსენა: დღეგრძელდი მეფეს ძეო და მომჭირნეო მამულისთვის. ბატონიშვილმა. მოიკითხა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა: იოანემ ყოველი აცნობა, უბძანა დაჯდომა და ამასთან ესეცა: ეჭვონებ ჩვენი ვეზირები არ მოგწონდესთ. იოანემ: მათ მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყობილნა საქმეები ოდეს გეაჩვენებენ კარგს წარმოება, მაშინ ვერვინ დაიწუნებს.

ალექსანდრემ: ჩუენი მამა პაპათ ვეზირები არლა გვკადრულობენ და მაშ რა ვჰყოთ?

იოანე, ოდეს რიგიანი რაჲსა — მიმართობა გექმნებათ ურთიერთისადმი ძმებთა, მაშინ ვერც იგინი გეურჩეშიან?

ალექსანდრემ. ვითარი რაჲსა მიმართობა?

იოანე, უმცროს უფროსობასა, მეორე მორჩილებისა, მესამე დამორჩილება ჰსჯულთა, მეოთხე სიმდაბლე და სიყუარული.

ალექსანდრემ. მართლად, მაგრამ გარემოებამ ესრეთ აწარმოვა?

იოანე. მაინც უნდა ალუდგეს კაცი წინა, ნებასა და წადილისათვის და ამასთან ჰკითხოს ერთგულთა და გამოცდილთა კაცთა.

ალექსანდრემ. რა გუარნი და ვითარნი კაცნი უმჯობეს არიან ჰსწავლათა და რჩევათა შინა?

უნდა იყვნენ ჰსწავლულნი და მეტადრე გამოცდილნი, ზნეთ წავლილებათა და პოლიტიკათა შინა ცითიკოსთა, ერთგულნი მამულისანი, პირუთნებელნი და მეცნავი სხვათა სახელმწიფოთა ჯულთა და ყოფაქცევათა და მქონებელნი ყმისა და მამულისა; აგრეთვე კარგნი გვარის კაცნი ეს სახედვან ჰსწავლილნი და მტკიცენი სარწმუნოებისა და ფიცსა ზედა ერდგულებისა მეფისა და მამულისასა.

დასასრული მეორე ტომისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა